ლიტერატურული გაზეთი

№17 (249) 20 სექტემბერი - 3 ოქტომბერი 2019 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სტურუა

* * *

ე.ი. როგორ მენდობოდა!
ჩემს თავში გახსნა
თავისი ბოლო გამოფენა.
ზამთარი იყო, მდუღარე ჭიქით
განწყობილებას ვიკეთებდი, ვუყურებდი,
რა ძნელად ეგუება ტვინი
ამ ეგზისტენციურ უმსგავსობას.
გული რა? გულს მაჯებში გადაიტან,
დაითვლი, იქვე, კორვალოლის ფლაკონს
ჩაიკერებ და გამოფენაც შედგება.
მნახველები მძიმე, არაანგელოზური ნაბიჯებით
ივლიან, ბრინჯაოზე წაიფორხილებენ,
რომელიც მკაცრია, მიწაში დაბრუნებაც
უჭირთ, ცივა. მდუღარე ჭიქა
რომ შუბლში ავიტანო? მეტკინება
— შაკიკიაო, მამშვიდებენ
და გუშინ არ დავყარე მიწაზე
მიხაკები? ბანალური, მაგრამ
სასწრაფოდ წითელი. გუშინ არ ვთხოვე
ათი წლის მკვდარს: — მიშველე-მეთქი?!

IV

კატო ჯავახიშვილი

მან უთხრას ქარებს

შენ უნდა იყო ლაღი და მშვიდი.
ხელისგულებით მოტანილ დარდის
გამოწვა უნდა შეგეძლოს, ფშვნიდე
თითქოს სიზმარში ფშატსა და სიმინდს.
და მერე უკვე ღვიძილში ადგილს
ვერ პოულობდე და მხოლოდ ქროდე
და მან, ვინც შენი მიწა გამარგლა,
მან უთხრას ქარებს,
რომ უფრო ახლოს მოვიდნენ, შენ კი
კაბიდან მინდვრებს ირღვევდე ფერადს
და იწვე ისე ლაღი და მშვიდი,
როგორც ვარსკვლავი, შენ რომ დაგფარა.

V

პაატა ნაცვლიშვილი

იარა უპირატესთა

ასერთი პაატაური

VIII-X

ცრემლი ბოჩია

ვასილ ბესელია

მოულოდნელად ცრემლი ბოჩიას საფლავს მივადექი. ერთადგილიანი იყო, თუჯის სხმულებით შემოღობილი ერთი მტკაველი მიწა. სურათი არ ჰქონდა, ალბათ ამიტომ ვერ შევნიშნე აქამდე. გათლილი თეთრი ქვა ედო გულზე. წარწერა საკმაოდ გაცვეთილი იყო, თუმცა იკითხებოდა:

„აქ განისვენებს ცრემლი ბოჩია
1925 —“

გარდაცვალების თარიღი აკლდა. წაშლილი კი არ იყო, არ ეწერა.

ზაფხულის არდადეგებზე უთენია მივდენიდი საქონელს. რკინიგზის სადგურის უკან, ასე ათ მეტრში, სოფლის მაღაზია იდგა. შენობაში ვერ შეხვიდოდი, ჯიხურის ტიპისა იყო, ღია ფანჯრიდან ვაჭრობდა. გარეთ, ფანჯრის სიმაღლეზე, ხის თარო გასდევდა. ექვს საათზე იღებოდა მაღაზია. სწორედ აქ მხვდებოდა ყოველ დილით ცრემლი ბოჩია. თაროზე ჩაის ჭიქა და ქარხნული არაყი „ექსტრა“ ედგა. ჩავატარებდი ძროხებს მაღაზიის წინ და ხელს დამიქნევდა, აქ მოდიო. მიეცი ამ ბაღანას პეჩენიაო, ეტყოდა გამყიდველს.

— არ გეძინება ამ დილით, ბავშვო?

და თავზე ხელს გადამისვამდა.

შვიდს რომ თხუთმეტი დააკლდებოდა „ფოთი-ქუთაისი“ კივილით გადმოივლიდა ტეხურს და სადგურს მიადგებოდა. გადაჰკრავდა ცრემლი ბოჩია ერთ ჩაის ჭიქა არაყს და ბაქანზე გავიდოდა...

— ზამთარ-ზაფხულ, თითქმის ყოველდღე, უთენია მოდიოდა, — მიყვება მაშინდელი ნოქარი, ბატონი ათანასე ზარქუა, — გახსნიდა პოლლიტრას და ერთ ჭიქას გადაჰკრავდა, დანარჩენს მე მიტოვებდა. ყოველდღე ახალს მახსნევინებდა, ძველი არასოდეს მოუკითხავს. თვის ბოლოს, რამდენია ხარჯიო, მეტყოდა და თუმნიანებს ჩამითვლიდა. არაყისთვის არასოდეს არაფერი მიუყოლებია, წყალივით სვამდა... სამტრედიაში რაღაც ტრესტის მმართველად მუშაობდა, ხან სამგზავრო ფულიც არ ჰქონდა, მე მართმევდა მანეთიანს... ისეთი გადამხდელი იყო, მაღაზიას ვანდობდი, აცხონოს ღმერთმა!

— ცოლ-შვილი არ ჰყავდა?

— არა, ცოლს გაშორებული იყო, ახალგაზრდობაში გაშორებია, მე ის არ მახსოვს, ისე ქალს კი აქებდნენ, მაგრამ ყოველდღე მთვრალი კაცი ვერ აიტანაო...

ჩემი და რომ გათხოვდა, იღიმება პიმენ ბაღათურია, ქორწილში ცრემლი ბოჩია გვყავდა თამადადო...

— მაინცდამაინც იმ დღეს იმდენი მოთოვა, გზები ჩაიკეტა, მატარებელიც არ მოძრაობდა. ჩემი სიძე ქუთაისელი რუსია, ნათესავები რიაზანში ჰყავს. სწორედ რიაზანელ მოყვრებს და ქუთაისელ სტუმრებს

ველოდით იმ დღეს, მაგრამ ჩამოიქცა ცა და ვერ მოვიდნენ. მაშინ ქორწილი ღამით იმართებოდა. ველოდეთ სიძეს შუაღამემდე და რა გზა იყო, დავსვით ხალხი. უსიძო სუფრას დილამდე უთამადა ბოჩიამ. დილით, კარგა გათენებულზე, როცა სეფაში თამადის გარდა არავინ იყო, სამხიდიანი „ურალი“ მოადგა ჭიშკარს ტენტიან ძარაზე მსხდომ სტუმრებიანად. ახლა ამ ხალხთან უბერა ბოჩიამ. რა რუსულად და რა ქართულად უკითხა ესენინი რიაზანელებს, მიაწვინა სიძისიანებიც და მოსაღამოებულზე სახლში წავიდა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ მიღარავდა რეზინის ჩექმებით გაუკვალავ თოვლს... ძლიერი კაცი იყო ცრემლი ბოჩია, რაც თავი მახსოვს, სულ თამადობდა, მთვრალი და ფეხარეული არ მინახავს.

— „ცრემლი ბოჩია“ რატომ ერქვა, ხომ არ იცი?

— რას ქვია არ ვიცი, სოფელმა დაარქვა. სიყვარულის სადღეგრძელოს როცა სვამდა, ცრემლად იღვრებოდა. იმნაირს იტყოდა, მსმენელსაც ატირებდა. შეყვარებული ჰყოლია, კლასელი, აქაური გოგო, ფარულავას ქალი, სახელი დამავიწყდა, მთელი ცხოვრება იმას ახსენებდა და სიმთვრალეში ლექსებს უკითხავდა. მერე ის გოგო გათხოვილა თუ ამას მოუყვანია ცოლი, ამდენი ნამდვილად არ ვიცი... ღმერთმა აცხონოს, ახლა სანთლით საძებარია თამადა, ლაზათი დაეკარგა ქორწილს!

საინტერესოდ მომეჩვენა პიმენ ბაღათურიას მონათხრობი. კითხვა-კითხვით გავარკვიე, ვინ იყო ის ფარულავა, რომელმაც ცრემლად აქცია ეს აზავერივით კაცი.

ხორგაშია გათხოვილი, ისე აქაურიაო, მითხრეს. ახლა ას წელს იქნება მიტანებული, ნიუ ქვიაო, ცოცხალი უნდა იყოს, სიკვდილი არ გაგვიგია, შვილი ჰყავს ძალიან ცნობილი მეთუნუქე, სახლებს ხურავს, რიგი უდგას, ინალიშვილია გვარად, სამეგრელოში ყველა იცნობსო...

კარგა ხანს ვყოყმანობდი, წავსულიყავი თუ არა ხორგაში. იმდენად დიდი იყო ცდუნება, მაინც წასვლა ვამჯობინე, თუ საუბარი არ ამეწყობოდა, სახლის დახურვას მოვიმიზეზებდი.

ჩემდა გასაკვირად, სწორედ ნიუმ გამომხედა „კუხნის“ ღია კარიდან

და შინ შემიპატიჟა.

— თქვენ ალბათ ბადრი გნებავთ, შვილო, სახლი გაქვთ დასახური? სამი დღე არ მოვა ბადრი, ურეკში აქვს საქმე აღებული, იქაა ბიჭებიანად. ჩაის დაგისხამთ, თუ ყავა გირჩევნიათ?

ძალზე მოძრავი და ენაწყლიანი ქალბატონი იყო. პეწიანი. სილამაზე მაინც შემორჩენოდა დამჭკნარ სახეს. ცოცხალი თვალები მწვანე შუქს ასხივებდა...

— არა, გმადლობთ, ქალბატონო ნიუ, მე უფრო თქვენთან მსურდა საუბარი.

— უი, ჩემი სახელიც იცით, მიცნობთ, ბატონო?

— კი, გიცნობთ, მე ნოსირელი ვარ, მწერალი გახლავარ. ცრემლი ბოჩიაზე ვაპირებ დაწერას.

ნიუ შეცბა, მომეჩვენა, რომ წამოწითლდა...

— და რა გსურთ ჩემგან? ვიცნობდი ბოჩიას, კლასელი იყო, სულ ეგაა.

— ქალბატონო ნიუ, ბოჩია მთელი ცხოვრება თვალცრემლიანი გახსენებდათ...

— მერე დაწერეთ, გცოდნიათ და სხვა რაღა გინდათ?

ეს ისე რბილად მითხრა, შევატყვე, შევძლებდი საუბარში შეყოლიებას.

— ქალბატონო ნიუ, თქვენ უყვარდით ბოჩიას?

ნიუ გაჩუმდა. „კის“ ველოდი და დავიძაბე.

— მეც მიყვარდა, მეხუთე კლასიდან მიყვარდა, ინსტიტუტი რომ დავამთავრეთ, დაქორწინებას ვაპირებდით, — ნერვიულობა დაეტყო ნიუს, — რა გნებავთ, რა გინდათ, რომ დამტყუოთ, ოთხმოცდათერთმეტი წლის ქალი ვარ, რა დაიჯერება ჩემი, სად გამოაჩენთ ჩემს ნათქვამს, ძლივს ვუყრი თავს სიტყვებს, — წამოდგა და ელექტროჩაიდანი ჩართო. განჯინიდან ფინჯნები და ხსნადი ყავის კოლოფი გამოიღო, — მე ხსნადს ვსვამ, ნალექიანი მაინც არ მაქვს... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და ფინჯანი მომიჩოჩა.

გავჩუმდი. ვგრძნობდი, საუბარს გააგრძელებდა და არ მივძალებივარ.

— ერთ დღეს ქორწილში დათვრა ბოჩია და პატარძლის მეჯვარე ჩაუგორდა ლოგინში... მერე იძულებული გახდა, ხელი მოეწერა იმ კახპასთან. ერთ კვირაში ბოჩიას ჯინაზე მეც გავთხოვდი. აქაური კაცი გამირიგეს და ჩავრჩი ხორგაში, ფეხი არ მომიცვლია აქედან. ესაა სულ, ბატონო მწერალო, რა დასაწერია ახლა ეს... დაწერეთ, თუ გინდათ. რა ვიცი...

— და ასე გაქრა თქვენი სიყვარული? ბოჩიას მთელი ცხოვრება უყვარდით თურმე.

— არა, კი არ გაქრა, დამთავრდა! ბოჩოს ის ქალი თბილისიდან არ ჩამოჰყოლია, მაგრამ მე მისკენ არასოდეს გამიხედავს, მთელი ცხოვრება მარტო იყო. ბედს შევეგუე, მერე ნოსირში არასოდეს ვყოფილვარ.

მსგავსი ამბები ათასჯერ მქონდა გაგონილი და თავი გაწბილებულად ვიგრძენი. ავდექი და ნიუს გამოვემშვიდობე.

— დიდი მადლობა, ქალბატონო, ბოდიშს გიხდით, დაგღალეთ, ძალიან საინტერესო მოსაუბრე ბრძანებულხართ.

რას ამბობთო, რა მოსაუბრე მე ვარ, გამომაპრუტუნა წლებმაო.

გამოვედი სახლიდან და ნუ გამომაცილებთ-მეთქი, შევბრუნდი. ნიუ გაფითრებული იდგა. კანკალებდა.

— ცუდად ხომ არ ხართ, ქალბატონო?

— არა, არა, ნუ წახვალთ, დაბრძანდით, კიდევ მაქვს სათქმელი. ოღონდ ახლა ნუ დაწერთ, ორი პარასკევი დამრჩა და სიკვდილი მაცალეთ. სამოცი წლის იყო ბოჩია, მძიმედ რომ დაავადდა. მეც სამოცის ვიყავი მაშინ. ერთი ჩვენი კლასელი გოგოს პირით შემომითვალა, ვკვდები და მნახეო. კარგა ხანს ვჭოჭმანობდი, იმ დღეებში ჩემი შვილი დაქორწინდა და ამანაც შემაყოვნა. ქმარი მაშინ ცოცხალი მყავდა... რა მექნა... მაინც

ვერ შევძელი წაყრუება, გული მიგრძნობდა, ეს უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა. ბოლოს ბადრი გავიყოლე და მის ჭიშკარს მივადექით. იწვა. მთლად დამდნარიყო. ჩემს დანახვაზე წამოჯდომა სცადა, სულს ძლივს ითქვამდა. მომვლელს ანიშნა — გადიო. თვალები ცრემლებით გაევსო, შევატყვე — კვდებოდა, მივვარდი და ჩავეხუტე. ის სურნელი ვიგრძენი, მთელი ცხოვრება რომ დამდევდა და მასულდგმულებდა. სულ დამავიწყდა, შვილი რომ მახლდა. უცებ გადამეკეტა გონება და, ბოჩო, ეს ბიჭი შენია-მეთქი, ვიყვირე და გული წამივიდა. როცა გამოვფხიზლდი, პირველად ბადრის გაფართოებული თვალები დავინახე, 35 წლის კაცი ბავშვივით დაბნეული მომჩერებოდა. ბოჩიას გაუგებრობა ეწერა ისედაც წაშლილ სახეზე. შენი შვილია-მეთქი, კიდევ გავუმეორე, იმ წუთში ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. ბოჩია წყვეტილად ალაპარაკდა. ბადრის მიაჩერდა და ერთს გთხოვო, უთხრა, სასაფლაო შემოკავებული მაქვს, გამითალე, ბიჭო, ერთი უბრალო ქვა და მარტო დაბადების წელი დააწერე... გარდაცვალების თარიღად დედაშენი რომ მოკვდება, ის წელი დასვიო, სანამ ნიუ ცოცხალია, მეც ვიცოცხლებო... თქვა და გონი დაკარგა. დასაფლავებაზე მე არ ვყოფილვარ, ბადრი გავგზავნე.

ა, ყველაფერი გითხარით, ეს ამბავი ახლა მარტო თქვენ და ბადრიმ იცით, ჩემს სიცოცხლეში ნუ გაამხელთ და მერე თუ დაწერთ, ლამაზად დაწერეთ.

ტიროდა ნიუ. ცრემლები ზოლებად მოჰყვებოდა ერთდროს ულამაზესი პირისახის ღარებს და ჩავარდნილი ნიკაპის ქვეშ ერთდებოდა. არაერთხელ მინახავს სიყვარულით ატირებული ქალბატონები, მაგრამ მინავლული მშვენიერების ზეიმს პირველად ვესწრებოდი.

— ბადრი მართლა ბოჩიას შვილია? — მორიდებულად ვკითხე.

— კი, მე ის არ მომიტყუებია, როცა გავთხოვდი, ორსულად ვიყავი. ბადრი თქვენ არ გინახავთ, თორემ მამის ალიკვალია... არ ვარ მართალი ქმართან... მეც კაი ცოდვილი ვარ, შვილო, რომ მიყურებ!..

თითქმის სამი წელია, ეს ამბავი გულით დამაქვს. ვერ დავჯექი და ვერ დავწერე. გამიძალიანდა სათქმელი.

წელს, აღდგომის კვირას, ისევ ჩამოვუარე საყვარელ საფლავებს. ბოჩიას სამარეზე პასკა და წითელი კვერცხი დამხვდა. ქვაზე სანთლის ნაღვენთი იყო შერჩენილი.

გარდაცვალების თარიღიც ამოეკვეთათ — 2019...

სვანი

ჩვენგან მეოთხე სახლში ცხოვრობდა. სვანური გვარი აქვს, თორემ ისე მეგრელიაო, ამბობდნენ... და მაინც „სვანი ექიმოს“ ეძახდა მთელი სოფელი. ექიმი არა, ფერშალი იყო. ომგამოვლილი, ათასი უბედურების მნახველი. მუდამ ბიქსს დააკონწიალებდა და ისე დადიოდა. მე თვალს არ ვაშორებდი ბიქსს, ოღონდ საფულე მეგონა და სულ მიკვირდა, ფულს ჯიბეში რატომ არ იდებდა.

ბავშვი გაუხდებოდათ ავად თუ დიდი, სვანი იყო მათი ექიმი. ქირურგიც იყო, თერაპევტიც, პედიატრიც, ენდოკრინოლოგიც და რა ვიცი, კიდევ ვინ იყო...

რაიონიდან დადიოდნენო სვანთან. არ ყოფილა შემთხვევა, მისი დიაგნოზი არ გამართლებულიყო.

— სვანმა დასვა? აბა, აწი თუ გინდა, მოსკოვში წადი, იმავეს გეტყვიან!

პატარა ვიყავი, ბაბუა ავად რომ გახდა. ძალიან ცუდად იყო. ახლა მოინდომა სიკვდილი მაინცდამაინცო, თან წუხდა და თან ბრაზობდა ბებია. წადი, შვილო, სვანი მოიყვანეო.

— სვანი ბაბუა, ბებიამ შემოგითვალა მოვიდესო! — გულხეთქებით მივვარდი სვანს.

ხომ მშვიდობააო, სვანმა.

— ბაბუამ ახლა მოინდომა სიკვდილი! — გადავეცი ბებიას ნათქვამი.

დაავლო ხელი ბიქსს და სინდიყიან წნევის საზომს. გადაიკიდა ფონენდოსკოპი. აბა, ჩქარაო და გამოქანდა. ბიქსს მე წამოგიღებ-მეთქი, გამოვართვი დიდი ამბით.

წამოაჯინა ბაბუა. დაადო ზურგზე მარცხენა ხელის მტევანი და უკაკუნა მარჯვენა ხელის თითებით. გაშანშალებული ანთება აქვსო. მერე ფილტვებს ფონენდოსკოპით მოუსმინა.

აბა, ჩაახველე, სისოევიჩო, აბა, სუნთქვა გააჩერეო...

ბანკები უნდა დავაყაროთო. თორმეტი მაინც დაჭირდებაო.

გამოიტანა ბებიამ პატარა, მოლურჯო „ბანკები“. გამოუსვა სვანმა ცეცხლმოკიდებული სპირტიანი ბამბა და სათითაოდ დაამხო ზურგზე ბაბუას. აგი გამოიტანს სიცხესო. კიდევ კაი, მოვასწარით, თორემ ჩიხოტკაში გადაუვიდოდაო.

ამ დღიდან ხშირად დადიოდა სვანი ჩვენს სახლში. ახლაც თვალწინ მიდგას „კერასინკაზე“ შემოდგმული ბიქსი, სვანის თეთრი ცილინდრი და ჩესუნჩის გაქექილი კიტელი. განიერი, შავი, აფშლაგიანი შარვალი

და ტილოს ყავისფერი ტუფლები, რომელზეც წვიმიანში კალოშებს შემოიცვამდა ხოლმე.

კაპიკს არ იღებდა არავისგან. არც არავინ სთავაზობდა, მაგრამ, მაინც. ყოფილა — ყოველ ოთხ საათში, დღე და ღამე, მოდიოდა ჩვენთან და პენიცილინსა და სტრეპტომიცინს უკეთებდა ბაბუას. მაშინ მხოლოდ ის მიკვირდა, ამ ერთი ციცქნა შუშებში ერთი მილიონი წამალი რაფერ ეტეოდა.

ხმა გავარდა, სვანი თბილისში გაწერესო. არ ყოფილა კარგადო. შეიცხადა შეშინებულმა სოფელმა.

ერთ კვირაში ჩამოვიდა და ჩვენთან მოვიდა.

ფერი არ ედო!

რავა ხარ, სისოევიჩო, მიუჯდა ბაბუას.

ბიქსი ტაბურეტზე დადო. ახალი წამალი გამოუშვიათ, აგერაა რეცეპტი, აგი 12 საათში ერთხელ გექნება გასაკეთებელი, აწი თუ დაგჭირდესო. ბებიას მიუბრუნდა სვანი — ამ წამალთან ბანკები არ დასჭირდებაო, თვეში ერთხელ წურბელები მიუჯინე კისერზე, ფეხები თუ დაუსივდეს, ნიახურის ნახარში მიეციო.

მოკლედ, წავედი ახლაო. ერთი ჩაის ჭიქა არაყი გადაჰკრა. ერთი ნაჭერი შაშხი და ცივი ღომის ლუკმა აიღო და ჭამა-ჭამით წავიდა. ხოვო, ჭიშკრიდან დაიძახა, მაგ წამალს კულაშში იშოვით, ურიებშიო. ბიქსი დაგრჩაო, სიტყვა დაადევნა ბებიამ. ბიქსი მაგ ბაღანას მოსწონს და ჰქონდეს ჩემგანო!

წავიდა და წავიდა. ორ დღეში მოკვდა!

მაგან იცოდა, რომ მოკვდებოდაო, თქვა ბებიამ.

გამოიკეტა სვანის სახლის კარი.

დასაფლავების მეორე დღეს ჭიშკარს უცხო „პობედა“ მოადგა. შევნიშნე, მანქანაში ვარდების გვირგვინი იდო. ცოლქმარი იყვნენ. თბილისელები. საფლავზე გაგვაყოლე ბავშვიო, ბებიას თხოვეს.

— ერთ პალატაში ვიწექით თბილისში, — ჰყვება კაცი, — რძალი მოვიდა სანახავად, თან ერთი წლის შვილიშვილი მომიყვანა, გაუჩერებლად ტიროდა ბავშვი და პალატაში არ შემოსულა, მე გავედი დერეფანში. ყვირილით გამოვარდა ის ცხონებული, რასაა, რომ უყურებთ, ვერ ხედავთ, რა ხმაზე ტირის ბავშვი, დიფტერიაა მაგი... ჩქარა, ინფექციურში! დროზე, ეგებ უშველოთო!.. ნახევარი საათი უნდოდა და დაგეღუპებოდათ ბაღანაო, ასე გვითხრეს ინფექციურის პროფესორებმაც... საავადმყოფოში რომ მივბრუნდი, წასული დამხვდა, მადლობაც კი ვერ ვუთხარი... გუშინ საბჭოში დავრეკეთ და ეს ამბავი გვითხრეს... დღეს წამოვედით...

გავყევი სასაფლაოზე... ბებიაც წამოვიდა, ნაკურთხი მიწა წამოიღო.

ყვავილებით მოზვინულ სამარეზე გვირგვინს რომ დებდნენ, შევნიშნე, იმ კაცს ცრემლი უბრწყინავდა.

სახლში მობრუნებულმა ბამბუკის „ატაჟერკიდან“ ბიქსი ჩამოვიღე და გულში ჩავიხუტე...

* * *

თითქმის 60 წელია გასული ამ ამბების მერე...

6-7 წლისა ვიქნებოდი მაშინ.

სექტემბრის დასაწყისში კლასელი მესტუმრა, კაი ხნის უნახავი ძველი მეგობარი. მოსვლისთანავე პირდაპირ მომახალა, უნდა მიშველო, ცოლს სიმსივნე აღმოაჩნდა, აქაური ექიმები ოპერაციას ვერ რისკავენ, ევროპის კლინიკებმაც უარი თქვეს, ერთადერთი კიოლნის კლინიკა დაგვთანხმდა ოპერაციაზე, ქირურგი გასამრჯელოს არ ითხოვს, ეტყობა, არა აქვს იმედი, მაგრამ რა ვქნათ, უნდა გავრისკოთო... ისე, ის ქირურგი ქართველიაო...

მე რით გიშველო-მეთქი, ვკითხე შეწუხებულმა და დაბნეულმა. უნდა გამომყვე გერმანიაში, მე არც გერმანული ვიცი და არც რუსული... არ მითხრა უარი, თუ კაცი ხარ, მარტო არ გამიშვაო!..

ოპერაცია ექვს საათს გაგრძელდა.

ჩამოვწყდით ნერვიულობით.

როგორც იქნა, გამოვიდა ჩვენი ქართველი ექიმი, საშუალო სიმაღლის, ჭაღარა, სანდომიანი კაცი. ახლა უფრო ხნიერი მეჩვენა, ვიდრე პირველი ნახვისას. გადავრჩითო, გვითხრა სუფთა ქართულით, მეტასტაზის ნასახი არ დამიტოვებია მუცლის ღრუშიო. რამე თუ არ გართულდა, ეს ქალბატონი ამ სატკივრით არ მოკვდებაო. ეს იყო ყველაზე მძიმე ოპერაცია, რაც კი გამიკეთებიაო. გვითხრა და სწრაფად შებრუნდა.

მეოთხე დღეს, საღამოს, მომილოცავსო, გვითხრა, აწი საშიში არაფერია, ანალიზები კარგია, შეხორცება კარგად მიდის, პალატაში გადავიყვანეთ, ქიმიოთერაპია შეიძლება ქუთაისშიც ჩაიტაროსო... ახლა შეგვიძლია ცოტა დავლიოთ, ბარში გეპატიჟებითო...

უჟმური კაცი გვეგონა და გაგვიკვირდა!

კარგად შეზარხოშებულნი ვართ და ექიმი გვიყვება:

— თქვენი ავადმყოფის ისტორია და დისკები რომ გადმოგვიგზავნეს, უკვე ვიცოდით, რომ გერმანიის კლინიკებმა უარი თქვეს ოპერაციაზე. ჩვენც უარს ვაპირებდით, მაგრამ პაციენტის ანკეტაში საცხოვრებელი ადგილი ნოსირი რომ ვნახე, გადავწყვიტე გამერისკა, იყო გადარჩენის იოტისოდენა იმედი... კი მქონდა წინააღმდეგობა კონსილიუმიდან, მაგრამ ჩემმა ავტორიტეტმა გაჭრა და გამიმართლა... უზომოდ ვარ გახარებული და მოდი, ბიჭებო, თქვენს ნოსირს გაუმარჯოსო!

პირდაღებული მივაშტერდით ერთმანეთს მე და ჩემი მეგობარი!

— ნოსირი რა შუაშია, ჩემო ბატონო, იცნობთ ამ სოფელს, გყავთ იქ ვინმე ნათესავი?

— ძალიან დიდი ხნის წინათ ბაბუაჩემის სანახავად დედაჩემს მივუყვანივარ არამიანცში... ვტიროდი თურმე, ვერ მაჩერებდნენ. გამოვარდნილა ბაბუას პალატიდან ვიღაც კაცი, უშველეთ ბავშვს, დიფტერია აქვსო, უყვირია... ასე გადავრჩი, თორემ ვიქნებოდი ახლა 60 წლის მკვდარი... ის კაცი ნოსირელი ყოფილა, ბაბუას ნაამბობიდან სხვა არაფერი მახსოვს!..

— სვანი, სვანი იყო ის კაცი! — შეშლილივით ვიყვირე...

ღაპაღუპით წამომივიდა ცრემლები...

თვალწინ დამიდგა ჩესუნჩის გაქექილ კიტელში და ტილოს ფეხსაცმელებში გამოწყობილი სვანი ბაბუა თავისი განუყრელი ბიქსით, სვანი ბაბუა, რომელმაც გარდაცვალებიდან 60 წლის მერე, აქ, გერმანიის ერთ პრესტიჟულ კლინიკაში, უნიკალური ოპერაცია ჩაატარა...

პარმენა ფოსტალიონი

სამსახურში ცხენით დადიოდა. ფოსტალიონის დიდი ჩანთა უნაგირის კეხზე ედო. მოადგებოდა ჭიშკარს, გადმოიხრებოდა ცხენიდან და გაარჭობდა ჭიშკრის გისოსებს შორის გაზეთებს.

სოფელში საფოსტო ყუთი არავის ჰქონდა. წვიმიან ამინდში, თუ ჭიშკართან არ დახვდებოდი, ეზოში ცხენიანად შემოდიოდა და აივანზე შემოყრიდა პრესას. ერთი მოკლე, შავი, თეთრსატუჩიანი საყვირი ჰქონდა. შემოვიდოდა ჩვენს ქუჩაზე და ჩაჰბერავდა:

ტუ, ტუტუუუუ!

ე, მოდის პარმენაო!

ამ საყვირს ყველა „პარმენას რაჟოკს“ ეძახდა.

რას ჰყვირი პარმენას რაჟოკივითო, არაერთხელ გამიგონია.

ერთი ძაღლი ჰყავდა, პამპარა ერქვა, მუდამ თან დასდევდა პატრონს. სანამ პარმენა ჭიშკარს მოადგებოდა, მანამ პამპარა მოასკდებოდა ეზოს, უკანა თათებზე შედგებოდა და კუდის ქიცინით სამჯერ დაჰყეფდა.

პატარა ტანის იყო. შავ-თეთრი შეფერილობის, უჯიშო, მაგრამ ძალიან საყვარელი. ზამთარ-ზაფხულ, ყინვასა თუ ხვატში წინ მიუძღოდა ცხენიან პატრონს და უშეცდომოდ მიჰყვებოდა წინასწარ დადგენილ მარშრუტს. ცხენიც ისეთი ჰყავდა პარმენას, ისეთი მშვიდი, რომ სადაც დატოვებდა, ქვეყანა რომ დანგრეულიყო, ფეხს არ მოიცვლიდა.

ჩემს უბანს რკინიგზა შუაზე ჰყოფდა. ორივე მხარეს საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ქუჩები მიუყვებოდა. გაზეთები მაშინ ყველას ჰქონდა გამოწერილი. „კომუნისტი“ და „სოფლის ცხოვრება“ სავალდებულო იყო. ბაბუას ქვეყნის ამბები აინტერესებდა და „პრავდასა “ და „იზვესტიასაც“ კითხულობდა. ჩვენს რაიონულ გაზეთს „ავანგარდი“ ერქვა და ისიც მოგვდიოდა.

მიადგებოდა პარმენა მარჯვენა მეზობლის ჭიშკარს.

ტუ-ტუტუუ!

და დაუტოვებდა გაზეთს.

მერე, პირდაპირ გადავიდოდა რკინიგზის გაღმა და ახლა იქ ჩაჰბერავდა. იქიდან ჩვენთან გადმოდიოდა და ასე ზიგზაგებით მიიწევდა წინ. პამპარა მახარობელივით წინ მიუძღოდა და ფოსტალიონის მობრძანებას წინდაწინ აუწყებდა მოსახლეობას...

მთელს გზაზე მხოლოდ ერთხელ შეისვენებდა. დააყენებდა ცხენს ჩვენს ჭიშკართან. შენც დაეტიე აქო, დაარიგებდა პამპარას და შემოვიდოდა ეზოში. „პერერივზე“ ვარო, ეტყოდა ბებიას და პირდაპირ ჭისკენ წავიდოდა. ბებიას უკვე ეჭირა ხელში „კურუშკა“ და მიაწვდიდა სტუმარს. სამჯერ მაინც ამოუსობდა პარმენა ალუმინის ჭიქას წყლით სავსე ვედროს. აგაშენა ღმერთმაო, იტყოდა, ამისთანა წყალი ამ სოფელში არავის აქვსო. მე მივვარდებოდი ცხენს და წამში მოვახტებოდი.

— ბაბუ, არ ჩამოგივარდეს ჩანთა, არ დამღუპო, წერილები მაქვს შიგ! — მომაძახებდა პარმენა ბაბუა, არასოდეს დაუშლია ცხენის „გატაცება.“ ცხენიც ისეთი იყო, ვერაფრით ააჩქარებდი; მშვიდი, კეთილი ხასიათი ჰქონდა.

სანამ პარმენა პოლიტიკაზე და ხრუშჩოვის სიბრიყვეებზე ელაპარაკებოდა ბაბუას, სანამ 100 გრამს დაარტყამდა და ცივ მჭადსა და ყველს მიაყოლებდა, მე ვასწრებდი მდინარეზე ჩასვლას და ცხენის დარწყულებას.

— პარმენ ბაბუა, ცხენს დავალევინე წყალი, პამპარამაც დალია.

— კარგი ბაბუ, გაიზარდე დიდი ბიჭი, — ისე შემაქებდა, თითქოს ფასდაუდებელი საქმე გამეკეთებინოს.

ეზოში მსხლის ხე გვედგა. აგვისტოში მწიფდებოდა. საშუალო ზომის ვრგვალ ნაყოფს ისხამდა. აგვისტოში შავად ჩაღვინჯდებოდა და ნესვის გემოს იკრავდა. „ღვინჯა მსხალს“ ვეძახდით. ერთხელ ბაბუამ მითხრა, ამ მსხალს „ღვინჯას“ იმიტომ ეძახიან, რომ ადრე მისგან ღვინოს აკეთებდნენო. მოგეხსენებათ, მეგრულად ღვინოს „ღვინი“ ჰქვია, ხეს კი — „ჯა“! ბაბუს ვარაუდი სიმართლეს წააგავდა, თუმცა რამდენად გამოდგებოდა ეს მსხალი ღვინის დასაყენებლად ძნელი სათქმელია, საჭმელად კი შეუდარებელი იყო...

ვგიჟდები ამ მსხალზეო, ამბობდა პარმენა. შემოვიდოდა ეზოში ცხენით, დადგებოდა მსხლის ძირას და უზანგზე აწეული რამდენიმე ცალს მოწყვეტდა. ორს აუცილებლად ჩანთაში ჩაიდებდა, სახლში წასაღებად...

— მოკრიფე, კიდევ, პარმენა, გაავსე ჩანთა, წაუღე შენს ივლიტას! — ოდის ფანჯრიდან გამოსძახებდა ბებიაჩემი.

— ეყოფა ეს ორი ცალი ივლიტას, ხვალ კიდევ წავუღებ, ამ ჩანთაში ოთხი ბათმანი ჩავა, შექალო! — უპასუხებდა და ეზოდან გადააბიჯებდა.

პენსიის დღე ჩემთვის დღესასწაული იყო.

მოვიდოდა, ჩაუთვლიდა ბაბუას ოცდახუთმანეთიანებს... ხურდას, როგორც წესი, ფოსტალიონს უტოვებდნენ. იმ დღეს ბებია საგანგებოდ დააცხობდა ხაჭაპურს, ტაბლაზე ცხელ მჭადს, სულგუნს, მწნილს დადებდა და კაცებს შუშაბანდში გამოუდგამდა. წვრილყელიანი და გაბერილმუცლიანი გრაფინით თუთის ნაყენით გაზავებულ არაყს მიართმევდა.

პენსიის დღეებში ბევრჯერ მინახავს ცხენზე ჩაძინებული პარმენა. ცხენის ჩრდილში პამპარა იწვა და კაი დედის შვილი იყო და მიკარებოდა ვინმე. პამპარას აგრესია ჩემზე არ ვრცელდებოდა. მოვკიდებდი ცხენს აღვირში ხელს, შემოვიყვანდი ეზოში და დავაყენებდი ჭადრის ჩრდილში. ერთ საათში გამოშუშდებოდა ფოსტალიონი, დამალევინე ერთი შენი ჭის წყალიო... და გაუყვებოდა გზას.

— ბაბუ, მომეცი მანეთიანი, — ვეხვეწებოდი ბაბუას ყოველ პენსიაზე.

— ყველა ოცდახუთიანებია, ბიჭო, ვერ ხედავ? დავახურდავებ და მოგცემ.

შევეხვეწე პარმენას, ისეთი ფულები მიუტანე ბაბუას, მანეთიანები რომ ერიოსმეთქი. ამის მერე ერთხელაც არ გავუწბილებივარ არც ფოსტალიონს და არც ბაბუაჩემს. მეორე დღეს ჩემი იყო ათი ცალი კრემიანი პონჩიკი (კი, ბატონო, ფუნჩულა!). ამ ათიდან თითო ლუკმა გვიწევდა მე და ჩემს კლასელებს.

მეოთხე კლასში ვსწავლობდი, ბაბუა რომ გარდაიცვალა.

ისე ვიყავი მასთან მიჩვეული, ძალიან გამიჭირდა. ჭამასაც მოვუკელი და სწავლასაც. გავხდი.

პენსიის დღეს პარმენას „რაჟოკის“ ხმა რომ გავიგონე, ჭიშკართან ვიჯექი. ბაბუას მანეთიანი გამახსენდა და მოწყენილი შევბრუნდი სახლში.

პარმენა მოადგა ჭიშკარს.

— მოდი, ბიჭო, აქ და თან წყალი გამოიყოლე, თუ კაცი ხარ!

ავავსე დოქი და გავუტანე.

ესო — მითხრა — ეს მანეთიანიო...

სიტყვებს ეძებდა.

— ხო, ბაბუაშენს ბოლო თვის პენსია არ აუღია, შენთვის დამიტოვა და ყოველთვე მანეთიანი უნდა მოგცე, სანამ ამოიწურება... ა, ბაბუ, შენ მანეთი, ოღონდ სახლში არავის უთხრა, მარტო ჩვენ ვიცოდეთ!

გულწრფელი მინდა, ვიყო — მერე კი მივხვდი, მაგრამ მაშინ ფოსტალიონის ნათქვამი დავიჯერე. ისე გამიხარდა, თითქოს ბაბუა გაცოცხლებულიყო და ეს მანეთიანი მას მოეცა!

მეექვსე კლასში გადავდიოდი, როცა პარმენა ფოსტალიონი მოულოდნელად გარდაიცვალა. აგვისტო იყო და სკოლაში არ დავდიოდი. მთელი ღამე ვტიროდი.

დასაფლავების მეორე დღეს მე და ბებია აგურის კიბეზე ვისხედით...

უცებ რკინიგზის გაღმიდან პამპარა და პარმენას ცხენი გადმოვიდნენ. ძაღლი ჭიშკარს მოადგა და სამჯერ დაიყეფა. გავიქეცი და პამპარა გულში ჩავიხუტე... ღია ჭიშკარში ცხენი მშვიდად შემოვიდა და ღვინჯა მსხლის ძირში გაჩერდა...

VI-VII

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთა

რა მნიშვნელობა აქვს,
ვის გამოებმები თოკით,
თუნდაც მთას, რომელიც ყველასია,
ახვალ, ჩამოხვალ,
მაგრამ თუ ზედა ბრჭყვიალს
თვალებით მიებეჭდე,
თოკს კბილები შეატოვე,
ამ მძივით ივლი...
მთამ რომ გიღალატოს
ახალი თოკის მოლოდინში?
ალპინისტთან, მოყვარულთან,
ათას ვინმესთან,
ათასმეერთობას როგორ აიტან,
თუ ერთხელ მაინც
ბრჭყვიალზე ფეხი დაგადგმევინა?
მწარეა, ოღონდ, თვალსაჩინოდ
ნუ გეტკინება,
რამდენი ხანიც იკითხე
სინათლის პარტიტურა, იმდენ დროს
ითხოვენ თოკზე გამობმული ბავშვები,
საკეისროთი ამოყვანილები
ნორმალური მუცლიდან.
ისინი დაიმახსოვრე, იმათთვის იყავი,
როგორც მთა თავისთვისაა,
მაგრამ როცა წერაყინი თავში?!

* * *

კიდევ რამდენ ხანს უნდა მხარშონ
საერთო ქვაბში? ორგანიზმების თანასწორობამდე?
შუბლების გათანაბრება არ გამოდის,
გადატანითი მნიშვნელობითაც კი,
ამიტომ კუჭის თავზე წითელი ალამი!
სწორეა, გტკივა.
ციროზიან ღვიძლში რომელიმე
ბიძაშვილის ჩანერგვა, შუბლზე
სისხლის ფორმულა, რითაც გცნობენ,
გვარები და სახელები სასაფლაოზე!
ჩემისთანები რომ ასე იოლად არ იხარშებიან?
წვის ხარისხი აქვთ სხვა
და ჟანგისფერი ტოტები ტანში,
სასწრაფოდ ამოსაჭრელი, სანამ
პირიდან ხე ამოსვლიათ...
ფორმა ნომერი ასი
შემიძლია გაჩვენო, ღმერთო!
როდის ამომაჭრეს, რამდენი,
როგორი მაკრატლით. არ გადავაყრევინე,
ერთმანეთზე დავაწებე და ისევ ხე გამომივიდა,
სევდიანი, შემოდგომის.
ასეთი დამაყენე სადმე,
შეშინებულებს ჰორიზონტი გავუადვილო!
რა ვქნა, აბრეშუმის მანერები
გზიდან გადახვევის და რბილად მოკეცვის,
ვერ ვისწავლე...

გაუცხოება

უხვად დაშაქრულ ჩაის
ლიმონის ჟრუანტელი დაუვლის —
ასაკი მშვიდი ფუფუნებით
ცვლის ფათერაკებს.
გავდივართ ქუჩაში,
ვადგებით ჩვენ-ჩვენს გზას,
ყოველდღე ერთსა და იმავეს,
ერთმანეთის საპირისპიროდ გამავალს
რკინა-ბეტონის კალაპოტში.
ისეთი უცხო ვარ ჩემი ბავშვობის ქალაქში,
რომ ვერცერთი ძაღლი ვერ მცნობს,
ნაცნობებს თვალს ვარიდებ:
უნდა გაუღიმო, მოიკითხო,
მოისმინო არაფრისმთქმელი სიტყვები
ამინდზე და ჯანმრთელობაზე,
დამახინჯებული ლათინურით ყურები გაიკაწრო.
მუსიკასთან როდის მიიტან?
კონსერვატორია ზამთარში დგას,
ვოკალით გაპრიალებულ ყელს
შორიდან უჩვენებს აქოშინებულ ჩემისთანებს,
ისეთი დახვეწილი ნიუანსები კი,
როგორიც გაზაფხული და შემოდგომაა,
გაცვეთილი მანქანების ბიზნესს შემოეჭამა...
სანამ ის კაცი, ლიმონის მთვარე რომ მასწავლა,
უკონტროლო ემოციებს მიხატავდა
შესაბამისი სისხლით,
დღეები ხან ძნელი იყო, ხან ტკბილი,
ჟრუანტელი მუდმივი, კარგად ვიყავი...

გაკვირვება

ზაფხულში სხვა სინათლეა,
დარწმუნებული თავის თავში.
მიწა — ისეთი ყავისფერი,
დამპალ ხილს რომ ნეგატივი ამოაცალო,
სიტკბოსკენ წასული...



წყლის ჭიქაში — ყინულის ანგელოზი,
ის მამკვეთრებს,
თორემ გავიდღაბნებოდი მედუზასავით.
სანამ კონტური მოძრავი და ნიჭიერია,
ანუ იცის, სად დამრგვალდეს,
სად პარალელური ხაზები დაუშვას
ნიკაპიდან მიწამდე, როდის
არითმია ააციმციმოს, მანამდე ხომ ვარ
და კიდევ 17 წლის მოზარდი მიზის
დაბერებულ საშვილოსნოში,
როგორც კლასიკურ მომღერალს ყელში
ეკალივით ამოსული როკ-ბავშვები.
მოვდივარ ქუჩაში, მეფშვნება ხერხემალი,
მექცევა ნაღველი, მისკდება თავი,
მაგრამ, მაინც, ჩვიდმეტი წლის ვარ
და მარჯნის მძივი მიკეთია,
რომ ვიღაცას მოვეწონო,
ან გაუკვირდეს
და კაცს რომ რამე გაუკვირდება,
იმასაც შეძლებს,
რეალურ გეოგრაფიაზე იდგეს,
და გაფრენილ მატერიკებს უყურებდეს
ან მრუდე ხერხემალზე ჩამოცმული
მძივი ქალი ეგონოს...

ახალი წელი

ახალი წელი.
ლაპარაკით გახურებულ ენაზე
შაქრის ნატეხი...
რა მონუმენტური იყო!
როგორ დაწვრილმანდა,
როგორ აჩურჩულდა ორატორების
აშენებულ ხმამაღალ სამყაროში!
ცაში ფრენას და ბულბულის ენას
აღარ მოითხოვს, ამათთან
ისე მსუბუქად გარითმული ზენასგან,
რომ დარბაისელი წინაპარი გაგახსენოს
და არა რაღაც ანომალიური ლექსები,
სადაც გოზინაყის მდუღარე ოქრო
ჯოჯოხეთურ ბედნიერებას გიახლოვებს,
როცა ჩაის ჭიქაში ჩაგდებული ვერცხლის კოვზი
უფრო ზამთარია, ვიდრე
თოვლით დაფარული მთელი ქალაქი...
ახალი წელი მოდის,
ბავშვები ფორთოხლების კოცონებს ახტებიან...

გაოგნებული

ეს წვრილმანი სიხარულები
რამდენ ხანს კიდევ:
მზე რომ ცივია, სახლი თბილი,
ლოგინი მარტოხელა, მაგრამ
ლურჯად გახამებული, გაყინული ქათამივით...
როცა ქუჩა მართალი იყო,
სახლი ტყუოდა, დიდაქტიკური გულმოდგინებით,
ახლა, პირიქით, ქუჩა ტყუის
ამიტომ ერთი სახლში ვრჩები,
ერთი გავდივარ და საკუთარ თავს
ქვას ვესვრი, საგარეო შუბლს ვუტეხავ,
ნამდვილი საწერ მაგიდაზე მიდევს
და თვალების დაელმებამდე მტკივა,
წნევის საზომიდან ვერცხლის სვეტები
ამომაქვს — მთელი პართენონი,
მეტაფიზიკური ძარცვა სეზონურად დაშვებულია,
მაგ., სავსე მთვარის დროს...
რა წვალებით ვიკეთებდი ამ შუბლს!
ფართეს, ქალაქურს, ნაკეცებიანს,
საფეთქლებთან მოჭერილს,
ამ საგარეოს ვესროდი ქვას
და გატეხილი ადგილებიდან
ცნობიერების ნაკადი მდიოდა,
შინაური შუბლიდან — სისხლი,
აორტაზე დაყრდნობით ვწერდი
და არა ასოების დახრილობაზე,
სისხლით, თუ წითელი პასტით,
ვინ მიხვდებოდა,
ისე ფართედ მტკიოდა შუბლი...

სიმეტრია

ლექსის მასალა — მდუღარე
სასწრაფოდ მოითხოვს
ყურის შუბლზე ატანას,
ცხვირის გაშვებას ქარის მიმართულებით —
ესენი იჭერენ არც თუ ისე
აშკარა მუსიკას და სანამ
ძველებურად დალაგდებიან,
თაფლივით დღე გაქვს...
მერე ისევ სიმეტრიის ციხე,
კანონიერი მავთულხლართები,
სისხლით მოეჭიდე,
დაარღვიე ყველაფერი, რაც დასარღვევია!
გადაბრუნებული სახით იყავი!
სიმეტრია მოსაწყენია.

და ველარ ხვდები...

აქ ისეთი მაღალი ბალახია,
სადღაც ახლოს მდინარე უნდა იყოს,
მაგრამ არ ჩანს, როგორც ეკლესია,
რომლის ვიტრაჟები წყალს ადასტურებენ,
ფრესკებს მხატვრის ცოლის,
ან კახპა მეზობლის სახეები აქვთ,
რეპრესირებული ბაბუა იყურება
ბოლო სიმაღლიდან...
თუ ცოცხალი ხარ, საიდან
ასეთი თურმეობითი გადახრა?
თუ მკვდარი, ეს ყველაფერი
რატომ გტკივა?
ხიდად რომ იყავი გადებული მდინარეზე,
გახსოვს? და ზედ ხერხემალზე დადიოდნენ,
იქით უფრო მაღალი იყო ბალახი,
აქეთ — უფრო მწვანე, ვერ ხვდებოდნენ
სად ურჩევნიათ და თავს კარგავდნენ...
ხიდის მოაჯირობა რომ შეგეთავაზებინა,
მომდევნოების გადასაყვანად, დათანხმდებოდნენ?
საკუთარი თავის პოვნასაც?
იმის დანახვას, როგორ გტკივა
ეს ყველაფერი და ველარ ხვდები,
მოკვდი თუ ცოცხალი ხარ...

დეკადანსი

საათიანად იხსნი მაჯას,
მაგიდაზე დებ. ძილის დროა,
თუ უძილობის?
მოუნელებელ ნარინჯისფერზე ფიქრის
შესაბამისად ცივ ღამეში?
სიზმარი უხორცო,
მარტო ხმები ეხებიან ერთმანეთს.
იმყოფინე ეს ეროტიკა!
ძილში ჩატანებული მარჯვენა ხელიც
ცეცხლზე მიუთითებს, დაუნახავ სიღრმეში
ტკბილად დაწყებულზე, როდის გახდა საშიში?
როცა მარცხენა ხელმა გააჩერა დრო
და მაგიდაზე დადო?
ზედ დამხობილი თავები გააუქმა
ამ ძველ და დაღლილ ქვეყანაში
და კრიზისს მიაბა,
რომელიც სისხლს კი იმიზეზებს,
მაგრამ ბერწია, ამხელა ნარინჯისფერს
მილიგრამობით ჭამს, შენთვის რომ გქონდა,
შემდეგი სპილენძის დღეებისთვის...
დედაშენის ღმერთი ლმობიერი იყო,
შენი — ესთეტი, სიტყვაში ზარი აქვს,
ამიტომ „დეკადანსი“
რეალური ორმოს მაგივრად?
ლიტერატურული გადახრა
არასტანდარტული მათხოვრებისკენ...
იქნებ, ცოტა მიწაც გაგიგრძელოს,
სულ რამდენიმე ხით...

კატო ჯავახიშვილი

ფარდულის ანგელოზები

დიდება ქვეყანასა ამას,
მუცელგაფატრული ბაღების
ღმერთებისგან მკვდრადშობილს,
დამარხულს ენით, მიწისძვრით და წყალდიდობებით.
ჭრელხალიჩაგადაფარებულს.
დიდება კოკობსა ვარდსა და
ზურგიდან გამცვდარ დარდიან ხმასა,
იავ-ნა-ნოს და ვარდო-ნა-ნოს,
ნაწყალობევს და არც ისე თამამს,
თვალ-წამწამ-წასულ მინდვრების ალაგს,
ტიკჭორით ჭას და მის ფსკერზე ფარას,
ცხვრისას.

დიდება ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს!

დიდება მგზავრს და მორჩენილ საგზალს,
ზურგიდან ტყეს და წინიდან ხანძარს,
ფარდულში ფეხის შესწრებას და გზას,
რომელიც არ სჩანს.
დიდება ძარღვებამომჯდარ ხელებს,
ქვიტკირის ფაფას სიზმრით რომ ზელენ,
შარაზე სოფლის მაყვალს და ასკილს,
ხარაჩოების შეწვდენას ცაში.

წყალმცენარეთა ხეივნების ყვავილობით სახედაკენკილ გმირებს დიდება!

დიდება შიმშილს და ხანგრძლივ ზამთარს
თხელ ფიცრულებში მონარჩენი ზღაპრებით მაძღართ,
ფუნთუშებიდან ქიშმიშებივით ამომძვრალ ბავშვებს —
გზის ყაყაჩოებს.
დიდება ხატს და დედასავით საფიცარს
სამშობლოს ჩვენსას,
მიწას და ყანას, კოლექტიურ მკასა და თესვას,
მალებგამცვდარი ხერხემლიდან ასიდან ათი
წამოდგება და სახატეში კელაპტარს ანთებს, —
სად არის ახლა „ჩემი ხატია?“

დიდება გმირებს, მეჯართეებს, მაღაროელებს!

დიდება ომს და დიდება ფოლადს,
ტყვიების წვიმას და მზეებს ფონად
და მდინარეებს, რომლებსაც მოაქვს
ზარბაზნის სიმფონია.
დიდება სიკვდილს და ყველა მკვდარსაც,
დამარხულს, ანდა დაკარგულს გზაში
და ყველას, ვისაც სჯერა, რომ მოვლენ
ფარდულის ანგელოზები.

სამომავლო განტოლებები

უსმინე, როგორ იზრდება მიწა და
სადღაც შიგნით როგორ იღვიძებს
ხმაური ფეხის და დედამიწის.
ვინც ზურგშექცევით შემოუბრუნდა,
გზას შეციებულ ფერდებში იტევს.
და აიჭრება ქარში საღი რძე,
გაიფოთლება ჭიანი კვირტი.
შეგიძენ ამ წამს, ვერცერთ ბუდეში
რომ ვერ შეგასწროს შენმა ნაბიჯმა.
და ქარი ქროდეს მომწვანო ტბაში, —
გამოტოვებულ, ხანმოკლე ძილში.
ისხდნენ ხეები, თვალებდახრილნი
და არ შეგეძლოს თავის გამიჯვნა იმ ცხოვრებისგან,
შენ რომ თამაშობ.
და თუკი მიწას სთხოვ, რომ გაგიძლოს, —
გადაიქცევა უმალ სახლივით.

უსმინე, როგორ ამღერდა მწვანე და
ეს მინდვრები როგორ დამძიმდა
ამ მიწისზედა გადასასვლელით.
ტალახის კაცი ყვავილებს ღეჭავს,
მანამ გვირილებს გვირგვინად ჩაწნავს.
ვინ ეტყვის ქარებს ახლა სამძიმარს,
ვინ იცის ახლა მათი სახელი.
რამდენ სიჩუმეს დაიტევს ეს ჭა, —
ჩაიგუბებს რამდენ სიბრმავეს.
გამოატარებს შენს ბავშვობას კაკლის წვერებზე.
შეაერთებს წყალსა და გემბანს.
თუ გემბანიდან გადმოხვედი, სად იხარებენ შენი ყანები,
როცა დაღლილი ჩაიძინებ?!
ან ამ ყანებში შენი ტანი რომ იწვიმებდეს
და გუბე გერქვას, არ აირჩევენ
მიწისქვეშა გზებს ბაყაყები?!

რა ჭრელია კაბა ჩვენი პირიმზისა,
რა შავია კაბა ჩვენი პირიმზისა,
რა სახადი მოიხადა, იქნებ მზისა,
იქნებ მთვარეს მიაფარეს ფარდა.
სად ქარია, სად კი წვიმა, განა ცისა.
სად მარხია ხევის ტანი, სად კი მთისა.
ნაცვლად ცვარით დანამული ცის კიდისა.
უფრო თეთრი და მზიანი პირიმზისა.
რომელ მხარეს გავუბევრო მიწა.

უსმინე, როგორ ზრიალებს ქარი და
სადღაც შიგნით როგორ მთავრდება
ეს სამომავლო განტოლებები.
ვინც ზურგშექცევით შემოგიბრუნდა,
გზა შეციებულ ფერდებში იმწყვდევს.
ეფარებიან თეთრი ფარდები
ყველა მოაჯირს და ყველა კიბეს.
უფრო ქვევით და უფრო დაბლიდან
უფრო და უფრო მკრთალდება სივრცე.
შეგიძენ ამ ქარს, შენმა ნაბიჯმა
რომ ვერ შეგასწროს ამ ხანგრძლივ ძილში.
და ყველა ტბაში დაჰქროდეს ქარი, —
და ქარი იყოს სწრაფი და უცხო.
და არ შეგეძლოს თავი გამიჯნო
იმ ცხოვრებისგან, შენ რომ თამაშობ.

შეხედე, როგორ მოკეცა მუხლი და
უცებ როგორ გადაიხარა, —
სიტყვა ხმოვნების ნატირლად გაყო.
დაემგზავრები რომელ ქვაფენილს,
რომელ სიჩუმეს ამოიხავლებ.
ვისი მკვდარი გყავს ლოდინის მხარეს,
სიჩუმის მხარეს ვისი მკვდარი გყავს.
ვისმა ჩიტებმა გადაიფრინეს
ეს სამომავლო გზები. მინდვრები.
გამოიცვალონ უნდა ხეებმა
სქელი და მყარი ტანი — მერქნები.
გამოიცვალონ შენი თითები.
ძვლები. თვალები. და ამინდები.
და თუ ნერგები გაიხარებენ,
თუ რამ დარჩება, თუ რამ იქნება, —
ამოთეთრდება მიწა, — თოვლივით.

რა ჭრელია კაბა ჩემი პირიმზისა.

კაცი, რომელიც ცოცხლად მოკვდა

მე ის ვნახე.
კაცი, რომელიც მიიცვალა.

— აქ ფეხზე უნდა გაიხადო! — სიბერეს უყვარს
ფაჩუჩებით სახლში ფრატუნი, —
მითხრა ვიღაცამ თუ რაღაცამ,
და რომ შევედი, არ გავიხადე.

კაცი, რომელიც ცოცხლად მოკვდა, ოთახში იჯდა.

გორებად იდგა წიგნები და ხელნაწერები,
სატელეფონო ნომრები და გაურკვეველი ნაგლეჯები,
და ფოტოები, კედლის გასწვრივ, საწოლის თავზე,
არ გაცილებდნენ თვალს და თითქოს გაკვირდებოდნენ, —
რომელ მხარეს გაბრუნდებოდი.

— შარდის სუნით ყარს ყველაფერი, —
ამბობდა ქალი არსაიდან
და ოთახიდან კედლის გავლით ქრებოდა.

და მე ვხედავდი შარდის ქილებს საწოლის ირგვლივ,
მაგიდის უკან: მყრალებს და ყვითლებს.
და კაცი, რომელიც უკვე მოკვდა, ჩემ წინ ცოცხლობდა.

ეს სიბრალული იყო ისე ამაზრზენი, ისე უსულო,
როგორც ამ კაცის ხორციელი ფანტაზიები,
რომელშიც მისი სიყმაწვილე ჯერაც სუნთქავდა.

ჯერ სიბერეს არ მოეჩლაჩა მისი სხეულის კიდეები,
ჯერ კიდევ ჰქონდა ყველაფერი, რაც რამ უნდოდა,
ქალი და ფული, წარმატება, სულ ყველაფერი,
რასაც ჯერაც არ შეხებოდა
მისი გარყვნილი ღამეების მესასთუმლე,
სიბერე, როგორც გახრწნის უღვთო პირობითობა.

ჯერ კიდევ ჰქონდა მკლავში ძალა, რომ მაგიდისთვის
დაერტყა მუშტი,
გაყვითლებულ ფრჩხილებით შემოეღობა
თავის სხეულზე ჯერაც საღი სახნავ-სათესი
და მერე, როცა დროს სიკვდილით გააცილებდა
თავისი გულის ცარიელი განჯინებიდან,
ამოფერთხავდა ყველა ძვალს და ხორცის ნაგლეჯს,
ამ დროსაც თანვე წაიყვანდა, დიდი ხურჯინით, —
სადმე იქ, სადაც თავად იყო ღმერთიც და მგზავრიც.

კაცმა, რომელიც უკვე მოკვდა,
არ იცოდა, რომ
მისი ღმერთი უკვე გაიხრწნა.

მე ეს ვიცოდი, საყოველთაო უძრაობის კანონებიდან.

ამიტომ როცა იმ ოთახში შევაბიჯე და
კაცი, რომელიც უკვე მოკვდა, მაგიდას უჯდა,
მოკაკვულ თითებს იფშვნეტდა და
დიდ ვარცლში ფშვნიდა
თავისი ტანის მარადიულ ახალგაზრდობას,
და ოცნებობდა, რომ ჩემს ირგვლივ შემოეჯარა
ფუღურო ძვლების გალავანი,
რომ მარტოობას, ასე საშიშს, ასე მდუმარეს,
არ დაეკაწრა ამ ოთახის ყველა კედელი
და შარდის ქილებს, ასე მყრალებს და ასე ყვითლებს,
ამ ოთახიდან სიცოცხლეში ემოგზაურათ,
მას კი ეყიდა ყველაფერი, რაც რამ უნდოდა
ფულით, გავლენით, მოკაკვული თითებით, დღესვე!

ამიტომ როცა იმ ოთახში შევაბიჯე და
შავი მტრედების ორკესტრთან ერთად,
ბოლო რექვიემს ვასრულებდი მისი სულისთვის,
ხოლო სიჩუმეს — ამ ორკესტრის აკომპანემენტს —
საკრავის ნაცვლად, ხელში მისი მაჯა ეჭირა,
დროის ათვლა ქარმა დაიწყო.
და ქარი ქროდა, ისე სწრაფად, ისე უხამსად,
რომ როცა ღუღუნს ხროტინის ხმა შეერეოდა
ქარის საკრავებს უკიოდნენ შავი მტრედები.

მე ის მოვკალი,
ტკივილის და ოხვრის გარეშე.

კაცი, რომელიც მიიცვალა, ისევ მოვკალი.

ლეილა მასწავლებელი

ჩემს სამივე შვილს ასწავლიდა დაწყებითში.

მთელი თორმეტი წელი ლეილას სახელი ისმოდა ჩვენს ოჯახში.

— ლეილა მასწავლებელს თმა შეუღებავს...

— ლეილა მასწავლებელმა, პროფესორი ხარო...

— ლეილა მასწავლებელმა, მშობელი მოიყვანეო...

ლეილა მასწავლებელი და ლეილა მასწავლებელი...

მოკლედ, ოჯახის წევრივით იყო.

კაი ხანი გავიდა მას მერე.

შვილებმა სკოლაც დაამთავრეს და ინსტიტუტიც.

სამოცი წლის გახდა ლეილა.

სკოლაში მისულს სამასწავლებლოში ტორტი და ლიქიორი დახვდა. დიდი სიყვარულით მიულოცეს. გაკვეთილების შემდეგ მშობლებმაც ტორტი მიართვეს. ბავშვებს აჭამეთო — დაჭრა და იქვე დაარიგა.

მეორე დღეს დირექტორმა მორიდებულად უთხრა:

— ლეილა, სერტიფიცირებული მასწავლებლები გვყავს, გამოცდა უნდა ჩააბარო, თორემ შეგავიწროვებენ...

ოცდახუთი წლისა იყო ლეილა, ამ სკოლაში მასწავლებლად რომ მოვიდა. აქ დაბერდა. ოჯახი ვერ შექმნა. ოცდათხუთმეტი წელი ასწავლიდა ბავშვებს. ვინ მოთვლის, რამდენი ჯილდო და მადლობა მიუღია. ახლა კი, გამოცდა ჩააბარე, თორემ შეგავიწროვებენო...

ის სერტიფიცირებულებიც ხომ ჩემი გაზრდილებიაო, გულს ასკდებოდა ლეილა, მაშინაც ხომ არ მქონდა ეს ოხერი სერტიფიკატი, რა, ცუდად ვასწავლე რამეო?

— ახლა სხვა დროა, ქალბატონო ლეილა, — არ ეშვებოდა დირექტორი, — ახლა სხვანაირი ახალგაზრდები მოდიან... მეტი მოეთხოვება მასწავლებელს.

— კოლაბორაციონიზმი რა არის, მას? — ჰკითხა ერთ დღეს იმ სერტიფიკატიანის შვილმა.

დაიბნა ლეილა, ასჯერ ჰქონდა ეს სიტყვა გაგონილი და არცერთხელ მისი მნიშვნელობით არ დაინტერესებულა.

— ხვალ ვილაპარაკოთ მაგაზე! — გულმოსულმა უპასუხა მოსწავლეს.

— შინ მეც კი დავგუგლავ, ახლა მაინტერესებს, — არ მოეშვა მოსწავლე.

ახლა ეს „გუგლი“ ჩაეჭედა თავში — „ეს დაგუგლვა რა ჭირია, ნეტა...“

„არა, არა, მართლა უნდა წავიდე — ფიქრობდა ლეილა — ჩავამთავრებ ამ წელს და მორჩა, არ ავიყვან პირველ კლასს... მეყოფა ჩემი პენსია, მოვახერხებ რამეს. რა დროს ჩემი გამოცდა და სუფთა წერაა... უნდა წავიდე!“

მაისის ბოლოს განცხადება აახლა დირექტორს, არ მინდა აქაურობა, ვერ გავხდები აბიტურიენტიო.

დარჩა ლეილა პენსიის ამარა.

ცოტა დანაზოგი ჰქონდა და ერთხანს ციცქნიდა. ერთი ძროხა ჰყავდა და შიგადაშიგ ყველსაც აბარებდა. ბოსტანშიც მუშაობდა.

ერთ დღეს თავი ცუდად იგრძნო და ექიმთან მივიდა. წამლები გამოუწერეს. იანგარიშა და პენსია წამლებს უნდებოდა. თან მუდმივად უნდა ესვა. გამოილია დანაზოგი. ძროხაც გაშრა. გაუჭირდა ლეილა მასწავლებელს.

იმ დღეს უმცროსმა ბიჭმა ოცლიტრიან მოწნულათი არაყი მოიტანა.

— ბიჭო, სხვისი რაღად გვინდოდა, ჩვენი არ ვიცი, სად წავიღო!

— ლეილა მასწავლებელი ყიდის თავის გამოხდილ მსხლის არაყს, სულ ნისიად მიაქვთ თურმე და იმ დღეს პურის ფული არ ჰქონია... გამოვართვი ოცი ლიტრი, ასი ლარის, მეტი არც ჰქონდა, იყოს, ხომ არ გაფუჭდება... არაყი სულ არ მინდოდა, ფულს ისე ვაჩუქებდი, მაგრამ არ გამომართმევდა, ხომ ვიცი...

— კაი, შვილო, გადაცალე ჩვენს ჭურჭელში და წაუღე უკან მოწნულა. დედაშენს უთხარი, ყველიც გაგატანოს...

ახლა გოგო მიყვება:

— ლეილა მასწავლებელი ავტობუსში ამოვიდა. თან თავმოკრული ვედრო ამოიტანა, კვერცხები მინაქონა ჩასაბარებლად. ჩასვლისას დაუცდა ფეხი, დაეცა და დაემტვრა კვერცხები, უნდა გენახა, რა დაემართა... შერცხვა, გაწითლდა... დამტვრეული კვერცხები ისევ ვედროში ჩაყარა და ნაგვის ურნაში ჩაუძახა... უკან დასაბრუნებელი ორმოცდაათი თეთრი ჩუმად მესესხა და იმავე რეისით დაბრუნდა. ისე შემეცოდა, ვიტირე.

გარებიძაშვილის ცოლი იყო თურქეთში. ლოგინად ჩავარდნილს უვლიდა. სთხოვა ლეილამ, ეგებ მეც მიშოვო ერთი დავრდომილიო. კარგა ხანს ელოდა ზარს. როგორც იქნა დაურეკა რძალმა. დაურეკა თუ არა, წავიდა. გამოკეტა ოდა. დაადო ბოქლომი ჭიშკარს. წავიდა და ჩვიდმეტი წელი არ ჩამოსულა.

სოფლის გამგებლად ვმუშაობდი. მობილურზე უცხო ნომერი აციმციმდა.

— ლეილა მასწავლებელმა გთხოვათ,

ვასილ ბესელია

თუ შეგიძლიათ, ჩემთან, შინ მობრძანდითო, — მითხრა უცნობმა.

— რასაკვირველია, მივალ. გადაეცით, ერთ საათში გეახლებათ-თქო.

არ გამიგია ლეილას ჩამოსვლა, ისევ თურქეთში მეგულებოდა. ვიფიქრე, ხელცარიელი ხომ არ მივალ-მეთქი, ერთი პატარა ტორტი და ყავის ლიქიორი ვიყიდე.

დიდი სითბოთი შემომეგება, ზალაში შემიძღვა და ძველებურ მრგვალ მაგიდასთან სკამი მიმიჩოჩა. ტორტი და ლიქიორი მაგიდაზე დავდე. გაეცინა, ცუდად მაქვს დაცდილი ამათი კომბინაციაო. შვილები მომიკითხა. შენთან დიდი გული მაქვს და აქეთ იმიტომ მოგიყვანეო. დაბერებულიყო. ოთხმოცს უკაკუნებდა. კვირაზე მეტია ჩამოვედი და სახლ-კარი ვერ მოვიყვანე ჭკუაზეო, თითქოს უწესრიგობისთვის მომიბოდიშა.

— შენ ხომ იცი, როგორ მიყვარდა ბავშვები, მარტო შენები კი არა, ვისაც ვასწავლიდი, ყველა მიყვარს და მახსოვს.

— ვიცი, ქალბატონო ლეილა, თქვენც უყვარხართ თქვენს აღზრდილებს, ჩემები დღესაც თქვენს ხსენებაში არიან.

— შენი მაინც სხვა ყოფილა, სამი დღეა არ მინახავს და ლამის გავგიჟდე! გაოცებულმა შევხედე. ცოტას ხომ არ ურევსმეთქი, გავიფიქრე. მიმიხვდა, გაგიკვირდა ხომო, ახლავე აგიხსნი ყველაფერსო.

— თურქეთში რომ ჩავედი, მსახიობების ოჯახში მოვეწყვე ძიძად. კირბიიკები იყვნენ გვარად. მთელი დღე საქმეებზე დადიოდნენ. ხან სერიალში იღებდნენ, ხან სპექტაკლი ჰქონდათ, ხან ღონისძიებები მიჰყავდათ. მოკლედ, დილიდან შუაღამემდე ქანცი ჰქონდათ გაწყვეტილი. პატარა ბიჭი ჰყავდათ, ჩინარა ერქვა, თერთმეტი თვისა იყო, როცა ჩავიბარე, არც სიარული იცოდა და არც ლაპარაკი... ხუთი წლის იყო ჩინარა, როცა მისი მშობლები ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ. ბავშვი დედის მშობლებმა წაიყვანეს. სხვა ძიძას ავიყვანთო. მითხრეს, თვის ბოლომდე წავსულიყავი. ცუდად გავხდი. მიყვარდა ჩინარა. ვერ ვიქნებოდი უიმისოდ. ბავშვმაც მიატოვა თურმე ჭამა. დღე და ღამე ტიროდა. არ ელაპარაკებოდა ბებია-ბაბუას... ისევ დააბრუნეს ჩემთან და მთხოვეს, დავრჩენილიყავი ამ სახლში, სანამ ბავშვი დავაჟკაცდებოდა. ჩვიდმეტი წელიწადი მე ვზრდიდი და ვემსახურებოდი. სკოლაში ვატარებდი, გაკვეთილებს ვამზადებინებდი... ჩემი ზღაპრებით გავზარდე, ჩემი საბავშვო და სადიდო ლექსებით...

უჩემოდ არ იძინებდა... აგარაკზეც მე დავყვებოდი, სხვის გაკეთებულ საჭმელს არ ჭამდა... განახათ ერთი, რა ბიჭი გაიზარდა, ბებოს მეძახის, ენაცვალა ბებო, ჩემი მშობლიური ენა ქართულიცააო, ერთხელ სასკოლო დავალებაში ჩაწერა... მთელი ქართული მწერლობა და კულტურა გავაცანი, ქართველ კაცად გავზარდე, რაც შემეძლო, არაფერი დამიკლია! — სული მოითქვა ლეილამ.

— მოდი, დავჭრათ ეს ტორტი...

თეფშები მოიტანა, ახლავე ყავას მოგართმევო.

ტორტის ნაჭერი გადმომიღო.

— ცუდად გავხდი და ვიფიქრე, აქ არ მოვკვდე-მეთქი, — გააგრძელა ლეილამ, — მთელი ჩვიდმეტი წელი არალეგარულად ვიცხოვრე, სად წამსვლელი ვარ, მაგრამ აწი იქით ვერ გადავალ, საზღვარზე რაღაც ჩამიწერეს... ჩინარა ჩამომყვა, მისი მანქანით ჩამოვედით... ერთი თვე აპირებდა დარჩენას... ეჰ, ნეტა არ ჩამოსულიყავი, ლამისაა გული გამისკდეს...

— რატომ, ქალბატონო ლეილა?

— ცაკა გეგია ხომ გახსოვს, შენი კლასელი იყო, მგონი.

— კი,— თავი დავუქნიე.

— ცაკას უმცროსი გოგო, გულიადა, ჩემი მონათლულია. სისხლის გათეთრების დიაგნოზი დაუსვამთ, ისრაელშიაო წასაყვანი, სამოცი ათასი დოლარია საჭირო და გადარჩებაო... თურქეთში ხუთას დოლარს მიხდიდნენ, თვე არ გამოუტოვებიათ. ჩინარას ბებია თითქმის ყოველდღე მოდიოდა, საჭმელ-სასმელი და წამალი არ მაკლდა, ტანზეც და ფეხზეც ბევრი მიყიდა, საკმაოდ ახალგაზრდა ქალია, ცოლქმარს მაღაზიათა ქსელი აქვს სტამბულში, ჩინარას მეტი არავინ ჰყავთ, მასზე ლოცულობენ დღე და ღამე... რაში დამეხარჯებოდა ფული, ვინახავდი სახლის სეიფში, ასი ათასი დოლარი მაქვს იქ, სეიფის კოდი მე და ჩინარამ ვიცით... ახლა იმ ფულის ჩამოსატანად გავგზავნე ბიჭი, ჩამომიტანს და ცაკას მივცემ, მე რა ჯანდაბად მინდა, მიწაში ხომ არ წავიღებ... დავიტოვებ ჩემთვისაც, დაგროვილი პენსიაც დამხვდა... დღე-დღეზე დაბრუნდება და ფულს ჩამოიტანს. არ იცის ეს ჯერ ცაკამ, რომ მოვა, თუ გინდა, ერთად მივიდეთ და გავახაროთ!

— რომ არ ჩამოვიდეს ჩინარა? ასი ათასი დოლარი მაცდურია, არაა პატარა ფული, ქალბატონო ლეილა...

— როგორ გეკადრება, რას ჰქვია არ ჩამოვა, ჩემი გაზრდილია ის ბიჭი, არ ვიცი, ვინ გავზარდე?!

ვინანე, არ უნდა მეთქვა. სასწრაფოდ შევცვალე საუბრის თემა:

— მე რისთვის დამიბარეთ, ლეილა მასწავლებელო?

— შენ რისთვის, შვილო, და, ანდერძი მინდა დავწერო, არ ვარ კარგად, რომ მოვკვდე, შეჭამენ ერთმანეთს ამ ასი წლის სახლისთვის ჩემი ნათესავები, რომელთაც სიცოცხლეში არასოდეს გავხსენებივარ. სახლ-კარიც გულიადას მინდა დავუტოვო... თუ არ გადარჩა, დარჩება მის ოჯახს...

ისე ამოიოხრა, გული ამოაყოლა.

— კარგი, ქალბატონო, რეგისტრაცია უნდა ანდერძს, მობრძანდით ჩემთან სამსახურში და შევადგინოთ.

— როდის მოვიდე, დედა?

— ხვალ და ზეგ დასვენებაა, ორშაბათს თათბირია ზუგდიდში, სამშაბათს რაიონში ვთათბირობთ, ოთხშაბათს მობრძანდით თერთმეტ საათზე.

— კარგი, ჩემო ბატონო, აგერ მაქვს ანდერძი, წაიღე და თუ მოიცალო, გადახედე, ხელითაა დაწერილი, მაგრამ იკითხება.

ლეილამ კონვერტი გადმომცა. გამოვემშვიდობე და წამოვედი.

ოთხშაბათ დილით უბნის ექიმმა დამირეკა, წუხელ ლეილა გარდაიცვალა და გარდაცვალების ოქმია შესადგენიო...

— როგორ, რას ამბობ! — შევიცხადე მე.

— ამ დილით რძე მიუტანია მეზობლის გოგოს და მკვდარი დახვედრია საწყალი, ძილში გაპარულა. გულის უკმარისობა ჩაუწერე გარდაცვალების მიზეზის გრაფაში, გინდა — ინსულტი... — ისე გულგრილად მითხრა, მობილური გავთიშე.

უჯრიდან კონვერტი ამოვიღე. ანდერძი ლამაზი კალიგრაფიით იყო დაწერილი. გულიადას პირადი ნომრისთვის ადგილი იყო დატოვებული. ჩავწერე პირადი ნომერი. დავადასტურე ხელმოწერის იდენტურობა და რეგისტრაციაში წინა დღის რიცხვით გავატარე.

ლეილას დასაფლავების კვირისთავზე ცაკასთან მივედი. უხასიათოდ იყო, მაგრამ მაინც კაცურად დამხვდა. ჯერ წამლებით მკურნალობენ გულიადას, საოპერაციოდ ამზადებენ. ერთ თვეში ისრაელში წავალთო.

გადავეცი ანდერძი. თვალები ცრემლებით აევსო. ვყიდი ყველაფერსო, მითხრა. ჩემმა ძმამ ბინა გაყიდა დიდუბეშიო. დამ და სიძემაც ბინა გაყიდეს და ზუგდიდში მშობლებთან გადავიდნენო. ეს სახლ-კარიც გაყიდული მაქვსო. ერთ თვეში თბილისში წავალ ბიჭებიანად და მშენებლობაზე ვიმუშავებთო. ოღონდ ბავშვი არ მომიკვდეს და მათხოვრად ვივლიო.

ცოტა დავლიეთ. გულდამძიმებული წამოვედი. დოლარების ამბავი არ მითქვამს. ჩინარა იგვიანებდა.

ორი წელი გავიდა ამ დღიდან.

არ ჩამოვიდა ჩინარა.

უმკურნალეს გულიადას ისრაელში და გადარჩა გოგო.

ლეილას სახლიც გაყიდეს.

თბილისში დარჩა ცაკა.

ერთ-ორჯერ დამირეკა. ძმაც ჩემთანაა, ნაქირავებშიო. გულიადა გადამირჩა და ღმერთს მადლობაო!

იმ დილით თავი მისკდებოდა. ნამთვრალევი ვიყავი და ვერაფრით გამოვკეთდი. თვალს ძლივს ვახელდი. რეზინისჩექმებიანი კაცი დაუკაკუნებლად შემოვარდა.

— დამიწყდა ფუტკრები! — ყვირილი მორთო, — რა წამალი დაასხით ამისთანა, ყოფილიყო ის პეპელა, არ მერჩია? ოცი ბუკი ფუტკარი დამეღუპა, ამის დედა რომ ვატირე! ამინაზღაურეთ ახლა ზარალი, თორემ დაგხოცავთ სუყველას!

კი მემუქრებოდა, მაგრამ ისე მეძინებოდა, იავნანად ჩამესმოდა მისი ყვირილი.

— მოვა, მოვა კომისია, — ამოვღერღე, როგორც იქნა.

— როდის მოვა, როდის!!!

— გამოგზავნიან და მოვა, რა ვიცი, როდის!

(თან, მეტი არაა შენი მტერი-მეთქი, გავიფიქრე!)...

კაი, ბატონო, არ მოვა და შენი აჯობებსო, დამემუქრა და კარი გაიჯახუნა. რავა ამომწყვიტეს ამ ამოსაწყვეტებმაო, დერეფნიდან მომესმა.

მართალი იყო, რა მეთქმოდა.

ის-ის იყო, თვალი მივლულე და კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით.

ოთახში მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა შემოვიდა.

— გამარჯობა, გამგებელი თქვენ ბრძანდებით?

წამოვდექი და ხელი ჩამოვართვი.

— დიახ, მე გახლავარ!

— მე თურქი ვარ, ჩინარა კირბიიკი...

აზრზე ვერ მოვედი.

— ვინ, ვინ?

— ჩინარა კირბიიკი, ლეილა ბებიას გაზრდილი.

უცებ გამოვფხიზლდი.

— დიახ, დიახ, გამახსენდით!

— ლეილა არ დამხვდა და თქვენთან მოვედი...

— გელოდათ ლეილა, სად იყავით... ორი წელია, გარდაიცვალა!

— ვიჯექი!

— რა თქვით?

— ვიჯექი, აქედან რომ წავედი, საზღვარზე თქვენმა პოლიციამ დამაკავა, ინფორმაციაა შემოსულიო...

— რა ინფორმაცია იყო?!

— არ ვიცი, მაგრამ საბარგულიდან წამალი ამომიღეს...

— ჩაგიდეს?

— კი, ჩამიდეს! თან — ბევრი. ორი წელი მაწვალეს. ევროპელი ადვოკატები ჩარია ბაბუამ... ნარკოტიკი თვალით არასოდეს მინახავს... გამამართლეს, მაგრამ ორი წელი ჯოჯოხეთი გამოვიარე!

პირდაღებული მივჩერებოდი ჩინარას და წამითაც არ შემპარვია ეჭვი მის გულწრფელობაში!

რაც მართალი — მართალია, სუფთა ქართულით მეტყველებდა და დახვეწილ მანერებს ავლენდა.

— გამიშვეს თუ არა, საბუთები მოვაგვარე და წამოვედი. ბებია გარდაცვლილა. სასაფლაოზე მინდა მისვლა.

— კარგი, წავიდეთ, მე გაგყვებით.

ჯიპში ჩავსხედით.

ლეილას საფლავზე ზლუქუნით ტიროდა ჩინარა. ასე ატირებული მამაკაცი არც მინახავს.

— ამ საფლავს მე მოვუვლი და გავაკეთებ, — მითხრა დაწყნარებულმა.

— ახლა ერთი მითხარით, გულიადა გეგია ცოცხალია?

— კი, ცოცხალია და კარგადაა, სამი სახლი გაიყიდა მაშინ. ძლივს გადაარჩინეს.

თვალები გაუბრწყინდა ჩინარას.

— კიდევ კარგი, კიდევ კარგი, ესაა მთავარი, დანარჩენს ეშველება!

სად ვნახავ გულიადას?

— თბილისში არიან, მისამართი არ ვიცი, მაგრამ მივაგნებთ, რატომ ეძებთ, ყმაწვილო?

— ლეილას მობარებული ფული უნდა გადავცე, ასი ათასი დოლარი, ასე უნდოდა ბებიას!

გამაჟრჟოლა. ლეილას ნათქვამი გამახსენდა:

„რას ჰქვია არ ჩამოვა, ჩემი გაზრდილია ის ბიჭი, არ ვიცი, ვინ გავზარდე?!.“

კოჭლი ჯვებე

რკინიგზის სადგურსა და სემაფორს შუა ერთი პატარა ჯიხური-საგუშაგო იდგა. ამას ახლა ვარქმევ ჯიხურსა და საგუშაგოს, თორემ მაშინ მთელი სოფელი, ჩემი ჩათვლით, „პოსტს“ ეძახდა. თუ ვინმე „პოსტს“ ახსენებდა, სადგურსა და სემაფორს შუა რომ საგუშაგოა, იმას გულისხმობდა. არავითარი გუშაგი და დარაჯი იქ არ მდგარა. ერთი კოჭლი, ომგამოვლილი კაცი მუშაობდა. რკინიგზის მეისრე გახლდათ. სადგურში ორი ლიანდაგი შედიოდა. მეისრე ხან პირველზე შეიყვანდა მატარებელს, ხან — მეორეზე, ისე, როგორც სადგურის მორიგე უბრძანებდა.

ჯვებე ერქვა მეისრეს. „კოჭლ ჯვებეს“ ეძახდა მთელი სოფელი. არ სწყინდა. გაცნობისას, კოჭლი ჯვებეო, თვითონაც ასე წარმოგიდგენდა თავს და ღიმილიანი ჩამოგართმევდა ხელს. ცოლ-შვილი არ ჰყავდა. ამბობდნენ, ახალგაზრდობაში უბნელი გოგო უყვარდა და ომიდან ჩამოსვლამდე გაუთხოვდაო. ცოცხივით ულვაში ჰქონდა, ნიკოტინით გაყვითლებული. მუდამ რკინიგზელის ფორმა ეცვა. სხვა ტანსაცმელში მე ის არ მინახავს.

სემაფორი ზუსტად ჩემი სახლის წინ იდგა. ყოველ საღამოს, ერთსა და იმავე დროს, გამოდიოდა პოსტიდან კოჭლი ჯვებე, გამოჰქონდა ორი ანთებული ლამპა-ფარანი, ქარი რომ ვერ აქრობს, იმნაირი, და კოჭლობით მიდიოდა სემაფორისკენ. ჭრიალ-ჭრიალით ჩამოუშვებდა მცოცავ სუპორტებს, დაამაგრებდა ანთებულ ფარნებს და ისევ ჭრიალითა და რახარუხით აწევდა ზემოთ. ღამით, თუ სემაფორი დაშვებული (დაკეტილი) იყო, ფარანი წითლად ანათებდა, თუ ღია — მაშინ მწვანე შუქს გამოსცემდა. თუ მატარებელი პირველ ლიანდაგზე შედიოდა, სემაფორის ერთი ფრთა იყო აწეული და ერთი მწვანე ენთო. თუ მეორეზე — ორივე ფრთა იწეოდა და ორი მწვანე ციმციმებდა. ხომ ყოველ საღამოს აჭრიალებდა ჯვებე სახელურს, მაინც არ მბეზრდებოდა და ფარნების ჩაყენების დრო არასოდეს გამომპარვია.

— მე დავატრიალებ, ჯვებე, მე! — ვეცემოდი ხელში და აქეთ-იქით ვიხედებოდი, მიყურეთ რა რთულ და საპატიო საქმეს ვაკეთებ-მეთქი.

ხან ორივე ლამპას პოსტიდან სემაფორისკენ მძიმედ, მაგრამ გახარებული მივარბენინებდი. მოკლედ, ჯვებეს თანაშემწედ ვმუშაობდი.

დილით, გათენდებოდა თუ არა, ისევ ააჭრიალებდა ჯვებე სემაფორის ჯალამბარს, ჩამოწევდა ნავთგამოლეულ ფარნებს და პოსტში წაიღებდა. დღისით სემაფორს ფარნები არ სჭირდებოდა.

საგუშაგო იმდენად პატარა იყო, ორი კაცი ძლივს ეტეოდა. საკმაოდ განიერ ფანჯრის რაფაზე ჟურნალი იდო, რომელშიც ჯვებე დროდადრო რაღაცას წერდა. ერთი ტაბურეტი იდგა და ერთი მრგვალი ნახშირის ღუმელი. კედელზე პატარა კარადა ეკიდა, შიგ ყოველთვის იდო მჭადი და ყველი. სხვა საჭმელი მე იქ არ მინახავს. ტახტი არ ჰქონდა. წამოწოლა და ძილი არ შეიძლებოდა. ერთი შავი, უდისკო ტელეფონიც ფანჯრის რაფაზე იდო. დაიღმუილებდა ტელეფონი. მივარდებოდა ჯვებე:

— ალეკო, გისმენ!

— ჯვებე, დაშალე პირველი და გამოუშვი მეორეზე. გაიმეორე!

ჯვებეც გაიმეორებდა.

გადმოიყვანდა ისარს პირველი ლიანდაგიდან მეორეზე და აწევდა სემაფორის ორივე ფრთას.

ახლა ჯვებე დაატრიალებდა ტელეფონის სახელურს.

ღრუუუუ, ღრუუუუ, ღრუუუუ...

— გისმენ, ჯვებე!

— ალეკო, დავშალე პირველი და გამოვუშვი მეორეში, გავაღე ორივე სემაფორი, გესმის, ალეკო?

— მესმის, ჯვებე.

და საუბარი მთავრდებოდა.

არაერთხელ მეც გამიღია სემაფორი. პოსტის გვერდით უზარმაზარ შკივიდან მავთულები სემაფორამდე იყო გაჭიმული. შკივის სახელურის ნეიტრალურ მდგომარეობაში სემაფორი დაკეტილი იყო. ქვემოთ თუ ჩამოწევდი, ერთი ფრთა აიწეოდა, ზემოთ თუ აწევდი — ორივე. ეს იყო მთელი ფილოსოფია. ვინ მენდობოდა, თორემ ზედმიწევნით ზუსტად შემეძლო, მეკეთებინა ის, რაც ჯვებეს ევალებოდა.

ხო, მატარებლის ყოველ მოახლოებაზე საყვირში უნდა ჩაგებერა და დახვეული, ყვითელი ალამი აგეწია. თან ქუდი უნდა გხურებოდა აუცილებლად.

ყოველ მესამე დღეს მორიგეობდა ჯვებე.

ხელფასი 60 მანეთი მაქვსო, მითხრა. ხელფასიც მომწონდა და საქმეც — გადავიანგარიშე, რამდენი კორჟიკი მომივიდოდა 60 მანეთად. სკოლას დავამთავრებდი თუ არა, მეისრედ ვაპირებდი მუშაობის დაწყებას. თუ რომელიმე მორიგეობას „გავუცდენდი“, მოადგებოდა ჯვებე ჭიშკარს და დამიძახებდა, ხომ არ დაგავიწყდა, დღეს მორიგეები ვართო... ძალიან მიხაროდა, რომ ვუყვარდი და ვჭირდებოდი. ხანდახან ბებია კეცის ხაჭაპურს გამატანდა, წაუღე, მარტოკაცია, ვინ ჰყავს ხაჭაპურის გამომცხობიო.

ჯვებესთვის რომ გეკითხა, ყოველდღე იმუშავებდა, სახლში მისვლა მეზარება, ღამე არ მეძინება და აქ გულს მაინც ვაყოლებო...

უზრდელი ბავშვი არ ვიყავი, მაგრამ, რატომღაც, სახელით მივმართავდი.

არ სწყინდა.

მესამე-მეოთხე კლასში ვიქნებოდი მაშინ. თვითონ ხუმრობით მამის სახელით მომმართავდა.

მთელ სოფელში ერთი ჯვებე იყო, რომელსაც ყოველგვარი „ბიძიასა“ და „ბაბუას“ გარეშე, სახელს ვეძახდი. თავიდანვე ასე აეწყო და ბოლომდე ასე დარჩა.

რამდენჯერ დამაბარა ბაბუამ, ლამპებს რომ მოიტანს, უთხარი, ჩემთან შემოიაროს, თითო ჭიქას გადავკრავთო. არაყი უყვარდა ბაბუას და ამფსონს ეძებდა, მაგრამ ჯვებე ყოველთვის უარობდა:

— აჰ, არა, არა, ალეკომ რომ მომიკითხოს, დავიღუპები!

— ვინაა ეს ალეკო? — ვკითხე ერთხელ.

— ალეკო ჩემი უფროსია, ბორისოვიჩ!

— ასე ახალგაზრდა რაფერაა შენი უფროსი...

— უმაღლესი აქვს გათავებული და იმფერაა, ვოოოტ!

არ მსიამოვნებდა, ჯვებეს რომ უფროსი ჰყავდა და იმის ჭკუაზე დადიოდა.

ერთ დილით მოულოდნელად მოვარდა ჩვენთან.

— დავიღუპე, ბორისოვიჩ, სადაა ბაბუა?!

— ხომ მშვიდობაა, ჯვებე? — ფოსტლებით გამოფრატუნდა ჩემი მარად რკინიგზელი ბაბუა.

— რა ვიცი, სისოევიჩ, სემაფორის აღებას აპირებენ, შუქნიშანი უნდა დაიდგას თურმე და ისრები კნოპკებით უნდა მართონ... მართალი იქნება ვითომ?

არ იქნება მართალი, ნუ გეშინიაო, დაამშვიდა ბაბუამ და ჯვებე წავიდა.

არადა, მართალიაო, მე მომიბრუნდა ბაბუ, გუშინდელ „პრავდაში“ ეწერაო...

* * *

მთელი ერთი თვე სემაფორიც იდგა და შუქნიშანიც... ამ ხნის განმავლობაში ალეკოს შეეძლო, ისარი პულტითაც გადაეყვანა და ჯვებესთვისაც დაევალებინა. ავტომატური მართვის დანერგვისა და გამოცდის ერთთვიანი პერიოდი სრულდებოდა. მუშაობის ბოლო დღეებს ითვლიდა ჯვებე.

მორიგე იყო თუ არა, მაინც მოდიოდა და პოსტის გვერდით დადებულ უზარმაზარ ბეტონის ბლოკზე იჯდა. ყოველ წუთას ხსნიდა პორტსიგარს. ამოიღებდა დაჭრილ გაზეთის ქაღალდს, გაახვევდა თუთუნს, გაწებავდა ენით და მოუკიდებდა.

— ხედავ, რა მჭირს, ბორისოვიჩ, შინ არის ბაბუაშენი?

— შინაა, ჯვებე, აბა, სად იქნება, ბაბუა ეზოდან არ გადადის.

— აქვს ის კაჟივით არაყი?

— კი აქვს, კი...

ზედიზედ მიაყოლებდა რამდენიმე „რუმკას“ და წავიდოდა. მე კვიცივით გავეკიდებოდი და ვამშვიდებდი, თუმცა პოსტის დახურვას და სემაფორის გაუქმებას ჯვებეზე უფრო მე განვიცდიდი...

ღრრრ... ღრრრ...

აღმუვლდა ტელეფონი.

— გისმენ, ალეკო!

— ჯვებე, დაშალე პირველი და გამოუშვი მეორეზე.

პირველზე შემადგენლობა დგას, გადამყვანი არ დაბლოკო, გაიმეორე, ჯვებე!

— ალეკო, დავშალე პირველი და გამოვუშვი მეორეზე, გადმოვწიე ისარი და გადამყვანი არ დავბლოკე, გავაღე ორივე სემაფორი, გესმის, ალეკო?

— მესმის, ჯვებე.

— მომაწოდე, ბორისოვიჩ, მაგი ჟურნალი, — მთხოვა ჯვებემ და შიგ რაღაც ჩაწერა, მერე საათზე დაიხედა და, როგორც მივხედი, ჩანაწერს თარიღი და დრო დაუსვა.

— ასეა საჭირო, ბორისოვიჩ, უფროსები ითხოვენ, სამტრედიის დისპეტჩერი ისმენს ჩვენს ლაპარაკს... წესია ასეთი, ბრძანება უნდა ჩაიწეროს... ხვალიდან მორჩა, არაფერს ჩავწერ, დამთავრდა ჩემი რკინიგზელობა!..

ალამსა და საყვირს ხელი დაავლო და გარეთ გავიდა.

„მოსკოვი-ერევანი“ შემოდიოდა.

გარეთ არც გამიხედავს.

დავიბოღმე.

ხვალიდან ჩემს რკინიგზელობასაც ვემშვიდობებოდი.

უცებ გამაყრუებელი გრუხუნი გაისმა და პოსტი ლამის გადაყირავდა.

ყვირილით შემოვარდა ჯვებე...

— რა ქნა ეს, რა ქნა ეს, დაიღუპა ალეკო, უნდა დამებლოკა გადამყვანი,

რაფერ დავუჯერე ამ ბაღანას... რა ეშველება იმ შტერს, აუ, დაიღუპა ახალგაზრდა კაცი!..

გაოგნებული მივაჩერდი ჯვებეს, ვერაფერი გავიგე.

— ბოლო ვაგონი პირველზე შეიყვანა, კნოპკით გადაწია ისარი... დაიღუპა ბიჭი!..

— ყვიროდა ჯვებე და ანგარიშმიუცემლად დარბოდა პოსტსა და მორყეულ ლიანდაგებს შორის.

ვერაფრით მივხვდი, რა დაღუპავდა ალეკოს...

ვხედავდი, როგორ მოშორდა ბოლო ვაგონი ძირითად შემადგენლობას, როგორ დაეჯახა პირველ ლიანდაგზე „ქუთაისი-ფოთის“ ელექტრომატარებელს და მისი პირველი, გამწევი ვაგონი ბაქანზე შეაგდო.

— მოდი აქ, ბორისოვიჩ! — მიყვირა ჯვებემ, — წაიღე ეს ჟურნალი და ახლავე შინ წადი... არ გამოაჩინო, არავის უთხრა... წადი, სანამ სადგურის მილიცია მოსულა!

მე ვერაფერს მივხვდი და არც არაფერი მიკითხავს, ჟურნალს ხელი დავავლე და გავიქეცი!

მთელი სოფელი მოგროვდა სადგურში. ირეოდნენ რკინიგზელები და მილიციელები... ვაგონები არ გადაბრუნებულა. მსხვერპლი არ იყო. არც არავინ დაშავებულა. უფროსები ამბობდნენ, სახელმწიფო დაზარალდაო...

* * *

მას მერე ჯვებე არ მინახავს.

ის პოსტიც აიღეს და სემაფორიც მოხსნეს. მეისრეს 6 წელი მიუსაჯესო, ასე ამბობდა ხალხი. ალეკო კიდევ კაი ხანი მუშაობდა სადგურში.

მე სკოლა დავამთავრე და თბილისში წავედი სასწავლებლად. როგორც ხდება ხოლმე, თითქმის სიბერემდე შევრჩი დედაქალაქს. ნელ-ნელა მიმავიწყდა ჩემი რკინიგზელობა. ვიღას ახსოვდა მოცუცქნული საგუშაგო და სემაფორის გვარლის ღრჭიალი...

წინა კვირას უჯრების გადაქექვისას იმ ჟურნალს წავაწყდი. გვერდები დანომრილი იყო, ზონარი ჰქონდა გაყრილი და ლუქი ედო. თვალწინ დამიდგა მაშინდელი საბედისწერო საღამო და კოჭლი ჯვებე... მივიკითხ-მოვიკითხე, მაგრამ ჩვენს კუთხეში ის არავის ახსოვდა.

ორმოცდაათ წელზე მეტი იყო გასული!

ჯვებეს სამეზობლოში ყველაზე ხანდაზმულ კაცს მივადექი. ცხონებულს 6 წელი მიუსაჯესო, მითხრა, ციხეში მოკვდაო.

— ყველამ იცოდა, რომ უდანაშაულო იყო, სამტრედიამაც იცოდა, მაგრამ დალუქული ჟურნალი ვერ იპოვეს და ჩასვეს... ჯვებესაც უღიარებია, მე შევცდიო!

— ალეკო, ალეკომ რაო?

— ალეკო კი ამბობდა თურმე, ჩემი ბრალიაო, მაგრამ იმ ჟურნალმა გადაწყვიტა ყველაფერი... ახლა ალეკოც აღარაა... აგერ, ე, კრამიტიან სახლს ხომ ხედავ, იქ ცხოვრობდა ალეკოს დედა, თათუშა, მე რაც მახსოვს, ჯეირანივით ქალი იყო. ჯვებეს და თათუშას ერთმანეთი უყვარდათ თურმე. ოცდაცხრამეტში, ჯვებე რომ ჯარში წაიყვანეს, თათუშა იმ წელს მოიტაცა ვიღაც წყემელმა დურგალმა... ერთი წელი იცხოვრა ქმართან და მშობიარობას გადაჰყვა, ალეკომ გადაიყოლა საწყალი... ორმოცდახუთში ჩამოვიდა ჯვებე, მერე შენც იცი, თქვენკენ მუშაობდა, რკინიგზაში...

— ალეკომ იცოდა ჯვებესა და დედამისის ამბავი?

— არა მგონია, ვინ ეტყოდა?.. მამამისიც ომში გაიწვიეს ორმოცდასამში და აღარ დაბრუნებულა. წყემში გაიზარდა ალეკო, ბებიამ გაზარდა...

* * *

წამოვედი.

ტირილს ცოტა მაკლდა.

ავიღე ჟურნალი და ბოლო ჩანაწერი წავიკითხე:

„...დავშალე პირველი და გამოვუშვი მეორეზე, გადმოვწიე ისარი და სადგურის მორიგის განკარგულებისამებრ გადამყვანი არ დავბლოკე, გავაღე ორივე სემაფორი...“

ახლა მე თავისუფლად შემეძლო ჯვებეს გამართლება, მაგრამ მისი ძვალიც კი აღარ იყო...

...და იგი მხოლოდ იმიტომ გავაცოცხლე, რომ თქვენთვის მეთქვა:

კოჭლი ჯვებე არასოდეს შემცდარა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაატა ნაცვლიშვილი
იარა უპირატესთა
ასერთი პაატაური*

MENS SANA IN CORPORE SANO

გინდა ძე იყოს და გინდა *ასული,*
ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი *სულია.*

ჩხრიალ-ჩხრიალი

ბამბის ჩხრიალმა დაფარა თუკი ჩხრიალი *კაკლისა,*
დაუნახაობისა და სიბრმავის არის *კლასიკა.*

ტაქტიკა და სტრატეგია
პეტრე ბაგრატიონისა

როცა ვერ გაჭრის *ფრანგული,*
შეტევა გინდა *ფლანგური.*

პირადი ფსიქოანალიტიკოსი

ვიცი რა შენი ყველა *ფიორდი,*
ვარ და ვიქნები შენი *ფროიდი.*

დასტური

დიახაც,
ცხადია!

ტრაპეზი ათონელ ბერებთან

მამანო, *იგუმანეთ*
დუმილი *იგუმენთა.*

ბრრრრრრ

ბრძენთა *დომხალი*
— ბრიყვთა *ხომალდი.*

მიღებაზე იაპონიის საელჩოში

რომელი არის *საუკეთესო,*
ის კონიაკი თუ *ეს საკეო.*

სისხლის გადახალისება

ახალი *სისხლია*
მომტანი *ხალისის.*

უიმედობა

სუმთლად განვძარცვეთ ხეობა *ლიახვის,*
არ დავუტოვეთ იმედიც *ხვალისი.*

---

* ასმეორე პაატაურს სათაური და ქვესათაური ჰქმნიან.

ლუქსორი-2007

რას დამაკლებს მთვარე, რას დამაკლებს *მზე, რას?*
ან მე რას დავაკლებ რა მთვარეს და *რა მზეს!*
ვცდილობ, მაგრამ ვხედავ, ვერ გისწორებ *მზერას,*
ნუ მიყურებ ეგრე, ფარაონო *რამზეს!*

ავტოსადგური

დილაადრიან *ოკრიბამ*
ასობით მგზავრი *მოკრიბა.*

ერთი დისკუსიის შთაგეჭდილება

სულ სხვანაირი არი *საუბარი,*
თანამოსაუბრე როცა *სუბარია.*

ჩამოჰკარ, *სოზარ,*
განგაშის *ზარსო!*

ახალთახალციხეში

არც ღვინო და არც არაყი, მინდა მხოლოდ *შარბათი,*
იმისთანა სიტკბოება გამოსჭვივის *რაბათში.*

გამძაფრებული სენსიტიურობა

ის, რაც სხვისთვის ჩანს *ანარეკლებად,*
გულზე მესობა *ნარეკლებადა.*

TO WHOM IT MAY CONCERN-16 ანუ ლიბერტარიანული

სულერთია *სქესი,*
როცა გინდა *სექსი!*

აბრამ სეფიაშვილის „ალია საქართველოდან“

უკვე თქვენი *არსებობა*
ნერვებს უშლის *არაბებსო!*

გრეგორ ზამზა

როგორ მწარედ დაგვცინა, როგორ მწარედ, *მწარედ,*
როცა კაფკამ იმ დილით გაიღვიძა *მწერად!*

დიდ კაცთან პატარა კაცსა...

სხვა არავინ, მხოლოდ *მეტრი*
სანტიმეტრის არის *მტერი!*

სემფლინგი

გაფიცრებულან ხეები, გახევებულან *ფიცრები,*
ციფრული ანალოგები, ანალოგური *ციფრები.*

ძველი მოწოდების ახალი სიცოცხლე

ვერ დააღწევ სხაგვარად თავს ხევსა და *ხრამს,*
კოლექტივო, მხარი მხარს და მხარი მხარს და *მხარს!*

თეთრი და შავი

არ არსებობს მცირე ტანკი, არ არსებობს *დიდი ტანკა,*
აბანოში გამოჩნდება... დრო მოვიდა ***არჩევნების,***
არ არსებობს კანდიდატზე უკეთესი *კანდიდატი!*
ჩვენების და იმათების, ჩვენების და ***არჩევნების!***

გადასახლება

მანამდე თავს ნუ *მოიკლავ,*
სანამდე გერჩის *მკლავიო.*
ო, შორეულო *კოლიმავ,*
ზეცას შეერთვის *კვამლიო!*

პალმეირა (თარგმანი პორტუგალიურიდან)

რაც იქ პალმაა, ჩვენთან *ბზა არი,*
იქ ჰაშარია, ჩვენთან *ბზარია,*
იქ მერკადოა, ჩვენთან — *ბაზარი,*
იქ — ბრაზილია, ჩვენთან *ბრაზია!*

ჭმუნვა

ვინ მორევია კაეშნის მორევს, მითხარ, *ლოთობით,*
ან ჩვენ რა უნდა დავაკლოთ სევდას ორი *ბოთლითო.*

მკაფიო კაფია

ყველასათვის *მკაფიოა,*
რა ჰქნა ერთმა *კაფიამო.*

2009 წლის 26 მაისი

გაფართოვდი, *სტადიონო,*
მეტი ხალხი *დასტიონო!*

ჟრიამული *მასებისა*
გუმბათს სწვდება *სამებისა.*

პოეზია VS არქიტექტურა

რუსთაველი
თუ ვერსალი?

2017 წლის 16 ოქტომბერი

ის წისქვილი ქარისაა, ეს წისქვილი *წყლისაა,*
65 წლისაა მეწისქვილე *საწყალი.*

დრტვინვის წუთისოფელი

შექსპირია, ტაბიძეა, ქალაქია, *სოფელია,*
ჰამლეტივით მონასტერში აგზავნიან *ოფელიას!*

TO WHOM IT MAY CONCERN-15

სიტყვა მოუდის *გესლივით,*
გველსაც აჭარბებს *სიგველით.*

მოვარაყებული დილა

ხუხა არაყი — დილის *ვარაყი,*
კუდზე გაიდო მერე *ყავარი.*

მოვარაყებული სული

სხვა რაა *სულის ვარაყი,*
თუ არ ხმა *სიყვარულისა.*

საადგომო ლექსი

მტკვარს ძალუმად ჩაეხუტა *არაგვი,*
მიჩურჩულე ყურში შენი *გვარია,*
არ მჭირდება ამ საღამოს *ვიაგრა,*
ამაგდარმა უვიაგროდ *ივარგა!*

ბოლოსწინა დარიგება გამთენიისას

რომ გგონია *მარიაჟი,*
მარტოოდენ *მირაჟია!*

უიღბლო ნადიროობა

ერთხელ კიდევ *სცადა,*
მაგრამ ისევ *ასცდა!*

კაიფი-26

მოდი, ჭადრაკი *ვითამაშოთო,*
ისე თქვა შოთამ, *ვითომ შოთაა!*

ველად ხელად

ეს როგორ მარბენინა ტბატბა, ტყეტყე, *მთამთა*
ერთმა გოგომ პატარამ, ერთმა კოხტა *თამთამ!*

ციხე-ტაძართა მაშენებელთათვის

ხუროთმოძღვარო დიადო, ოსტატო *სახელიანო,*
არანაკლებად საქები, შენც იცი, *ხელოსანია!*

ღმერთო, მომასწარ უწიწამურო საქართველოს!

ნეტა ოდესმე ყოფილიყო *უწიწამურო*
ქვეყანა ესე უჯმაჯური და *უწმანურიო!*

ბრინჯაოს მაიაკოვსკის თვალით

როცა ვეება მოედანს გასცქერს *მაიაკოვსკიო,*
მეც მეჩვენება მასავით — მართლა *კაია მოსკოვი!*



პროსტრაცია

აღარ მაღელვებს, ვინ ბულბულია, ვინ ტოროლაა,
ვინ — *იადონი...*
წამომაშველე, თუ ჩემი ძმა ხარ, ის ერთი სტროფი
ვიიონიდან!

თბილისზე ფრიალებს დროშა (მამულის დროშას შევხარით)

თუ დროშა არის *მეწამული,*
მამული არის *ე. წ. მამული.*

ექსკურსია ხევსურეთში-1970 ანუ სანაოსნო ოქსიმორონი

აფრებს აუშვებს *შატილი,*
როცა არღუნში *შტილია!*

სალვადორ დალის ილუსტრაცია ლოპე დე ვეგას იმ ცნობილი პიესისათვის

ზევითა
თივა ზე
თევ ზია
ავი.

ვაი!

ავი
თევ ზია
თივა ზე
ზევითა.

ამირანი და ლეონიდასი

ვინ სპარტელია, ვინ სპარსელია, ვინ პრომეთეა, ვინ — *პრომეთელი,*
ყველას თავისი არწივი ჰკოდავს, ყველას თავისი აქვს
თერმოპილე.

ინა შევჩენკოს მოწოდება (თარგმანი უკრაინულიდან)

რაკი მთავარ პრობლემად გაიხადე ფარანჯა, გაიხადე
ფარანჯა!
დაენახე ქვეყანას, დაინახე ქვეყანა, გამოაღე *ფანჯარა!*

ბრიტნი სპირსის პირველი ჰიტი ბრაიტონ ბიჩზე

ფონად ადევს იმის ხავერდს სარესტორნო *ბარიტონი,*
მიატოვეს თვალთა ხარბთა საკუთარი *ორბიტანი,*
ისე უმზერს ეკრანს კვამლში გახვეული *ბრაიტონი,*
თითქოს მართლა სპირსია და თითქოს მართლა *ბრიტნიაო.*

ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

გვიან ვცხვები, — დაიჩივლა თურმე კვერმა *ობლისამო.*
ეჰ, ვინ იცის, ობლის კვერი იქნებ ჩვენი *სიმბოლოა!*

→

ცაბუნია

მაგ მინაბულ თვალთა ფერებს შემონატრის *უნაბიცო,*
რა ლამაზად აწიპნიპებ, ცაბუნია, *ცაბუნიო,*
მაგ წამწამთა ჩრდილში ბინას დაიგულებს *უბინაოც,*
თუმც ნაცნობი მაგ ღიმილით ვის უღიმი, *უცნობია.*

გამეორება ცოდნის დედაა

აგერ, ექვსი *თვეა სრული,*
თავთით მიდევს *რუსთაველი.*

ვენის ტყეში ანუ TO WHOM IT MAY CONCERN-31

ვინ პოეტი, *ვინ მეხაშე,*
ვინ — მღვდელნი და *მევახშენი,*
სიტყვა რად ვერ *შემინახევ,*
რად დაკარგა *ვენამ ეშხი.*

როგორ მოვხვდი *მე ვენახში,*
შენ ვით ჩარჩი *აემ ნეხვში?!*
შენი თავი, — *ვახ მე შენი!*
— გამახსენა *ხემ ვენაში.*

გაზაფხული-2007

გამოგვიფინა *ცამ არტი*
გაცრეცილმა და *ცრიატმა.*
აჰა, მოვიდა *მარტიცა,*
ვით გაზაფხულის *მატრიცა.*

ზამთრის პირი გომბორზე (ნეკროფილური)

ეს ფოთოლთა ცხედრებია და ფიფქების *გვამებია.*
ამ გვამებზე სიარული, ნეტა რატო *გვიამება?!*

დემნა უფლისწულისა

თამარ ერისთავს

რა აგაფრენს ამდენ ცამდე?! ამდენ ცამდე?! ამდენ?! *ამდენ?!*
იქნებ შოთა ხარ რუსთველი და არა ხარ ოდენ *დემნა?!*

ცარიელია ეს ერთი სკამი...

საფუძველი ამ ლექსისა დანჯღრეული არი *სკამი,*
მესამეს რომ ელოდება, ჩვენ ორისთვის არყის *სმა კი,*
ბარბარიზმთა არის სხოდკა: აქეთ კრუჟკა, იქით — *მისკა,*
მხოლოდ რითმამ გამახსენა სენატორი ედმუნდ *მასკი,*
ისე, როგორც ახალგაზრდა მედროვეთა ბანდა — *სმაკი!*

რთველში წასვლა

დაგელოცოთ, ჯიგრებო, წლევანდელი *დოვლათი,*
შემოდგომა მოსავალს თვლიდა — ვერა *თვლიდაო,*
მეგობრებით მოვდივარ — დოლიძით და *დვალითო,*
ვენახს დავკრეფთ, ცხვარს დავკლავთ, მერე მაგრა *დავლიოთ!*

27.08.1896: ყველაზე ხანმოკლე ომი

ვერვინ გაიგო, თუ რა ხდებოდა *ზანზიბარის თავს.*
თითქოს იბრძოდნენ იმ ერთადერთი *ზარბაზანისთვის.*

სითბო სოთბიზე

ვისაც რა უნდა, ის ბალახი თიბოს და *თიბოს,*
აუქციონზე გაიტანოს ცოლ-ქმრული *სითბო,*
თუ დასთანხმდება კრისტი და *სოთბი.*

პოლიტიკაში წასვლის წინ

თავს იმგვარად *აპიარებს,*
ჩანს, რაღაცას *აპირებსა.*

არჩევანი-არადანი

ჯემალ ინჯიას

ფლამენკო თუ ტანგო, ჩარდაში თუ *ვალსი,*
ზეფირი და ფლორა, კარმენი და *სილვა,*
დუნაი თუ ვოლგა, რაინი თუ *ვისლა,*
ესპანელი, ფრანგი, გერმანელი, *სლავი...*

ვალში ყოფნა მუდამ თუ გადახდა *ვალის,*
აირჩიოს იმან, ვისიც არი *სვლაი!*

სხვა ყველაფერი გრამოფონშია

ნოჟნიცა მაკრატელია, ვენტილი *გრამოფონია,*
რას იზამ, თავზე დაგვაჯდა ამდენი *გრაფომანიო.*

მედლის ორივე მხარე ანუ სხვა ოქსიმორონი

თუ შეიძლება განათება *ყიამეთისა,*
ალბათ მარტოდენ თავმდაბალთა *სიამაყეთი.*

ლეონარდოს ცხენი

ხუთას წლის მერე *რაო, შეგვენთო?*
რაგინდ უმხედრო, ***რაგინდ უბელო,***
გასწი მერანო, *შე გოთვერანო,*
ასე ხმამაღლა ***გარინდებულო!***

05.07.2019: დედის სამკაული (6812).

ჩიტის მოტანილ ამბავში სიხარულია *ბლომადა,*
გამართლებიათ ამინდი, ნეპალის ღმერთებს *მადლობა,*
მაგ შენს შთამბეჭდავ სურათებს მეც შევინახავ *ალბომად,*
რამ სიმაღლეზე ასულხარ, დაბალო ამა *დაბლამო!*

ამაოება ამაოებათა

ჭირი იქა, ლხინი აქა, აქ აფზახი, *იქა ოსი,*
აქ გვაქვს ერთი სააქაო, იქ ერთი გვაქვს *საიქიო.*

პუნქტუაცია

ემოციებით არიან *სავსენი*
ჩვეულებრივი ნიშნები *სასვენი.*

სოდომის ბუცეფალი ვილა ფარნეზინაში

არ მოეწონა თურმე მონასტრის *მონას კედელი:*
ცხენი ედიდა ალექსანდრესი, *მაკედონელის.*

ანაგრამული ეკზერსისი 2018 წლის 22 ნოემბერს

გინდა იყოს ფრანგული და გინდა იყოს *დანიური,*
ყველაფერი დღეს ჩინური, ან ვარესი — *ინდურია.*
ჩვენ დარვინი რომ გვეგონა, ის აღმოჩნდა *დარუინი,*
არც უნარი და არც რიდი, მოკლედ — არ გაქვს *უნარიდი.*

ვაშინგტონში ტრამპმა თურმე შეიწყალა ინდაური.

კომპლიმენტი არაა, ფაქტია!

მოედება *ენას სითბო*
ხოტბად შენის *სათნოების.*

ბორდერიზაცია

გაკლდათღა კიდე *უბედურობა,*
სოფლებო, ისეც *უდაბურებო?!*



პაატა ნაცვლიშვილი

იარა უპირატესთა

ასერთი პაატაური*

ანაგრამული ეკზერსისი 3 კათხა ლუდის შემდეგ

ვერასოდეს მოერევა კეთილ ლექსებს *ავი ლექსი,*
და ფეხმარდი არასოდეს დამარცხდება *აქილევსი,*
ჰერკულესმა ესპანეთში დააარსა *ქ. სევილია,*
რომში ძეგლი აღუმართავთ ფარსმანისა *ქველისაი,*
სხვა ვექსილზე უკეთესი გამოხსნილი *ვექსილია,*
ვზი კაფეში კუს ტბაზე და მეგულება *აქვე ლისი.*

აპრილი, 1989: ოპტიმიზმი

ყური მიადე, ქალებს მუცელზე, ყური *მიადე!*
სიცოცხლისამან გა-ცა-იმარჯვოს უნდა *იდეამ.*
დაიბადება გოგო მედეა, ბიჭი *იმედა,*
ატკრციალდება ხვალ დილიდანვე მთელი *მედია!*

ყური მიადე, ქალაქს მუცელზე, ყური *მიადე!*

მკვახე შეძახილი

მიხედვა არის *საჭირო*
აჭარისა და *რაჭისო,*
თორე მოელით *სარჭიო*
ბელაქნისა და *ჭარისო.*

TO WHOM IT MAY CONCERN-31

შენი *უფალი*
მხოლოდ *ფულია.*

ირონია-მირონია

როცა სულში მინორია,
ირონია მირონია.

გია მურღულიას ექსპრომტი

მართალი ხარ, ჩემო გია, ირონია *მირონია,*
როცა სულში სევდაა და დარდია და *მინორია,*
როცა თავში გიტრიალებს ქვეწყობილი *რომიანი,*
და როდესაც აღარ გშველის ადორა და *ამორინი,*

პენელოპეს მსგავსად როცა სუდარას ქსოვს *მარიონი,*
როცა ქარაფს შესკდომია მეოცნებე *ნიამორი,*
როცა პენალტს გააფუჭებს ბოლო წუთზე *მარინიო,*
და პურს გაჭმევს მეიჯორის ნაცვლად როცა *მაინორი,*

ხუთიანის ნაცვლად თუკი წერა ვინმემ *ორიანი,*
სოდიანი ვისკის ნაცვლად თუ სვი სოდა *რომიანი,*
და ორ აგურს გირჩევნია, ძმაო, როცა *ორი მინა,*
თუ გიშველოს უნდა რამემ — მარტოოდენ *ირონიამ!*

წინანი უკან *

ვისაც გინდა *ამცნებ,*
რომ ათივე *მცნება*
ერთმა შეკრა *ცნებამ.*
იყოს ღმერთის *ნებამც!*

* ყოველი სარითმო სიტყვის პირველი ასო მომდევნო სარითმო სიტყვის ბოლოში გადადის.

კორეულ-უკრაინულ-აღმოსავლური ეკზერსისი

ინს იანი გაეყარა, გადაიქცა იან-*იჩრად*
აქ ვიტალი კოროტიჩი, იქ — პირიქით — ივან *დრაჩი!*
ხან ღიმილი ფარავს სახეს, ხან ნიღაბი, ხანაც *ჩადრი*
ორგანა ხარ ერთდროულად — თან წახვედი, თანაც *დარჩი!*

არც იანი, აღარც ინი აღარ მიღირს არცა *ჩირად.*

სალაღობო ეკზერსისი

მისისიპი კია, მაგრამ ბოლო სიტყვა *მისურია,*
სად სტალინის კიტელი და სად ედიკას *მაისური,*
სულ სხვა არის მასობრივი, სულ სხვა არის *მასიური,*
სულ სხვა არის კეისარი, სხვა — სულა და *მარიუსი,*
სხვაა გლენი, გაგარინი ნიშნს მოუგებს *მას იური,*
ამ ლექსს თუ რამ დააკლდება, ვაჟკაცური *მისი ურა!*
ადამ სმიტი ვის რას ეტყვის, ვის რას — ნიცშე, *რას — იუმი,*
აქ მეისრეს, იქ მოისარს, აი, მასრა, *აი, მუსრი!*

სხვაა თვალი უფლისა და სხვაა თვალი *ურმისაი.*

სტრიტის დამა

რისკმა არა, თქვენ დაგღუპათ, მადამ, *უსაშველო მადამ,*
ორ ტუზსა და ორ კაროლში გაიმარჯვა ერთმა *დამამ,*
სტრიტის დამამ-თავრებელმა, დამამ-შვენებელმა, *დამამ...*
რა ვქნა, მადამ, თამაშია, რა ვქნა, ვერ დაგითმობთ, *მადამ!*

და მოურინიო?

რა გია და რა ბიძინა, რა ლაშა და *რა ევგენი:*
დელ ბოსკეა, გვარდიოლა, კონტეა თუ *ვენგერია,*
ანჩელოტიმ, სიმეონემ და ზიდანმაც *ივარგენე.*
გონიერსა მწვრთნელი უყვარს, ვისაც არა — *რეგვენია!*

სურათი აღდგომიდან მეშვიდე კვირას

ზოგი მარტო გუდაურად, ზოგი მოდის *ლომისადაც,*
ხალხი ფერდობს შეჰყოლია დღეობისა *მოსალოცად.*

ქუჩის ბიჭები

შემოკრბა ათი ბიჭუნა, იყო *ათივე ბრიუს ლი,*
და გადააფსეს მთელ ქალაქს დასტურ *ბრიუსელივითა.*

ძილ-ბურანი

ხან რა ვაკეთე წუხელის, ხან სად ვიყავი, *ხან სად,*
არ ღირს არცერთი სიზმარი სიზმრის ნახვად და *ახსნად!*

შუქშენიღბვა ოფიცერთა სახლში

იმ საშინელ *სიბნელეში*
იყო ძებნა *შინელების.*

დიდთოვლობა

თითქოს სათარეშოა ნადირთა და *მხეცთა,*
თითქოს დავიწყებიათ მზესაც, ქართაც, *მეხთაც,*
არის თეთრი ტაფობი, აღარ არის *მცხეთა,*
თითქოს სვეტიცხოველიც იქცა სვეტი *მხეცათ.*

სკოლაში მისვლა
დამთავრების მე-10 წლისთავზე

როგორ გაზრდილხარ, *ფიკუსო,*
აბა, ეს არის *ფოკუსი!*

პოეტური ინვესტიცია ანაკლიის ასაშენებლად

როგორ არ მინდა, ეს ჩვენი *პორტი*
რომ უდღეური აღმოჩნდეს *ტროპი.*

საით?

აქეთ,
ქეთა!

TO WHOM IT MAY CONCERN-33

ვერას დააკლებს *სტიქია,*
თუ ქისტი ნაღდი *ქისტია.*

ლარი სასწაულის მოლოდინში

შენ კი გეშველა, *ლაზარე,*
შენ შემდეგ ჯერი *ლარზეა!*

წარსულის გადმონაშთი

არის მართლა *სახალისო*
ტელეფონი *სახლისაო.*

პრაგმატიზმი

იმ ათივე მცნების და ათასობით *ცნებისო*
ჯობს დასწავლას ახდენა ერთადერთი *ოცნების!*

მფრინავ თევზთათვის

შენ რომ ცაში ნავარდობდე, *სვიავ,*
იქნებოდი ძერა ანდა *სვავი.*

ვის ვაგინო, ვის ვაგინო, *ვის ვა...*
ყველას, ვისაც ჩემი სისხლი *ვასვი!*

იუმორინა საბერძნეთში

ათენიც
აცინეთ?

მთვრალის ფიქრი ქელეხში

იქნებ მოხდეს *სასწაული*
— უკან მოსვლა *წასულისა!*

გამოსავლის ძიებაში

ფანატიზმი *პატრისა,*
სისასტიკე *პატარის,*
დაამშვენებს *პარტიას*
შენისთანა *სატრაპი,*
გელოდება *პატრია*
— ათენი თუ *სპარტაი.*

თეზისი პოლიტიკური დისკუსიისათვის

შენ მადლობა თქვი, რომ *ეს რუსია,*
და მოლოდინი თქვი *უარესის!*

იოანე პეტრიწისა და ლევან ბრეგაძისათვის

წავიკითხე, თუმც მანამდე ლ. ბრეგაძემ *კი მიამბო,*
ორგანზომილებიანმა რა დამართა *იამბიკომ.*

საღღეგრძელო ოქროს ქორწილისთვის

ცოლ-ქმარი ერთად *დაბერდებიენ,*
— სხვა რაღა ითქმის *ბედნიერებად.*

თეთრ ფურცელზე შავი ნახშირით

თითქოს და-ცა-უხატავთ ცისარტყელა *მურითო,*
ასეთია ვერლიბრი და ლექსები *ურითმო.*

ფოტოები ავტორისა

ნინო სადღობელაშვილი

ქუთუთოების სიზმარი

იმ ღამით ორი ამბავი მოხდა. ერთმა სამუდამოდ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეცვალა. მეორემ — მხოლოდ ერთის. ამიტომ, ეს მეორე ამბავი არც არავის გაუგია.

იმ ღამით, როცა ერთ ძველ ქართულ ქალაქში ოკუპანტებმა ბომბები ჩამოყარეს და საქართველოს ღია ომი გამოუცხადეს, საკუთარი მიწური ოთახის ჭერში თვალებაპყრობილ 82 წლის თინა კ.-ს, ბოლოს და ბოლოს, იდეა გაუჩნდა — „თავი უნდა მოვიკლა!“

ამ ყველაფერს ერთმანეთთან, ცხადია, არავითარი კავშირი ჰქონდა. მით უფრო, რომ თინა კ. დაბომბილი ქალაქიდან საკმაოდ შორს, სამხრეთით, პატარა ქალაქში ცხოვრობდა და რაც იმ ღამით ქვეყანაში დატრიალდა, არც გაუგია.

ვერ გაიგებდა, რადგან არც ტელევიზორი ჰქონდა და არც რადიო. რომც ჰქონოდა, ვერ ჩართავდა — გადაუხდელობის გამო უკვე მესამე კვირაა, მთელ სახლში შუქი არ იყო. გვერდითა ოთახში შვილს და რძალს ეძინათ, ვიწრო შუშაბანდში — შვილიშვილს, 12 წლის ბიჭს, რომელიც დაბადებიდან კაცივით ხვრინავდა და ალაგ-ალაგ წებოვანი ქაღალდით გამთელებულ ისედაც მყიფე ფანჯრის მინებს მსუბუქი მიწისძვრის ვიბრაციებით არხევდა.

თინა კ.-მ თვალებზე ხელისგულები წაიფარა და რამდენიმე წამით ახლადშობილი იდეით ტკბობას მიეცა. „თავი უნდა მოვიკლა, თავი უნდა მოვიკლა, თავი უნდა მოვიკლა“ — გულში იმდენჯერ გაიმეორა, ვიდრე საკუთარი ხმა არ მოესმა. წარმოუდგენელი შვება იგრძნო, თხელ საბანში ჩვილივით მოიკუნტა და ბალიში ისე ჩაიხუტა, როგორც ყველაზე სანდო და ძვირფასი მეგობარი. როგორც შვილის თავი, ოდესღაც საკუთარ კალთაში. როგორც დედის მუხლები, უფრო ოდესღაც, უხსოვარ დროს, ან შესაძლოა — უკვე წინა ცხოვრებაში. როგორც...

თინა კ.-ს ფიქრებიც დახავსებოდა. მათაც ნესტის სუნი ასდიოდა უკვე — საფეთქლებთან ცხვირის ნესტოებამდე გრძნობდა ამ სუნს — მიტოვებულ ხის სახლში რომ დგება: მტვრისა და სოკოს, ლოკოკინების ლორწოს და ხის ჭიის ფქვილის მქრქალი, შაბიამნისფერი სუნი. იშვიათადღა აკითხავდა ამ სახლს თინა კ., საკუთარი ფიქრების ქოხს, რადგან იქ აღარაფერი ეგულებოდა, ყველაფერი გაიტანა და გაასხვისა, ან გაყიდა თავის დროზე.

ყველაფერი. შვილებისთვის. ობლებისთვის.

ფეხისწვერებში სიცივე იგრძნო. ცოტაც და გათენდებოდა. ახლა მთავარი იყო, კარგად დაეგეგმა, ოსტატურად, ისე, რომ არავინ ჩაერია და მალე დაემთავრებინა. წამლებით თავის მოკვლის იდეა გამორიცხა — არ უნდოდა, ეს სახლში, საწოლში მომხდარიყო. ჩამოხრჩობაც რთული იქნებოდა — უკვე ძალა ეცლებოდა, თოკს მყარად ვერსად ჩამოკიდებდა, რომ ჩამომწყდარიყო და გადარჩენილიყო, ვერ აიტანდა.

სადღაც ახლოს მამლებმა იყივლეს.

ფანერით გადატიხრულ კედელში თაგვმა საბოლოოდ გამოხრა გვირაბი და თინა კ.-ს ოთახში შემოაღწია. ან, შესაძლოა, მოეჩვენა, რომ ვიღაცამ თუ რაღაცამ ტკაპატკუპით გადაირბინა მისი მიწური და ფანჯრისკენ გაუჩინარდა.

კედლის მიღმა საწოლი აწრიალდა.

კაცის ჩახველების ხმა მოისმა და ხროტინით დაყრილი ნამძინარევი სიტყვები, უსარგებლო ნივთებივით მოშორებული. ქალი ზანტად, მოგუდული სიმკაცრით გაეპასუხა. წრიალი გახშირდა, კაცმა ხროტინს უმატა. ქალმა უძალო წყევლა მოაყოლა. საწოლი მონოტონურად აჭრიალდა, კაცის ქშენის რიტმს აყვა. შიგადაშიგ ქალის ყასიდი ამოკვნესა ერთვოდა — „ბებერი გაიგებს...“ კაცმა ისე ჩაიხრიალა, გეგონება, მთელი სახლის სამყოფი ჰაერი შთანთქა. გადაბრუნდა და რაღაც გაუგებრად ჩაიბურტყუნა. თინა კ.-ს მოესმა, რომ შეიგინა. ოღონდ, ვისი მისამართით?

თინა კ.-მ ისიც წარმოიდგინა, როგორ გადააგდებდა საწოლიდან ცალ ფეხს კაცი და ისე ღრმად შევიდოდა ძილის გვირაბში, ცხრა ზარბაზანი რომ ყურთან დაგეცალა, ვერ შეატოკებდი. პატარა რომ იყო, თინა კ. თვითონ აუწევდა ხოლმე ამ ფეხს ფრთხილად და შეუდებდა საბნის ქვეშ, ხელისგულით კი პირიდან ბალიშისკენ გაკლაკნილ ჩვილ ნერწყვს მოუხოცავდა.

მერე უფროს შვილს გამოართმევდა ლოგინში შეტანილ და ჭუჭყიანი ფრჩხილებით ჩაბღუჯულ კარტის ქაღალდებს და ჯიბეში ინახავდა. იცოდა, რომ მეორე დილით ისევ დამარცხდებოდა საკუთარ თავთან და ისევ მისცემდა აბობოქრებულ შვილს, საკუთარი ხელით გაუწვდიდა კარტს, მერე კი ბიჭი წავიდოდა სათამაშოდ, დაბრუნდებოდა ჩასისხლიანებული თვალებით, დედას მოსთხოვდა, ვერცხლის კოვზები გაეყიდათ, რადგან თუ ასე არ მოიქცეოდა, მოკლავდნენ. ან დაჭრიდნენ, დაასახიჩრებდნენ. ბიჭი დედას „მადონას სერვიზის“ გაყიდვასაც მოსთხოვდა, საკერავი მანქანა „ზინგერის“, ძოწისთვლიანი ბეჭდისა და ქარვის მძივის გაყიდვას. დედას კი ჯიუტად სჯეროდა, რომ ერთ დღესაც სასწაული მოხდებოდა და ბიჭს თამაში მობეზრდებოდა. ამ დღისთვის ემზადებოდა, თავს იმშვიდებდა და წინასწარ ზეიმობდა.

გამთენიის სიზმრებს ყურადღებით ინახავდა ხოლმე თინა კ. მწირი რწმენის სკივრში. „ქუთუთოებზე დაკიდებული სიზმრები სინამდვილის წვეთებია“ — უთხრა ერთხელ დიდედამ და დაიმახსოვრა. ისე სამუდამოდ დაიმახსოვრა, რომ ახლაც, როცა ყველა სხვა ხსოვნა შარშანდელი თოვლივით გამქრალიყო, ეს „ქუთუთოების სიზმარი“ აენთო გონებაში და იხილა კიდეც ის, რაც ყველაზე მეტად დაეხმარა — ვითომ, გრძელი ჩითის კაბით შევიდა წყალში, ტბა იყო თუ მდინარე თუ ოკეანე, ვერ გაარჩია, რადგან ახლოხედით გადაღებული კადრივით — მხოლოდ საკუთარ მუხლებს და წყლის ზედაპირს ხედავდა, მერე ეს წყალი მუხლებს ასცდა და მუცელზე შეეხო. გაჟრჟოლებამ გააღვიძა. უკვე იცოდა, სადაც უნდა წასულიყო.

მუცელზე ისევ სისველეს გრძნობდა. ხელიც კი მოისვა, რა ჯანდაბა მეტაკაო, მოეჩვენა, რომ ხელსაც აჰყვა ეს სისველე. მეტიც — წითელი სისველე. საიდან გამოჟონა, რომელი სადინარიდან? თუ რამე სისხლი ჰქონდა დასაცლელი, დიდიხნის წინ დაცალა — პატარა ქალაქის ბინძურ და სარკოფაგის მსგავს საავადმყოფოში, ისეთივე ტანჯვით რომ ჩააბარა ყასბებივით უგრძნობ ექიმებს საკუთარი შიგანი, როგორც ოდესღაც იმ კაცს, ვისაც მისგან მხოლოდ ეს უნდოდა — წვრილ და მყიფე ხვრელში ღამღამობით შეძრომა და საგზლის ჩამოცლა. როგორც სავალდებულო, მისჯილ სადგურში, მისჯილი სიცოცხლის პატიმარს... მაშინ ოპერაციის დროს გაეღვიძა მოულოდნელად და თავისი თვალით დაინახა, როგორ დააგდო ქირურგმა ვერცხლისფერ ლანგარზე მისი საშვილოსნო, თეთრი, მატლებივით აფუთფუთებული ღრმულებით დაცხრილული.

დიდხანს ცდილობდა ამ სურათის დავიწყებას და ბოლოს, როგორც იქნა, დაივიწყა...

სამაგიეროდ, ის ველარაფრით დაივიწყა, პალატის გარეთ, მის შვილებს შორის ატეხილი ჩხუბი.

— შენ წაიყვან თუ მე წავიყვანო ბოლობოლო?

— შენ უფრო უყვარხარ და შენზე რო ამაგი აქ, რა პირით მთხოვ მე მაგას!

— არამგონია, ჩემმა ცოლმა და მაგან ერთმანეთს გაუგონ. უნდა ატყდეს ამბავი და მოდი, ჯობია, შენ წაიყვანო.

— რით ვარჩინო მერე? თავი ძლივს გაგვაქ! ამას ეხლა მუშაობა შეეძლება? ამის მოვლის დრო ვის აქვს?

— მე ვერა, ძმაო. ვერა. შენ წაიყვანე...

შვილიშვილმა გაიღვიძა და შუშაბანდში აბრაგუნდა.

თინა კ.-მ საბანი გადაიძრო, წამოდგა, შიშველი ფეხისგულები მყარად დააბჯინა იატაკს. კარმონგრეული კომოდიდან „საგარეო“ ზედა და ქვედაბოლო ამოაძვრინა. ბოლოს მეზობლის პანაშვიდზე ეცვა. ოღონდ ეს როდის იყო...

მშვიდად გავიდა თავისი მიწურიდან და გზაში შვილიშვილს შეეჩეხა. გაზზე შედგმულ ქვაბთან მიმდგარიყო და ბრაზიანი თვალებით ჩაჰყურებდა.

უცებ რაღაც გაუთბა გულში თინა კ.-ს. წამით ისაც კი დაუშვა, რომ, აი, ახლა, თუ ბიჭი რამეს ეტყოდა, შესაძლოა, რაღაც შეცვლილიყო. რაღაც, გადაწყვეტილების უკიდურეს მისხალში.

— მოგშივდა, ბებო? — უაზროდ ჰკითხა, უფრო ამ ცვლილების შესაძლებლობის გადასამოწმებლად.

— გაიარე რა, ქალო, — შეუღრინა ბიჭმა და ქვაბის ფსკერზე კოვზი ააჩხაკუნა.

თინა კ.-მ ფეხით გასწია კართან დახვავებული არყის ჩაცლილი ბოთლები და გარეთ გავიდა.

ორას მეტრში მდორედ დიოდა მტკვარი. იმ ნაპირზე, რომელსაც პატარა ქალაქის გარეუბანი ეკვროდა, რამდენიმე ადგილას ხშირი ჭალები ეგულებოდა თინა კ.-ს.

„არავინ შემხვდეს, არავინ შემხვდეს“ — დაიწყო გულში და ველარ ჩაათავა, რადგან შეცვლილი დახვდა ქალაქი — ადრიანი დილის მიუხედავად ყველა გარეთ გამოკრეფილიყო. დაზაფრული სახეები ჰქონდათ, სწრაფად და დაძაბულად მოძრაობდნენ, ერთმანეთში ქაქანებდნენ.

— ომი დაიწყო... ომი... — მოესმა. კარგად ვერც მიხვდა, რას გულისხმობდა ეს სიტყვები.

— ჩემი ბიჭი გაიწვიეს... წუხელ გადაიყვანეს ცხინვალში... მახოც წავიდა... ჩემი ძმა რეზერვისტებში ჩაეწერა... თქვენები სად არიან...

შუქნიშნებივით ინთებოდა ხმები. ხან ჩერდებოდა, ხან გზას განაგრძობდა. ასე იარა მტკვრისპირა ჭალებამდე. ვიღაცას ნაკვეთად შეეღობა მიწის ნაგლეჯი. უკვე ისეთი დაღლილი იყო, მეტს ველარ ივლიდა, ღობეს მიადგა და საგულდაგულოდ დაათვალიერა. ერთ ადგილას ჩაშლილი იყო რკინის ბადე, ალბათ ღორებმა ან ძაღლებმა გამოთხარეს გასაძრომად. დაიხარა და შეეტია. მხოლოდ ქვედაბოლო წამოედო მავთულზე და ნაკუწი მოაფლითა.

მშვიდად შევიდა წყალში. ზედაპირზე ხავსის ყუა მოსდებოდა მდინარეს, ესიამოვნა კიდეც, ეს შმორი რომ გაარღვია.

მუხლამდე რომ შევიდა, გამთენიის სიზმარი გაახსენდა...

ლიტერატორი

მერაბ ღაღანიძე

გთავაზობთ ინტერვიუს მერაბ ღაღანიძესთან — ლიტერატურისმცოდნესთან, რელიგიისა და კულტურის მკვლევართან, თეოლოგთან.

მერაბ ღაღანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ასწავლიდა ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ზოგადი ლიტერატურისმცოდნეობის საგნებს ჯერ იქვე, შემდგომ კი საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში. მისი სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც შეეხებოდა დავით გურამიშვილის შემოქმედებას, მოგვიანებით წიგნადაც გამოიცა. გამოქვეყნებული აქვს შვიდი წიგნი და ორასზე მეტი გამოკვლევა და ესეი ქართველ თუ უცხოელ მწერალთა შესახებ, ასევე, კულტურისა და რელიგიის საკითხებზე. ამჟამად მუშაობს პროფესორად თავისუფალ უნივერსიტეტში, სადაც უძღვება კურსს „რელიგია და პოლიტიკა“, ასევე, კურსის „დიადი წიგნების“ ფარგლებში — რუსთველს, ორუელს, დოსტოევსკის.

— ბატონო მერაბ, კონკურსები და პრემიები თანამედროვე მხატვრული ლიტერატურული პროცესის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. თქვენც გიმუშავიათ ამა თუ იმ კონკურსის ჟიურის წევრად. როგორ ფიქრობთ, არსებობს თუ არა ტექსტის შეფასების კრიტერიუმები და შეიძლება თუ არა მათზე შეთანხმება? და თუ არსებობს, იცვლებოდა თუ არა ისინი სხვადასხვა დროს? ასევე, თუ არსებობს მკაფიო ნიშნები, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურას არამხატვრულისგან განასხვავებს?

— მართალი ბრძანდებით და სიმართლეს ვერ დავემალებით, რომ ლიტერატურული კონკურსების ჟიურის წევრი ორსამჯერ ნამდვილად ვყოფილვარ (თუმცა არ ვიცი, რამდენად ერქვა მაგ საქმეს „მუშაობა“, რაკი ჩვენი გარჯა უაღრესად სასიამოვნო ჩარჩოებში რჩებოდა: ეს იყო წიგნების კითხვა და მათ შესახებ მსჯელობა, რასაც ამ ქვეყნად — დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით — ცოტა რამე თუ სჯობს!), მაგრამ იმის დიდი იმედი კი მაქვს, რომ მომავალში ეს აღარასოდეს განმეორდება. ამგვარი განწყობა და ამგვარი საქმიანობისაგან ამჟამად თავის შორს დაჭერა სწორედ იმ მიზეზითაა განპირობებული, რაც თქვენ სავსებით მიზანმიმართულ (და, როგორც ჩანს, ორაზროვან) კითხვად წამოჭერით: არსებობს კი ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების იმგვარი მყარი, მტკიცე კრიტერიუმები, რომლებიც რამდენიმე ადამიანის შეთანხმების საფუძველი გახდებოდა? ყველაზე დიდი ლიტერატურული პრემია რომ ავიღოთ — ვგულისხმობ ნობელის პრემიას ლიტერატურის დარგში — მისი არჩევანიც კი, უმეტესწილად, საჭოჭმანო და გაუგებარია (რბილად რომ ვთქვათ), ან სამარცხვინო და სასაცილოა (უფრო გულახდილად რომ ითქვას), რაკი მისი მინიჭების მოთხოვნები უმეტესად სრულიად მოშორებულია ლიტერატურული შეფასების სივრცეს: ეს პრემია ხომ ენიჭება ქვეყნებისა და ჟანრების რიგითობის, პოლიტიკური აქტუალურობის ან პოლიტიკური ლობირების საფუძველზე (და ენიჭებათ თითქმის ყოველთვის მემარცხენეებს!). შედეგად კი, რომ არაფერი ვთქვათ კომიტეტის მიერ ტოლსტოისა და ბროხის შორეული უარყოფის შესახებ, რამდენიმე ათწლეულის წინათ შეუმჩნეველი დარჩა ბორხესი, შემდგომ — ახლახან გარდაცვლილი ტურნიე, ხოლო ამჟამად — დღესაც მხნედ მყოფი კურეიში. მაგრამ ისევ იქ მოვედით, რითაც დავიწყეთ: რაც უნდა ზემორე ჩამოთვლილი მწერლები, ჩემი ლიტერატურული გემოვნების კვალობაზე, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებად მიმაჩნდეს, ან ვინ, ან როდის, ან როგორ დაამტკიცა, რომ სწორედ ისინი წარმოადგენენ ლიტერატურის იმ უმაღლეს მწვერვალებს, რომლებიც თითქოს უნდა აღინიშნოს თუ მონიშნოს ნობელის პრემიამ? ჩემი უღრმესი რწმენით, ლიტერატურული ნაწარმოების შეფასების ორად ორი კრიტერიუმი არსებობს: ერთი, რა მომწონს მე, როგორც მკითხველს, და, მეორე, რა გავლენა მოახდინა მან ლიტერატურულ-საჯარო გარემოზე, ან რა გამოძახილი ჰქონდა მას საზოგადოდ. თუკი მეორე ნამდვილად შეიძლება შეფასდეს ობიექტურად (ანუ რაოდენობრივად დაითვალოს), პირველიც — რაც უნდა სუბიექტურად მოგვეჩვენოს თავდაპირველად — სწორედაც ობიექტურია, რაკი თავად ჩემი მოწონება ობიექტურად არსებობს და მას ვერაფერი გადაწონის. ლიტერატურული გემოვნება და, შესაბამისად, ცალკეული ადამიანის მიერ შეფასებაც არაერთი პირობის საფუძველზე ყალიბდება: იქნება ეს აღზრდა, გარემო, განათლების თვალსაწიერი, პირადი თუ კულტურული გამოცდილებანი, პოლიტიკური თუ რელიგიური დამოკიდებულებანი. კვლავ ჟიურის წევრობას რომ დავუბრუნდეთ: ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც უკვე ვთქვით, განა ვინმე წარმოიდგენს, რომ შვიდი, ცხრა თუ თხუთმეტი ადამიანის მოწონება — როგორც მკითხველისა — ერთმანეთს დაემთხვევა? ასე რომ, ძნელად დავიჯერებ, ჟიური სადმე ან ოდესმე რომელიმე მეტაფიზიკური კრიტერიუმებით აფასებდეს ნაწარმოებს: ყოველთვის არსებობს პირობითი ურთიერთშეთანხმება — როგორც ყველაზე დადებითი, ისე ყველაზე უარყოფითი განზომილებით. რაც შეეხება მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გამიჯვნას, თუ ზოგიერთ დღევანდელ ან თუნდაც გუშინდელ მოდურ თვალსაზრისებს დავუჯერებთ, თვით სამეცნიერო გამოკვლევები ფიზიკაში და ბიოლოგიაშიც კი მხატვრული ტექსტებია, რადგან ისინი არა მარტო აღწერას, არამედ ავტორისეულ თხრობასაც წარმოადგენს, სადაც ამ ავტორთა, მეცნიერ-მკვლევართა მიერ ჯერ დანახული და შემდგომ აღწერილი სამყარო სტრუქტურულ ტექსტადაა ქცეული, და ეს რომ ასეა, ცხადად მიდასტურებს ჩემი ძვირფასი მეგობრების — ზაზა ოსმანოვისა თუ დავით ფრანგიშვილის — მსოფლიოში აღიარებული კვლევები — უფრო ზუსტად, მათ მიერ გადმოცემული საკუთარ კვლევათა შედეგები — ან ერთ დარგში, ან მეორეში. ასე შორსაც რომ არ წავიდეთ, განა ქართული ესეისტიკის და პუბლიცისტიკის, ისტორიოგრაფიული, ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური დარგის საუკეთესო ნიმუშები რამით ჩამორჩება ეგრეთ წოდებულ მხატვრულ ლიტერატურას, თუკი ლიტერატურის განმსაზღვრელ კრიტერიუმად სამყაროს ავტორისეულ წარმოსახვასა და მის ემოციურად შთამბეჭდავ გადმოცემას მივიჩნევთ, რისგანაც მკითხველი (ანდა მსმენელი — ზეპირი ტექსტების თხრობისას) — შეძენილი ცოდნის მიღმა — არაუტილიტარულ, პრაქტიკულად გამოუყენებელ სიამოვნებას ან, კიდევ მეტი, ბედნიერების განცდას იღებს? მგონია, სასიხარულოა, რომ ქართული კულტურული თუ ინტელექტუალური ისტორია ამგვარი ნიმუშების გახსენებისა და დამოწმების არცთუ მცირე საშუალებას იძლევა.

— მინდა, ინტერპრეტაციის თეორიის შესახებ გკითხოთ. როგორია თქვენი პოზიცია: შესაძლებელია თუ არა ტექსტის ნებისმიერი წაკითხვა? თუ ტექსტს აქვს თავისი, თუნდაც ჟანრული, კანონიკა, რომელიც ინტერპრეტაციისას არ უნდა დავარღვიოთ? უმბერტო ეკო ამბობდა, რომ კარგი წიგნი ავტორზე ჭკვიანი უნდა იყოს: ინტერპრეტაცია თქვენთვის ნაწარმოების საზრისის ამოცნობის პროცესია, თუ მასში შინაარსის შეტანისა?

— თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ინტერპრეტაცია შეუზღუდავია და მკითხველმაც, კრიტიკოსმაც, ლიტერატურისმცოდნემაც, იდეათა ისტორიკოსმაც შესაძლოა, ტექსტში ის ამოიკითხოს, რასაც იგი იქ დაინახავს ან საჭიროდ მიიჩნევს, დაინახოს, რასაც მას პროფესიულად ვერავინ აუკრძალავს. მგონია, საკითხი მხოლოდ ზნეობრივ განასერში უნდა განვიხილოთ, რაკიღა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ტექსტის ავტორის მიმართ პატიოსანი დამოკიდებულება: ერთი მხრივ, არ ივარგებს, ვიფიქროთ, რომ ტექსტი თავად წერს საკუთარ თავს და თითქოს ავტორს ტექსტთან არაფერი ესაქმება (რაც, ასე მგონია, ყოველთვის ტოტალიტარული ცნობიერების გამოვლინებაა, თუნდაც მარჯვნიდან და თუნდაც მარცხნიდან), ხოლო, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, არავის აუკრძალავს, აღმოვაჩინოთ დაოიზმის ან სიქჰიზმის გამოვლინება, ვთქვათ, „ოთარაანთ ქვრივში“ ან „ბახტრიონში“, მაგრამ სწორედ პატივისცემა ავტორის ბიოგრაფიისა და გარემოს, თვალსაწიერისა თუ მისწრაფებათა მიმართ ამგვარ გადაძახილთა ძიების უფლებას არ უნდა გვაძლევდეს. როცა თომას მანი წერს, რომ მას „ჯადოსნური მთის“ წერისას ჰანს კასტორპის პროტოტიპად არ უგულისხმია პარციფალი, მაგრამ როცა ერთი ახალგაზრდა მკვლევრის ნაშრომი წაიკითხა თავისი რომანის შესახებ, დარწმუნდა, რომ შუასაუკუნებრივი პერსონაჟი ნამდვილად მისი გმირის პროტოტიპია, ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ — გაიაზრა თუ არა მწერალმა, შეგნებულად აირჩია თუ არა, განფინა თუ არა გრაალის მაძიებელი გმირის მქრქალი სახე თავის რომანში, ყოველივე ამის სრულიადაც მიუხედავად — შეუძლებელია, გერმანელ მწერალს არ სცოდნოდა, არ ხსომებოდა, ჩანაფიქრის თანამდევად არ გაჰყოლოდა პარციფალის არსებობას, თუნდაც შეგნებულად არ ეგულისხმა ეს არქეტიპი მისი პერსონაჟის განსახიერებისას, თუნდაც ეპიკურ-რომანტიკული რაინდის თარგზე განზრახულად არ გამოეჭრა მეოცე საუკუნის რიგითი ინჟინრის ხატება. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მკითხველი — ავტორისაგან დამოუკიდებლად — აფართოებს ნაწარმოების შინაარსს, იგი თავის სულიერ და ინტელექტუალურ გამოცდილებას ჰმატებს ტექსტს, რითაც ტექსტიც ისევე იზრდება და ვითარდება, როგორც თავად მკითხველი — ბუნებრივად — წიგნთან ურთიერთობის შედეგად. მაგრამ განა მწერალიც პიროვნულად არ იზრდება ნაწარმოების შექმნისას? განა ავტორი წერით არ აღწევს თავის აღმატებულ „მეს“, თავის აღმატებულ გამოვლინებას? მგონია, არავის აეჭვებს, რომ მარსელ პრუსტი სხვა ადამიანი იყო, სანამ საკუთარი რომანის წერას შეუდგებოდა და სხვა ადამიანად იქცა, როცა მისი წერა თითქმის დაასრულა. ქართული ლიტერატურიდან უდავო უეჭველობით შემიძლია, იგივე ვთქვა დავით გურამიშვილზე.

— ერთ საკითხს შევეხოთ, რომელიც, ცხადია, წინა კითხვასთან გარკვეულ კავშირშია. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ავტორის ბიოგრაფია, მისი პიროვნული ფაქტორების გათვალისწინება ტექსტის კითხვისას? რას იტყოდით „ავტორის სიკვდილის“ მეტად პოპულარული პარადიგმის შესახებ, შეიძლება, ტექსტმა მართლაც დაკარგოს სუბიექტურობის ყოველგვარი კვალი და ავტორი უბრალოდ ტექსტიდან გაქრეს? რას იტყოდით იმ მემარცხენე იდეაზე, რომ მკითხველის დაბადების საზღაური ავტორის სიკვდილია?

— უთუოდ გამიჭირდება მოკლე და თან საფუძვლიანი პასუხის გაცემა, რაზეც ასეულობით გვერდი დაწერილა. მაგრამ რაკი მიმაჩნია, რომ პიროვნებაზე უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი არაფერია ამქვეყნად, ნაწარმოებთან ურთიერთობაც ჩემთვის, უპირველესად, მის ავტორთან პიროვნული ურთიერთობის განცხრომაა. ასე მგონია, რომ ყოველი ნაწარმოები კონკრეტული ბიოგრაფიის ავტორის ქმნილებაა, საკუთრივი განვლილი ცხოვრების ნაყოფი და შედეგი (თუმცა ამ ნათქვამით უთუოდ გავანაწყენებდი არა მარტო ნაკლებად ძვირფას ბარტს, ან სრულიად არაძვირფას ფუკოს, არამედ ნამდვილად ძვირფას ელიოტსაც). სავსებით სწორი ბრძანდებით, „ავტორის სიკვდილის“ იდეა მემარცხენე წრეებში დაიბადა (და აქ ხომ უფრო მნიშვნელოვანი „ავტორი“ იგულისხმება!) — უფრო ზუსტად, იმ ჰუმანიტართა თავებში, რომლებიც მარქსისტული მოძღვრებით იყო გადაჭედილი. თავისუფალი პიროვნების (როგორც ადამიანური, ისე ღმრთაებრივი პიროვნების) უარყოფა ისევე ილანდება ამ თეორიაში, როგორც, სხვათა შორის, ამ ბოლო ხანს გავრცელებულ სრულიად ანტიქრისტიანულ თვალსაზრისში, რომ ადამიანის მიზანი არაა და არ უნდა იყოს ბედნიერება. მარქსიზმი, მოგეხსენებათ, საერთოდ, უგულებელყოფს პიროვნებას — ასე, ცოტა უხეშად, მაგრამ ზუსტად და მკაფიოდ რომ ვთქვათ — რაკი ადამიანს განიხილავს როგორც ოდენ კოლექტივის (ანუ თავისი სოციალური კლასის) წარმომადგენელს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მე საბჭოთა ეპოქაში დავიბადე და ჩამოვყალიბდი, ხოლო საბჭოთა-კომუნისტური თეორია სწორედ ამას გვასწავლიდა, რომ ავტორი ყოველთვის გადმოგვცემს არა თავის პირად სათქმელს, არამედ უწინარესად გამოხატავს თავისი კლასის ინტერესებსა და უწყებას. ეს მე არც მაშინ მჯეროდა და არც ახლა ვიჯერებ, მაგრამ ნამდვილად მჯერა, რომ წიგნის კითხვა დამოუკიდებლად თვითმყოფი ორი ადამიანის პიროვნული შეხვედრის აქტია: ბუნებრივია, იგულისხმება მწერალი და მკითხველი — თავთავიანთი ბიოგრაფიითა და გამოცდილებით. ინტერპრეტაცია ორი პიროვნების შეყრისა და გაზიარების შედეგია, სადაც და როცა ორივე სწორედაც მთელი შესაძლო სისავსით წარმოადგენს საკუთარ თავისთავადობას. რაკი ტექსტი ყოველი ახალი წაკითხვისას ახალ უწყებას გახსნის — დროისა და გარემოს გათვალისწინებით — ხოლო რაკი მკითხველიც მუდმივად იცვლება, ფერს იცვლის, შესაბამისად, ტექსტის ინტერპრეტაციაც მუდამ ამოუწურავია.

— ბატონო მერაბ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ყველა ლიტერატურული შედევრი აუცილებლად უზუსტესი სიმძაფრით ასახავს ეპოქას, თუ არსებობს მეტაისტორიული ტექსტებიც? და ამასთან, რას იტყოდით ეგრეთ წოდებულ „სოციალურ მწერლობაზე“, რამდენად არის დღეს მწერლის გამოწვევა, რომ პირველი გამოეხმაუროს საინფორმაციო დაიჯესტში მოხვედრილ მოვლენებს და შეგვიძლია თუ არა, ხელოვნებისგან გარკვეული სოციალური პრობლემების გადაჭრა მოვითხოვოთ მისი არსებობის ლეგიტიმურობისთვის?

— ყველაზე მარტივად რომ ვთქვა, ეპოქა იმდენად ცხადად აისახება ტექსტში, რამდენიმე ათწლეულითაც კი ვერ ხერხდება მისი გადაწევ-გადმოწევა, რაც ტექსტის საკუთარი კონტექსტის დაკარგვის მტკივნეულ ფასად არ დაგვიჯდეს. მაგრამ საქმე შეეხება არა მხოლოდ და არა იმდენად მოსათხრობად თუ გადმოსაცემად არჩეულ მასალას, რამდენადაც სწორედ მონათხრობის გადმოცემის სახეს, რომელიც, თუკი მოსწყდა თავის დროს, არა მარტო უხერხული, არამედ სასაცილოც კი ხდება („ვეფხისტყაოსნის“ ან ბარათაშვილის ლექსით წერა ნებისმიერი შინაარსის ტექსტისათვის დღეს მხოლოდ კომიკური ეფექტის წარმოქმნისათვის შეიძლება გამოდგეს!). სრულიად გულწრფელი მცდელობანიც კი, დარჩეს მწერალი მეტ-ნაკლებად კლასიკური ფორმების ჩარჩოებში, თუნდაც ისეთ ჟანრში, როგორიცაა ნოველისტიკა ან რომანისტიკა, უკეთესი შემთხვევისას, გულდაწყვეტის გრძნობას იწვევს. ბუნებრივია, მწერალი ვერ მიატოვებს თავის გარემოს, რადგან იგი არც მთვარეზე ცხოვრობს და არც თებაიდის უდაბნოში, თუმცა საკითხი, უნდა გამოეხმაუროს თუ არა იგი ეპოქის „სოციალურ გამოწვევებს“, ჩემთვის მთლად ნათელი არაა, დაწყებული იმით, რომ მწერალი, ალბათ, პროფესიულადაც კი ერთ-ერთი ყველაზე მარტოხელა არსებაა ამქვეყნად (შესაძლოა, კომპოზიტორთან და მხატვართან ერთად), და დამთავრებული იმით, რომ გარკვევით არ მესმის, რას ნიშნავს „საზოგადოება“ — მით უმეტეს, „საზოგადოებრივი პრობლემები“. მტკიცედ მჯერა, მწერალი ყოველთვის მხოლოდ იმიტომ და იმის გამო წერს, რაც მას პირადად აღელვებს ან შეაჭირვებს. კიდევ: ჩემი მოგონილი არაა თვალსაზრისი, რომ მწირ ხანაში გვერგო ცხოვრება და ეს თვალსაზრისი არ მგონია, აუტანელი დროითი პროვინციალიზმის გამოხატულება იყოს (ანუ წარმოადგენდეს გოდებას იმის შესახებ, რომ, რაც ახლა ხდება, არასოდეს მომხდარა, თუმცა მცირე ისტორიული ცოდნაც კი იმას მეტყველებს, რომ ასეთი, უარესი ან ნაკლებ უარესი მოვლენები ისტორიის განმავლობაში მრავალგზის დადასტურებულა). უბრალოდ, ცხადად მახსოვს, რომ ჩემს სიყმაწვილისა თუ სიჭაბუკისას ყველა დარგის გამორჩეული გენიოსები ჩემს გვერდით, ჩვენსავე პლანეტაზე ცხოვრობდნენ (ელიოტიდან და ცელანიდან ფოლკნერამდე და კორტასარამდე, პიკასოდან და შაგალიდან შოსტაკოვიჩამდე და ბრიტენამდე, ბერგმანიდან და ანტონიონიდან ჰაიდეგერამდე და მარიტენამდე). თუკი მაშინდელი მსოფლიოს იმგვარ პერიფერიაშიც კი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, მათი სახელები არათუ კარგად აღწევდა, არამედ ლამის საყოველთაოდ იყო ცნობილი, დღეს, ინფორმაციის შეუზღუდაობისა და პერიფერიათა მოშლის ჟამს, ამ მასშტაბის ერთი ოსტატის დასახელებაც კი შეუძლებელი გამხდარა. შექმნილი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ბუნებრივად წარმოშვა 1960-1970-იანი წლებიდან აქოჩრილმა მემარცხენე ტალღამ, რასაც თანასწორობის სოციალისტური იდეის აღზევება მოჰყვა (ანუ: ყველა თანასწორია და არავინაა გამორჩეული!), ხოლო რაკი ადამიანთა საჯარო ცხოვრების მიზნად დაისახა ნაცრისფერობა, გამოურჩევლობა, განუსაკუთრებულობა, მაშინ გაბატონდა კიდეც ყველგან და ყველაფერში (ზოგან — ძალითაც!) ეს სასურველი ნაცრისფერობა, თუმცა არავინ იცის — არც იმან, ვისაც სამყაროს ტრანსცენდენტური განმგებლობისა სწამს ან არც იმან, ვისაც ამისი არ სწამს — თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე... ამიტომ, რაკი ბერწ ხანაში ახალი დიადი ტექსტები აღარ იბადება, დიადი ტექსტები ინტერპრეტაციაში ინარჩუნებს სიცოცხლეს, მხოლოდ ინტერპრეტაციაში ცხოვრობს; ჩვენ კი, მკითხველები, წამკითხველები, გზატკეცილზე გამოვსულვართ, ანთებული ფარნებით ხელში, რათა ერთმანეთს მივანიშნოთ, რომ კულტურა და მათ შორის, ლიტერატურა, ამჯერად, ამჟამად ამგვარი სახით აგრძელებს არსებობას.

ესაუბრა ლექსო დორეული

ეკა ქაჯაია

თქვენ — ქალბატონო

თქვენთვის არ უთქვამთ,
ქალბატონო,
რომ გავხართ აპრილს,
რომ გაზაფხულმა
ღია რძისფერ ნისლში
გარწიათ,
კარგა ხანია,
მყვირალობა დაიწყო მთაში
და ამიტომაც შვლებიანი კაბა
გაცვიათ...

არც ის არ უთქვამთ?
რომ თქვენა ხართ აპრილის ქარი,
ნაფერები და ღიმილივით
ოდნავ დამთბარი...
ჩემს თებერვალში
აპრილივით ხართ ჩამომდგარი,
თუ ნებას დამრთავთ,
მე ვიქნები თქვენი ზამთარი...

აივანი

აიხედავ და თითქოს მზის არის,
წვიმს და წვიმიან ამინდს ამშვენებს,
მაგრამ ცის სახლი, — ის აივანი,
ერთ დღეს უეცრად ამოაშენეს.

იყო ზღაპრიდან ამონარიდი,
უცებ ქუჩაზე ჩამოწვა ღამე
და ყველა დროის ყველა ამინდი
მოულოდნელად დატოვეს გარეთ!

დათმეს კამკამა ათინათები —
ქარში ერთმანეთს როგორ იჭერენ,
ვერც ნაბიჯ-ნაბიჯ, ასკინკილათი
იხტუნავებენ წვიმის ბიჭები.

რაღაც უსაზღვროც და მისაწვდომიც
გაუნაწილეს კედლების წყვდიადს
და ფარატინა თბილი ნიავიც
ოთხმა კედელმა გამოამწყვდია.

არავინ გრძნობდა სინანულს მაინც
ოთხი კვადრატის მტკიცე საბაბით!
და ფეხარეულ ფოთლებსაც აწი
მიუხურავენ ცხვირწინ დარაბებს...

როგორც უსულო მკერდზე კარატი
ჩაქრა ძვირფასი ქვა და მინავლდა,
სახლს მოემატა ოთხი კვადრატი,
ქუჩა ათასით დაპატარავდა.

თითქოს გაწყვიტეს გრძელი ამბავი, —
საპნის ბუშტების ცაში გაშვების
და დიდობისგან მიუსაფარნი,
გაიზრდებიან ჩქარა ბავშვებიც.

ზამთრის სონეტი

ამ დღეებს შენი აკლიათ სუნთქვა
(დღე უსულოა გარეშე რომლის)
და როგორც ზამთრის ხეივნებს სურდათ,
ისეთი თბილი მოვიდა თოვლი...

მდინარესავით წალეკა ხედი,
ცა, ჰორიზონტი, მთელი ბუნება,
წაშალა ყველა კვალი და ხიდი,
დავტოვე რაც შენს დასაბრუნებლად...

არც შარშანდელი დარჩა ამბიდან,
გამოყოლილი სევდა სიცივის
და შუაღამის შუშაბანდიდან
შენს ნაცვლად ახლა თოვლი მიცინის...

* * *

გადავირბენდი ახლა ამ სოფლის
სერს
უკანასკნელ სამოსახლომდე,
მივატოვებდი
სულ ერთი წუთით
ჩემს წილ სამოთხეს
და ზღვას ვნახავდი...

ამ მარტოხელა,
ჭირვეულ მოხუცს,
ჩემს ტერფებთან რომ წევს მოცელილი,
გემები თეთრი და შორი-ახლო
უციმციმებენ თვალზე
ცრემლივით...

ეუცხოვება ხანაც
ნაპირი,
თავის თავიდან
წასვლას აპირებს,
და მერამდენედ
ფარხმალდაყრილი
მაინც მიბმული რჩება
ნაპირზე...

ვნახავდი თავის სისუსტით
ძლეულს —
(მისკენ ხელგაშლილს ტბორავს,
თავს ესხმის),
ბედნიერება არ შეუძლია
და გამუდმებით ახრჩობს
ტალღებში...

გადავირბენდი ახლა ამ ეზოს,
სერს
უკანასკნელ სამოსახლომდე,
მივატოვებდი ქალაქს და სოფელს,
სულ ერთი წუთით
ზღვას რომ ვნახავდე...

* * *

აცილებ როგორც გადამფრენ ფრინველს,
სანახებისკენ სხვა ცის და მიწის,
როგორ უხდება სიყვარულს პირველს
გულანთებული წყვილების ფიცი...

რომ მხოლოდ ქოხიც გაცხოვრებს ისლის
სულ ცოტა ნისლით და მზის არილით,
რომ სიცოცხლესაც გაიღებ მისთვის,
რამე წვრილმანი სახსოვარივით...

და ვარსკვლავეთთან ზიარ ნიშნობას
თან ჟრუანტელის ახლავს მხევლები
და ფიცს იბარებს იმ წამს ბავშვობა
ვით საქორწინო საკურთხეველი...

აქვს ყველა სიტყვაც, მოწმეს იდუმალს,
სიმართლის ოქროს წყალით ნაფერი,
ის ქარაფშუტა მესაიდუმლე
ვითომ ბევრის და არც არაფერის...

მას შემდეგ, თითქოს თავად ავსულთა
დახლართეს ჩვენი ბედ-იღბლის ნართი,
რადგან, ძვირფასო, მერე ასრულდა
რაც სიტყვებს შორის დარჩა და არ ვთქვით..

შენი ფიცი და ჩემი უარიც
(ვით ორლესული ხმალი ვერსალის),
თურმე ორივე იყო ტყუილი,
მაშინ რომ ჟღერდა სიმართლესავით...

შემოიკიდეს ყინვებმა ცეცხლი,
შეიბა ზეცის კიდემაც კარი,
არც მე შემაშრა დიდი ხნით ცრემლი
და ვერც შენ თავი ვერ მოიკალი..

თვალებში მაყრის სარკის ნამსხვრევებს
კვლავ დედოფალი — ავი ზამთარი —
და უძლური ვარ, ვიყო მას მერე,
იმ ტყუილივით ალალმართალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლდოს ჰაქსლი

ფრაგმენტი რომანიდან კონტრაპუნქტი

— აჰ, ეს ბავშვები, — თქვა სპენდრელმა, — მათი გადამკიდე...

— და მაინც, ალბათ არაჩვეულებრივია, როცა ბავშვი გყავს, — განაგრძო ბარლეპმა სევდიანი ტონით, ისე, როგორც ამ სიტყვებს შეეფერებოდა, — მე ხშირად მინატრია...

— ბევრად უფრო არაჩვეულებრივი ალბათ ისაა, როცა თვითონ ხარ ბავშვი, — შეაწყვეტინა რემპიონმა, — იმის თქმა მინდა, როცა ადამიანი უკვე მართლა მოწიფულია, — ჩაიცინა მან.

— და თქვენ როგორ ზრდით შვილებს? — ჰკითხა სპენდრელმა.

— ვცდილობ, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მივაქციო მათ. სამწუხაროდ, სკოლაში სიარული უწევთ. ჩემი ერთადერთი იმედი ის არის, რომ იქ ბევრს ვერაფერს ისწავლიან. უბრალოდ, საშინელება იქნება, მათგან პატარა პროფესორები რომ გამოვიდნენ, ცოდნით გაჭყიპულები, თავიანთ ჭკვიანურ პატარა აბსტრაქტულ განზოგადებებს რომ შეთხზავენ. მაგრამ ალბათ სწორედ ასეთები გახდებიან. ჩემს ჯიბრზე. ბავშვები ხომ ყველაფერს თავიანთი მშობლების ჯიბრზე აკეთებენ. არა განგებ, რა თქმა უნდა, არამედ ქვეცნობიერად. უბრალოდ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეუძლიათ. იმიტომ, რომ მშობლებმა მეტისმეტად შორს შეტოპეს ერთი მიმართულებით და ბუნება ბავშვებს უკან ექაჩება, რათა წონასწორობა აღადგინოს. დიახ, დიახ, ამას მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ. ისინი პროფესორები გახდებიან. პატარა ეშმაკები. საზიზღარი პატარა მეცნიერები. თქვენი მეგობრის, ილიჯის, მსგავსები, — მიმართა მან სპენდრელს, რომელიც ამ სახელის გაგონებაზე შესამჩნევად შეკრთა და გულში მაშინვე უსაყვედურა საკუთარ თავს ამისათვის, — პატარა, საზიზღარი ტვინები, მთელი ძალით რომ ცდილობენ, შიგნეულობა დათრგუნონ.

სპენდრელმა ჩვეული მრავალმნიშვნელოვნებით, ირონიულად და რამდენადმე თეატრალურად გაიღიმა.

— ჭაბუკმა ილიჯმა მაინც ვერ შეძლო, დაეთრგუნა თავისი შიგნეულობა, — თქვა მან, — ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე ვერ შეძლო.

— რა თქმა უნდა, ვერ შეძლებდა. ამის დათრგუნვა არავის შეუძლია. ერთადერთი, რაც ამ ცოცხალ ორგანოებს შეგიძლია უქნა, ის არის, რომ ღეშად აქციო. და რისთვისაა ეს საჭირო? უამრავი იდიოტური ცოდნისა და უაზრო განზოგადოებისათვის.

— რომლებიც, რა თქმა უნდა, ძალიან სასაცილოა, — თქვა ფილიპმა, რომელიც საუბარში იმიტომ ჩაერთო, რომ ინტელექტი დაეცვა, — განაზოგადო და თანაც შეიძინო ცოდნა, ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო გართობაა. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, — და ფილიპი ინტელექტუალური ცხოვრების მისეული ჰედონისტური აპოლოგიის განვითარებას შეუდგა, — და რატომ უნდა ვიყოთ ასეთი მკაცრი ჩვენი პატარ-პატარა გართობების მიმართ? ჩვენ ხომ გოლფს თავს არ ვესხმით. მაშ, რატომ უნდა დავირაზმოთ ინტელექტუალების სპორტის წინააღმდეგ?

— მაგრამ ის ხომ სრულიად უსარგებლოა, — განაგრძო რემპიონმა, — ხეს მისი ნაყოფით შეიცნობენ. გოლფს საერთოდ არავითარი ნაყოფი არ მოაქვს, და თუ მაინცდამაინც მოაქვს, ის სრულიად უვნებელია ან იქნებ სასარგებლოც კი. ჯანმრთელი ღვიძლი, მაგალითად, შესანიშნავი ნაყოფია. მაშინ, როცა ინტელექტუალიზმის ნაყოფი... ღმერთო ჩემო! — სახე დაემანჭა, — ერთი ამათ შეხედეთ. მთელი ჩვენი ინდუსტრიული ცივილიზაცია — აი, მისი ნაყოფი. დილის გაზეთები, რადიო, კინო — ეს ყველაფერი მისი ნაყოფია. ტანკები და ტრინიტროტოლუელი! როკფელერი და მონდი — ასევე ნაყოფია. აი, სანამდე მიგვიყვანა პროფესიონალური ინტელექტუალიზმის ორგანიზებულმა სისტემამ, რომელიც ბოლო ორასი წლის განმავლობაშია გამეფებული. და თქვენ ჩემგან ელით, რომ გართობები მოგიწონოთ? იცით, გულახდილად რომ გითხრათ, ამას ხარებთან ბრძოლაც კი მირჩევნია. შეიძლება, რამდენიმე ცხოველის ტანჯვა და რამდენიმე ასეული მაყურებლის გამხეცება მთელი სამყაროს ნგრევას, ლპობას და დაღუპვას შეადარო? არადა, სწორედ აქამდე მიგვიყვანეთ თქვენ, ინტელექტუალებმა, იმით, რომ თქვენი გართობა პროფესიად აქციეთ.

— კარგი, კარგი, — თქვა ფილიპმა, — მეტისმეტად პირქუშ სურათს ხატავთ. მაშინაც კი, თუ თქვენ მართალი ხართ, არ შეიძლება, ინტელექტუალებს ავკიდოთ მთელი პასუხისმგებლობა იმაზე, თუ რისთვის გამოიყენეს სხვებმა მათი მოღვაწეობის შედეგი. მაგრამ ამაზე პასუხისმგებლობა სწორედ მათ ეკისრებათ. იმიტომ, რომ ყველა დანარჩენს თავიანთი დაწყევლილი ინტელექტუალური ტრადიციებით ზრდიან. ბოლოს და ბოლოს, სხვებიც ხომ ინტელექტუალები არიან, ოღონდ თავიანთ სფეროში. საქმოსანიც ასევე მეცნიერია, ოღონდ ეს არის, რომ ნამდვილ მეცნიერზე ცოტათი უფრო სულელია. მას ისეთივე ინტელექტუალურად ცალმხრივი ცხოვრება აქვს, როგორც მეცნიერს. შედეგი ასეთი ცხოვრებისა შინაგანი ფსიქოლოგიური გადაგვარებაა. ნაყოფი ჩვენი გართობებისა, არა მხოლოდ თანამედროვე ინდუსტრიული ცივილიზაციის გარე აპარატურაა, ეს შინაგანი ლპობაც არის: ინფანტილურობა, გადაგვარება, ყველა ნაირსახეობა სიგიჟისა და პირველყოფილ წარსულში დაბრუნებისა. ოჰ არა, არა, არ მინდა ეგ თქვენი ძვირფასი გართობები. გაცილებით ნაკლებად მავნებელი იქნებოდა, გოლფს რომ თამაშობდეთ.

— მაგრამ ჭეშმარიტება? — ჩაერია საუბარში ბარლეპი, რომელიც მათ დავას აქამდე ხმის ამოუღებლად უსმენდა, — ჭეშმარიტებაზე რაღას იტყვით?

— მართლაც, — მხარი აუბა სპენდრელმა, — ნუთუ მისი ძებნა არ ღირს?

— რა თქმა უნდა, ღირს, — უპასუხა რემპიონმა, — მაგრამ არა იქ, სადაც მას ფილიპი და მისი მეგობარი მეცნიერები ეძებენ. ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენთვის ფასეულობას წარმოადგენს და რისი შეცნობაც შეგვიძლია, ეს ადამიანური ჭეშმარიტებაა. და თუ გინდა, მას მიაგნო, უნდა ეძიო ის მთელი არსებით და არა მისი რაღაც ცალკეული ნაწილით. მეცნიერები კი არაადამიანური ჭეშმარიტებისკენ ისწრაფვიან. რა თქმა უნდა, ისინი ვერასდროს შეძლებენ მას მიაღწიონ. თვით მეცნიერებსაც ხომ მთლიანად არ შეუძლიათ, ადამიანად ყოფნა შეწყვიტონ. ერთადერთი, რაც მათ გამოსდით, ის არის, რომ რამდენადმე მოწყდნენ რეალობის ადამიანურ სამყაროს. საკუთარი ტვინის წამებით ისინი ერთგვარ ბუნდოვან წარმოდგენას იქმნიან სამყაროზე, ისეთზე, როგორსაც მას არაადამიანური თვალი დაინახავდა. თავიანთი კვანტური თუ ფარდობითობის თეორიებით, ტალღური მექანიკით და ასე შემდეგ, მათ მართლაც შეძლეს, კაცობრიობას ცოტათი დაშორებოდნენ. მაგრამ მითხარით, რა არის ამაში კარგი?

— გარდა იმისა, რომ ეს გართობაა, — თქვა ფილიპმა, — კარგი ის არის, რომ შეიძლება, რაღაც საოცარი აღმოჩენა გააკეთო, ისეთი, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. მაგალითად, ატომის გახლეჩა ან ენერგიის უსაზღვრო მარაგების გამოთავისუფლება.

— რის შედეგადაც ადამიანური არსებები საბოლოოდ გადაიქცევიან კრეტინებად და მანქანების მონებად, — დაცინვით დაასრულა რემპიონმა, — ვიცით თქვენი სამოთხე დედამიწაზე, მაგრამ ჩვენ ახლა ჭეშმარიტებაზე ვლაპარაკობდით. იმ არაადამიანურ ჭეშმარიტებას, რომლის შეცნობას მეცნიერები თავიანთი ინტელექტით ცდილობენ, არაფერი აქვს საერთო ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრებასთან. ჩვენი ჭეშმარიტების, ადამიანური ჭეშმარიტების მიგნება შეიძლება მხოლოდ თვით ცხოვრების პროცესში — მთლიანი ადამიანის სრულ, მრავალფეროვან ცხოვრებაში. თქვენი გართობების შედეგი, ფილიპ, მთელი ეს ყბადაღებული კოსმოსური თეორიები და მათი პრაქტიკული გამოყენება — ამ ყოველივეს არაფერი აქვს საერთო ერთადერთ საჭირო ჭეშმარიტებასთან. არაადამიანური ჭეშმარიტება კი არა მხოლოდ არავის უნდა, არამედ ის სახიფათოცაა. მას ადამიანების ყურადღება ერთადერთი ღირებული ადამიანური ჭეშმარიტებიდან გადააქვს. ის აიძულებს მათ, მათივე საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების ფალსიფიცირება მოახდინონ, რათა რეალობა განყენებულ აბსტრაქტულ თეორიებს მოარგონ. მაგალითად, არსებობს ყველასგან მიღებული არაადამიანური ჭეშმარიტება — ყოველ შემთხვევაში, ჩემი ახალგაზრდობის დროს ის ყველასთვის მისაღები იყო, რომ გარეგნული ნიშნები რეალურად არ არსებობს, ხოლო ვინც ამას სერიოზულად აღიქვამს, საკუთარ თავს უარყოფს, თავისი ცხოვრების მთელ ქსოვილს არღვევს. საქმე ის არის, ადამიანური არსებები ისე არიან მოწყობილი, რომ ერთადერთ რეალობას მათთვის გარეგნული ნიშნები წარმოადგენს. მათი უარყოფით ადამიანი თვითმკვლელობას სჩადის.

— მაგრამ რეალურად ხომ, — თქვა ფილიპმა, — მათ არავინ უარყოფს.

— ჰო, მთლიანად არავინ უარყოფს, — დაეთანხმა რემპიონი, — იმიტომ, რომ ეს არავის ძალუძს. არავის შეუძლია, მთლიანად გაანადგუროს ყველა თავისი შეგრძნება და გრძნობა ისე, რომ თვითონ ცოცხალი დარჩეს. მაგრამ შეიძლება მათი მნიშვნელობის დამცრობა მას შემდეგ, რაც თავის საქმეს გააკეთებენ. და, ფაქტობრივად, ინტელიგენტების და ღრმად განათლებული ადამიანების დიდი უმრავლესობა სწორედ ამითაა დაკავებული: ისინი ამდაბლებენ ადამიანს არაცნობიერის ინტერესებისათვის. მათი მოტივები ქრისტიანების მოტივებისგან განსხვავდება, მაგრამ შედეგი იგივეა. ერთგვარი თვითგანადგურება. ყოველთვის ერთი და იგივე, — განაგრძო და მოულოდნელად მის ხმაში სიბრაზემ გაიჟღერა, — ყველა მცდელობა, იყო რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ადამიანი, ერთი და იგივე შედეგით მთავრდება — სიკვდილით; სულ ერთია როგორი, მაგრამ სიკვდილით. როცა ცდილობ, თავს ზემოთ ახტე, საკუთარ თავში რაღაცას კლავ და ხდები ბევრად უფრო დამცრობილი, ვიდრე იყავი. მე ისე მომწყინდა მთელი ეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ამაღლებულ სწრაფვებსა და მორალურ და ინტელექტუალურ პროგრესზე, იდეალებისთვის ცხოვრებასა და მსგავს სისულელეებზე. ამ ყველაფერს სიკვდილამდე მივყავართ, ისევე უეჭველად, როგორც ფულისთვის ცხოვრებას. ქრისტიანები, მორალისტები, ნატიფი ესთეტები, ბრწყინვალე ახალგაზრდა მეცნიერები და სმაილსის ყაიდის ბიზნესმენები — მთელი ეს საცოდავი ადამიანი-ბაყაყები, ცდილობენ, გაიბერონ და იქცნენ ხარად წმინდა სულიერებისა, წმინდა იდეალიზმისა, წმინდა პრაქტიციზმისა, წმინდა რაციონალიზმისა. მაგრამ მეტისმეტი მონდომებისგან სკდებიან და მათგან მხოლოდ პატარა ბაყაყის უბადრუკი ფრაგმენტები რჩება. დამპალი ნარჩენები. ეს ყველაფერი ერთი ძალიან დიდი იდიოტობაა, უზარმაზარი, გულისამრევი სიცრუე. მაგალითად, ის თქვენი მყრალი წმინდა ფრანცისკი რომ ავიღოთ, — მიუბრუნდა ბარლეპს, რომელმაც პროტესტის ნიშნად თავი გადააქნია, — ჰო, მყრალი, — დაჟინებით გაიმეორა რემპიონმა, — სულელი, პატივმოყვარე, პატარა კაცი, რომელიც ცდილობდა, ისე გაბერილიყო, რომ იესოდ ქცეულიყო. მიაღწია კი მხოლოდ იმას, რომ საკუთარ თავში ის ჯანსაღი აზრი და წესიერების გრძნობაც ჩაკლა, რაც ჰქონდა. მხოლოდ ის შეძლო, რომ ნამდვილი ადამიანური არსების საზიზღარ, მყრალ ნარჩენად იქცა. სიამოვნებას იღებდე კეთროვანის ლოკვისაგან. ფუჰ! საზიზღარი, პატარა გაუკუღმართებული არსება. ის თურმე ზედმეტად ზნეობრივია იმისთვის, რომ ქალს აკოცოს. მას სურს, ისეთ უხეშ რამეებზე მაღლა იდგეს, როგორიც ბუნებრივი, ჯანსაღი სიამოვნებაა. და შედეგი? ის საკუთარ თავში კლავს ყოველგვარ ნარჩენებს წესიერების გრძნობისა და იქცევა მყრალ, პატარა, გადაგვარებულ კაცუნად, რომელსაც სიამოვნებას მხოლოდ კეთროვანების იარების ლოკვა ანიჭებს. ყურადღება მიაქციეთ, რომ ის კი არ მკურნალობდა მათ, არამედ ლოკავდა და ამას საკუთარი, და არა მათი, სიამოვნებისათვის აკეთებდა. რა საზიზღრობაა!

ფილიპი სკამის საზურგეზე გადაწვა და გაიცინა, მაგრამ განრისხებული რემპიონი მისკენ შებრუნდა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, იცინოთ, მაგრამ ისე ნუ წარმოიდგენთ, რომ თვითონ უკეთესი ხართ, თქვენ და თქვენი ინტელექტუალი მეცნიერი მეგობრები. თქვენ ისევე იკლავთ თავს, როგორც მანიაკი ქრისტიანები. წაგიკითხოთ თქვენი პროგრამა? — აიღო წიგნი, რომელიც მის წინ, მაგიდაზე, იდო და გადაფურცლა, — ამას სწორედ მაშინ წავაწყდი, როცა აქ ავტობუსით მოვდიოდი. აი, ესეც, — და კითხვა დაიწყო. ფრანგულ სიტყვებს გულმოდგინედ და მკაფიოდ წარმოთქვამდა, — „Plus un obstacle materiel, toutes les rapitides gagnees par la science et a richesse. Pas une tare a l'independence. Voir un crime de lese-moi dans toute frequentation, home ou pays, qui ne serait pas expressement voulue. L'energie, le recueuillement, la tension de la solitude, les transporter dans ses rapports acec de vrais semblambles. Pas d'amour, peut-etre, mais des, amities rares, difficiles, exatees, nerveuses, vivre comme on revivrait en esprit de detachement d'inquietude et de ravenche."[1] , — რემპიონმა წიგნი დახურა და აიხედა, — აი, თქვენი კრედო, — უთხრა ფილიპს, — მარი ლანერის მიერ ფორმულირებული ათას ცხრაას პირველ წელს. მოკლედ, ნათლად, ამომწურავად. და, ღმერთო ჩემო, ეს რა საშინელებაა! არც სხეული, არც მატერიალურ სამყაროსთან შეხება, არც ადამიანურ არსებებთან შეხება — თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ინტელექტის საშუალებით — არც სიყვარული...

— ეს ჩვენ ცოტათი შევცვალეთ ათას ცხრაას პირველ წელთან შედარებით, — ღიმილით თქვა ფილიპმა.

— მაგრამ არა არსებითად. თქვენ აღიარეთ შემთხვევითი სექსუალური კავშირები, გარყვნილება, და სულ ეს იყო. მაგრამ არა სიყვარული, არა ბუნებრივი შერწყმა სიცოცხლესთან, არა უარის თქმა მენტალურ თვითანალიზზე, არა სრული დამორჩილება ინსტინქტებისადმი. არა, არა. თქვენ მაინც ცნობიერ ნებას ებღაუჭებით. ყველაფერი ყოველთვის expressement voulu უნდა იყოს. და ყოველგვარი კავშირი ადამიანებს შორის მხოლოდ წმინდა ინტელექტუალური. და ისე უნდა იცხოვრო, რომ ეს სიცოცხლე კი არ იყოს ცოცხალი ადამიანების სამყაროში, არამედ მარტოობის მოგონებები, ოცნებები და მედიტაციები. დაუსრულებელი ონანიზმი, ისე როგორც პრუსტის ის საშინელი დიადი წიგნი. ამას თქვენ ამაღლებულ ცხოვრებას ეძახით, სინამდვილეში კი ევფემიზმებს თავი დავანებოთ და უბრალოდ ნელი კვდომაა. ძალიან მნიშვნელოვანია და სიმბოლურია ის, რომ ის ლანერუ ყრუ და ნახევრად ბრმა იყო. გარეგნული ხილული ნიშანი შინაგანი სულიერი ჭეშმარიტებისა. საწყალი არსება! მისი სულიერება, ასე თუ ისე მაინც, გამართლებული იყო. ამაღლებული ცხოვრების სხვა თაყვანისმცემლებისთვის კი, რომლებსაც ფიზიკური დეფექტი არ აქვთ, ეს მიუტევებელია. მათ საკუთარი თავი შეგნებულად დაამახინჯეს საკუთარი სიამოვნებისათვის. რა სამწუხაროა, რომ მათ მატერიალური კუზები არ აქვთ და მეჭეჭები ცხვირზე! ასე რომ იყოს, ის მაინც გვეცოდინებოდა, ვისთან გვაქვს საქმე.

— მართლაც, — მოგონილი მხიარულებით გაიცინა ფილიპმა და თავი დაუქნია. ცდილობდა, დაემალა უხერხულობა, რომელიც რემპიონის სიტყვებისას იგრძნო ფიზიკური ნაკლის შესახებ, — მართლაც, — არავის უნდა ეფიქრა, რომ ხელოვნურმა ფეხმა ხელი შეუშალა მას, საკადრისად შეეფასებინა რემპიონის შეხედულებები ფიზიკური დეფექტის შესახებ.

მისი სიცილი იმდენად შეუსაბამოდ ხმამაღალი იყო, რომ რემპიონმა კითხვის გამომხატველი მზერით შეხედა. რა მოხდა? მაგრამ ამის გასარკვევად თავი არ შეუწუხებია.

— ეს აღმაშფოთებელი სიცრუეა, — განაგრძო მან, — და, გარდა ამისა, სულელური სიცრუე. მთელი ეს იდიოტური აზრები იმის შესახებ, რომ ვიღაც უფრო მეტია, ვიდრე ადამიანი. ჰო, იდიოტური, იმიტომ, რომ ამას არავითარი საფუძველი არ აქვს. თქვენ ცდილობთ, ადამიანზე მეტი გახდეთ, სინამდვილეში კი მასზე უფრო ნაკლები ხდებით. ყოველთვის...

— მისმინეთ, მისმინეთ, — თქვა ფილიპმა, — „ჩვენ მიწაზე დავდივართ და ფრთები არ გვჭირდება“, — და უცებ მას მამამისის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები ჩაესმა: „მე მქონდა ფრთები, მე მქონდა ფრთები“. და მისი აწითლებული სახე და ავარვარებულ-ვარდისფერი პიჟამა დაინახა. სასაცილო და უბადრუკი მოხუცი, — და იცით ეს საიდან არის? — განაგრძო მან, — ეს არის უკანასკნელი სტრიქონი ლექსისა, რომელიც მე დავწერე ნიუდიგეიტის პრემიისთვის[2] ოქსფორდში, როცა ოცდაერთი წლისა ვიყავი. თემა „მეფე არტური“ იყო, თუ სწორად მახსოვს. ზედმეტიც კია იმის თქმა, რომ პრემია ვერ მივიღე. მაგრამ ეს კარგი ლექსია.

— ძალიან სამწუხაროა, რომ ცხოვრებაში თქვენი სიტყვებით არ ხელმძღვანელობთ და ამის ნაცვლად აბსტრაქციებთან ეწევით გარყვნილებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, აბსტრაქციებს ისე არავინ ესხმის თავს, როგორც მისი თაყვანისმცემელი: მან ხომ გამოცდილებით იცის, სიცოცხლის როგორი გამანადგურებლები არიან ისინი. ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია, თავს ნება მისცეს, მათგან სარგებლობა მიიღოს. შეუძლია, თავს ნება მისცეს, ჰქონდეს ფრთები მანამ, სანამ ახსოვს, რომ აქვს ფეხები. ადამიანებს ცუდად მისდით საქმე, როცა საკუთარ თავს აიძულებენ, სულ იფრინონ. ისინი ოცნებობენ, ანგელოზებად იქცნენ, ახერხებენ კი მხოლოდ იმას, რომ გუგულები და ბატები ხდებიან, ან საზიზღარი სვავები და შავი ყორნები.

— მაგრამ ეს ხომ, — თქვა სპენდრელმა, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღია, — მხეცობის სახარებაა. თქვენ ჩვენ გვასწავლით, როგორ მოვიქცეთ ცხოველების მსგავსად.

— მე თქვენ გასწავლით, როგორ მოიქცეთ ადამიანური არსებების მსგავსად, — უპასუხა რემპიონმა, — ეს კი ერთი და იგივე არ არის. გარდა ამისა, გაცილებით უკეთესია, მხეცივით იქცეოდე — ნამდვილი, პატიოსანი, არამოშინაურებული ცხოველივით, ვიდრე ეშმაკი გამოიგონო და მოიქცე ისე, როგორც შენი გამონაგონი იქცევა.

ხანმოკლე სიჩუმე ჩამოვარდა. „რა იქნება, რომ ახლა მას ვუთხრა“— ფიქრობდა სპენდრელი — „რომ ცოტა ხნის წინ საფარიდან გამოვხტი, თავს დავესხი ადამიანს და კეტით თავი გავუხეთქე“ — და კიდევ ერთი ყლუპი ბრენდი მოსვა.

— არა, — თქვა ხმამაღლა, — დარწმუნებული არ ვარ თქვენს სიმართლეში. იქცეოდე ცხოველივით, ეს იმას ნიშნავს, იქცეოდე არსებასავით, რომელიც სიკეთესა და ბოროტებაზე დაბლა დგას. იმისთვის კი, რომ ეშმაკივით მოიქცე, ჯერ ის უნდა იცოდე, სიკეთე რა არის. და მაინც, ეს ყველაფერი უბრალოდ ველური, მდაბალი და საზიზღარი იყო. და, გარდა ამისა, სრული, უკიდეგანო სისულელე. კეთილის და ბოროტის ხის ნაყოფის შეცნობის საფარველქვეშ მან ცეცხლი და შხამი კი არ იპოვა, არამედ მხოლოდ გულისამრევი ყავისფერი სიდამპლე და რამდენიმე პატარა ჭია. ყველაფერი, რაც არსებობს, თავისი საპირისპიროს საშუალებით შეიცნობა, — განაგრძო მან. თავისივე ფიქრების გამო მოღუშული იყო, — ეშმაკის არსებობა ღმერთის არსებობასაც გულისხმობს.

— უდავოდ, — მოუთმენლად ჩაერთო რემპიონი, — ეშმაკი, როგორც აბსოლუტური ბოროტების განსახიერება, არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს ღმერთი, როგორც აბსოლუტური სიკეთის განსახიერება. და მერე რა აქედან? რა კავშირი აქვს ამას თქვენთან ან ჩემთან?

— მე ვფიქრობ, რომ ძალიან დიდი.

— მხოლოდ იმდენივე კავშირი აქვს, რამდენიც იმას, რომ ეს მაგიდა შედგება ელექტრონებისაგან ან რხევების დაუსრულებელი რიგისაგან უცხო გარემოში, ან დიდი რაოდენობის მოვლენების-წერტილიდან ოთხგანზომილებიან კონტინუუმში, ან კიდევ რაიმე ისეთისგან, რისი გამოგონებაც ფილიპის მეცნიერ მეგობრებს შეუძლიათ. არა უფრო მეტი რამისგან. ანუ, ფაქტობრივად, ამას ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვს. თქვენი აბსოლუტური ღმერთი და აბსოლუტური ეშმაკი ადამიანებისთვის სრულიად არარსებულ ფაქტებს მიეკუთვნებიან. ჩვენ საქმე გვაქვს მხოლოდ სხვადასხვა დროის და ხალხის ფარდობით ღმერთებთან და ეშმაკებთან, ინდივიდუალური კაზუისტიკის ფარდობით სიკეთესთან და ბოროტებასთან. ყველაფერი დანარჩენი არაადამიანურია და საქმეს არ ეხება. და თუ საკუთარ თავს ნებას მისცემთ, არაადამიანურმა მოსაზრებებმა გავლენა იქონიონ თქვენზე, აუცილებლად სულელად იქცევით ან ბოროტმოქმედად, ან ორივედ ერთად.

— მერე რა, ეს მაინც უკეთესია, ვიდრე ცხოველად ქცევა, — არ უთმობდა სპენდრელი, — უკეთესია სულელი ან ბოროტმოქმედი ვიყო, ვიდრე ხარი ან ძაღლი.

— არავინ გთხოვთ, ხარი ან ძაღლი იყავითო, — გაღიზიანებით თქვა რემპიონმა, — თქვენ მხოლოდ იმას გთხოვენ, რომ ადამიანი იყოთ. ადამიანი, გასაგებია? არც ანგელოზი და არც ეშმაკი. ადამიანი ეს არის აკრობატი მაგრად დაჭიმულ თოკზე. ის ფრთხილად მიდის, ცდილობს, წონასწორობა შეინარჩუნოს, ხელში უჭირავს ჭოკი, რომლის ერთ ბოლოზე ცნობიერება, ინტელექტი და სულია, მეორეზე კი სხეული, ინსტინქტი და ყველაფერი, რაც ჩვენში არაცნობიერი, მიწიერი და მისტიკურია. ის ცდილობს, წონასწორობა შეინარჩუნოს. ეს ჯოჯოხეთურად ძნელია. და ერთადერთი აბსოლუტი, რომელიც მას არ შეუძლია, შეიცნოს, სრულყოფილი წონასწორობის აბსოლუტია. აბსოლუტურობა სრულყოფილი ფარდობითობისა. გონების თვალსაზრისით, ეს პარადოქსი და უაზრობაა. მაგრამ ყველა ნამდვილი, ცოცხალი ჭეშმარიტება ხომ ლოგიკის თვალსაზრისით უაზრობაა. ცოცხალი ჭეშმარიტების შუქზე კი ლოგიკაა სრული უაზრობა. ჰოდა, აირჩიეთ, რომელი უფრო მოგწონთ — ლოგიკა თუ ცხოვრება. გემოვნების საქმეა. ზოგი ადამიანი ამჯობინებს, მკვდარი იყოს.

„ამჯობინებს, მკვდარი იყოს“. ეს სიტყვები სპენდრელის ცნობიერებაში ექოსავით აირეკლა. ედვარდ უებლი, რომელიც იატაკზე იწვა თოკებით შეკრული, წიწილასავით, ამჯობინებდა კი, მკვდარი ყოფილიყო?

— და მაინც, — გაწელა სათქმელი, — არის ისეთი რამეები, რაც ყოველთვის აბსოლუტურად ცუდი რჩება. მაგალითად, მკვლელობა, — სურდა, დაეჯერებინა, რომ იმ დღეს მომხდარი არა მხოლოდ მდაბალი, ამაზრზენი და საზიზღარი იყო, არამედ, გარდა ამისა, საშინელი და ტრაგიკული, — მკვლელობა — ეს აბსოლუტური ბოროტებაა.

— არა უფრო მეტად აბსოლუტური, ვიდრე სხვა დანარჩენები, — თქვა რემპიონმა, — გარკვეულ გარემოებათა თანხვედრისას მკვლელობა შეიძლება იყოს აუცილებელიც, მართებულიც და საქებიც კი. ერთადერთი აბსოლუტურად ბოროტი ქმედება, რომელიც ადამიანმა შეიძლება, ჩაიდინოს, ის არის, რასაც ის ცხოვრების საზიანოდ აკეთებს, საკუთარი მთლიანობის საზიანოდ. ის ცუდად იქცევა, თუ საკუთარ თავს აუკუღმართებს, თავისი ინსტინქტების ფალსიფიცირებას ახდენს.

— აჰა, ესე იგი, ჩვენ ისევ მხეცებს ვუბრუნდებით, — განაგრძო სპენდრელმა სარკასტულად, — იყავით მტაცებლები, დაიკმაყოფილეთ თქვენი ცხოველური მოთხოვნილებები, როგორც კი ისინი გაგიჩნდებათ. და ეს არის ადამიანური სიბრძნის ბოლო სიტყვა?

— იცით, რა? ეს სულაც არ არის ისეთი სისულელე, როგორც თქვენ გეჩვენებათ, — უპასუხა რემპიონმა, — ადამიანები რომ თავიანთ ინსტინქტურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა ეს მართლა სურთ, მსგავსად ცხოველებისა, რომლებიც თქვენ ასე გძულთ, ისინი ბევრად უკეთ მოიქცეოდნენ, ვიდრე ცივილიზებული ადამიანური არსებების დიდი უმრავლესობა იქცევა ჩვენს დროში. ბუნებრივი მოთხოვნილებები და სპონტანურად გაჩენილი ინსტინქტური სურვილები არავითარ შემთხვევაში არ აქცევდნენ ადამიანებს ასეთ მხეცებად. არა, სიტყვა „მხეცებად“ არ ვარგა — რატომ უნდა მივაყენოთ შეურაცხყოფა საცოდავ ცხოველებს? ასეთ მეტისმეტად ადამიანურად ცუდ და ბოროტ არსებებად. ასეთებად აქცევს მათ წარმოსახვა, ინტელექტი, პრინციპები, ტრადიციები, აღზრდა. დატოვეთ ინსტინქტები საკუთარ თავთან და ისინი არავითარ ზიანს მოგაყენებენ. ადამიანები მხოლოდ მაშინ რომ ეძლეოდნენ სიყვარულს, როცა მათ ვნება იპყრობთ, მხოლოდ მაშინ რომ ჩხუბობდნენ, როცა გაბრაზებულები ან შეშინებულები არიან, მხოლოდ მაშინ რომ ებღაუჭებოდნენ თავიანთ საკუთრებას, როცა ეს მათთვის აუცილებელია, ან მათ თავშეუკავებელი სურვილი იპყრობდეთ რაიმეს ხელში ჩაგდებისა, გარწმუნებთ, რომ სამყარო ბევრად უფრო მეტად ემგვანებოდა ციურ სასუფეველს, ვიდრე ახლა — ქრისტიანულ-ინტელექტუალურ-სამეცნიერო ლიბერალიზმის ბატონობისას. თქვენ გგონიათ, რომ ინსტინქტმა შექმნა კაზანოვა, ბაირონი, კესლმეინი? არა, ინსტინქტი არაფერ შუაშია. ეს მათი ავხორცული წარმოსახვა წააქეზებდა მათ მოთხოვნილებებს, წარმოშობდა სურვილებს, რომლებიც ბუნებრივად მათ არასოდეს გაუჩნდებოდათ. ორივე სქესის დონჟუანები მხოლოდ თავის სურვილებს რომ ემორჩილებოდნენ, მათ ბევრად ნაკლები სასიყვარულო კავშირი ექნებოდათ. მათ ხელოვნურად უწევთ თავიანთი წარმოსახვის აღგზნება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შეძლებდნენ დაწოლას, ვისთანაც მოუწევდათ და სადაც მოუწევდათ. იგივეა სხვა დანარჩენ ინსტინქტებთან დაკავშირებით. თუ თანამედროვე ცივილიზაცია ფულისთვის გაგიჟდა, ფლობის ინსტინქტი აქ არაფერ შუაშია. აღზრდა, ტრადიცია, მორალური პრინციპები მას ხელოვნურად აღაგზნებენ. ფულის მიმართ სიხარბე ადამიანებს მხოლოდ იმის გამო უჩნდებათ, რომ მათ არწმუნებენ, თითქოს ეს სიხარბე ბუნებრივია და კეთილშობილური, თითქოს ვაჭრობა და ინდუსტრიაში საქმიანობა ღირსებაა, თითქოს დაარწმუნო ადამიანები, იყიდონ ის, რაც სრულებით არ სჭირდებათ, ქრისტიანული გულმოწყალების გამოვლენაა. ფლობის ინსტინქტი არასდროს ყოფილა ისე ძლიერი, რომ აეძულებინა ადამიანები, დღე და ღამე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, რაც შეიძლება მეტი ფულის ხელში ჩაგდებაზე ეზრუნათ. ამისთვის წარმოსახვას და ინტელექტს უწევთ განუწყვეტლივ მისი აღგზნება. აბა, ომზე იფიქრეთ. მას არაფერი აქვს საერთო სპონტანურად გაჩენილ მებრძოლ სულთან. ადამიანებმა რომ იბრძოლონ, მათ ეს კანონით უნდა აიძულო და პროპაგანდის საშუალებით წააქეზო. თქვენ მსოფლიოსთვის გაცილებით მეტს გააკეთებთ, თუ ადამიანებს ურჩევთ, ბრძოლის ინსტინქტის სპონტანურ კარნახს დაემორჩილონ, ვიდრე ერთა ლიგის მსგავსი ორგანიზაციები შექმნან.

— და კიდევ უფრო მეტს მაშინ გააკეთებთ, — თქვა ბარლეპმა, — თუ ადამიანებს ურჩევთ, ქრისტეს კვალს გაჰყვნენ.

— არა, ეს მართალი არ არის. აიძულო ადამიანები, ქრისტეს კვალს გაჰყვნენ, ეს იმას ნიშნავს, აიძულო ისინი, ზეადამიანები გახდნენ. პრაქტიკაში კი ამას საწინააღმდეგო შედეგი მოაქვს: ისინი ხდებიან უფრო ნაკლები, ვიდრე ადამიანი. აიძულო ადამიანებს, ზედმიწევნით მისდიონ ქრისტეს მოძღვრებას, ეს იმას ნიშნავს აიძულო მათ, იდიოტებივით იქცეოდნენ, საბოლოოდ კი — ეშმაკის მსგავსად. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. თუნდაც, ტოლსტოი რომ ავიღოთ: უდიდესი ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი იდიოტად აქცია იმის გამო, რომ ცდილობდა, უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე უდიდესი ადამიანი. ან ის თქვენი საშინელი, პატარა წმინდა ფრანცისკი, — ბარლეპისკენ შებრუნდა, — კიდევ ერთი იდიოტი, მაგრამ უკვე ეშმაკად ქცევის ზღვარზე. შემდეგი ეტაპი — ფივაიდის ბერები. მათ ზღვარი გადალახეს. ისინი ეშმაკად სრულად გადაქცევის სტადიამდე მივიდნენ. საკუთარი თავის წამება. ყველაფერი გონივრულის, მშვენიერის და ცოცხალის განადგურება — ასეთი იყო მათი პროგრამა. ისინი ცდილობდნენ, იესოს კვალს გაჰყოლოდნენ და უფრო მეტი ყოფილიყვნენ, ვიდრე ადამიანები, მაგრამ ყველაფერი, რაც მათ მოახერხეს, ის იყო, რომ სატანური დამანგრეველი ძალის განსახიერებად იქცნენ. ბუნებრივად ინსტინქტების შესაბამისად რომ მოქცეულიყვნენ, ისინი სრულიად წესიერ ადამიანებად დარჩებოდნენ. მაგრამ არა, აუცილებლად უნდოდათ, უფრო მეტი ყოფილიყვნენ, ვიდრე ადამიანები. შედეგად კი ეშმაკებად იქცნენ. ჯერ იდიოტებად, შემდეგ კი — ეშმაკებად. სულელ ეშმაკებად. ფუ! — რემპიონმა სახე დამანჭა და თავი ზიზღით გადააქნია, — და რა საშინელებაა, — აღშფოთებით განაგრძო მან, — რომ სამყარო სავსეა ასეთი არსებებით! რა თქმა უნდა, ისინი ისე შორს არ შეტოპავენ, როგორც წმინდა ანტონი და მისი დემონები, ან წმინდა ფრანცისკი თავისი ნახევრად იდიოტებით, მაგრამ, არსებითად, ისინიც ისეთები არიან. განსხვავება მხოლოდ ხარისხშია. ყველა მათგანის გაუკუღმართება შედეგია იმისა, რომ ცდილობდნენ, ზეადამიანები ყოფილიყვნენ. ზეადამიანურად რელიგიურები, ზეადამიანურად ზნეობრივები, ზეადამიანურად ინტელექტუალები და მეცნიერები, ზეადამიანურად შრომისუნარიანები, ზეადამიანურად სპეციალიზირებულები და ეფექტურები, ზეადამიანურად საქმიანები და ზეადამიანურად ხარბები და გამომძალველები, ზეადამიანურად გარყვნილები, დონ-ჟუანები, ზეადამიანურად ანგარიშიანი ინდივიდები, სიყვარულშიც კი. ყველა გაუკუღმართებული და გადაგვარებულია. გადაგვარებული სიკეთისა და ბოროტების მხარეს, სულის ან ხორცის მხარეს, მაგრამ ყოველთვის შორს ნორმისაგან, შორს ადამიანობისაგან. მსოფლიო — ეს გადაგვარებულ-გაუკუღმართებული იდიოტების თავშესაფარია. ოთხი მათგანი ჩვენს მაგიდასთან ზის, — მან ჩაიცინა და ირგვლივ მიმოიხედა, — გადაგვარებული იესოსიკო, — ბარლეპმა ყოვლისმმიტევებლურად გაუღიმა, — გადაგვარებული ინტელექტუალური ესთეტი.

— გმადლობთ კომპლიმენტისათვის, — თქვა ფილიპმა.

— გადაგვარებული მორალისტი, — ის სპენდრელისკენ შებრუნდა, — ზედგამოჭრილი პატარა სტავროგინი. მაპატიეთ, სპენდრელ, მაგრამ სინამდვილეში თქვენ ყველაზე დიდი სულელი ხართ, — მის სახეს ყურადღებით დააკვირდა, — თქვენ ისე იღიმებით, როგორც ყველა ტრაგიკული გმირი ერთად აღებული. მაგრამ არაფერი გამოგდით. მაგ ღიმილს იქით მიამიტი ზანი[3] იმალება.

სპენდრელმა თავი უკან გადააგდო და უხმოდ გაიცინა. „მან რომ იცოდეს“ — გაიფიქრა მან — „რომ იცოდეს“. მაგრამ რომ სცოდნოდა კიდეც, განა მას ნაკლებად სულელად ჩათვლიდა?

— იცინეთ, იცინეთ, ძმაო, დოსტოევსკი, მაგრამ ნება მომეცით, გითხრათ, რომ იდიოტი სტავროგინისთვის უნდა დაერქმიათ და არა მიშკინისთვის. ის შეუდარებლად უფრო დიდი სულელია და ბევრად უფრო მეტად გადაგვარებულიც.

— და აქ მჯდომი მეოთხე პირი სულელების რომელ კატეგორიას ეკუთვნის? — ჰკითხა ფილიპმა.

— მართლაცდა რომელს? — რემპიონმა თავი გადააქნია. მისი თხელი, აბრეშუმისებური თმები შეირხა, — გადაგვარებული მოქადაგე. გადაგვარებული იერემია. დაწყევლილ, ძველ სამყაროზე გადაგვარებული მოტირალი. და, რაც მთავარია, გადაგვარებული ყბედი, — წამოდგა, — ჰოდა, ამიტომ, ახლა სახლში მივდივარ. არ შეიძლებოდა ისე ლაპარაკი, როგორც მე ვილაპარაკე. ასე არაადამიანურად. ეს აღმაშფოთებელია. მრცხვენია, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ როცა ყველაფერ არაადამიანურს და პატარა ადამიანებს ამუნათებ, შენ თვითონაც გარდაუვალად არაადამიანი ხდები. ეს ყველაფერი თქვენი ბრალია, — დამშვიდობებისას ჩაიცინა, ხელი დაუქნია მათ და წავიდა.

---

[1] Plus un obstacle... (ფრანგ) — არანაირი მატერიალური დაბრკოლება. მთელი სისწრაფე მიღწეულია მეცნიერების და სიმდიდრის წყალობით. სრული დამოუკიდებლობა. ხედავდე დანაშაულს შენს წინააღმდეგ ნებისმიერ ქვეყანასთან და ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობაში, თუ ეს ურთიერთობა არაა სასურველი. ენერგია, მობილიზებულობა, დაძაბულობა, მარტოობა. გადაიტანეთ ესენი ნამდვილად ახლობლებთან ურთიერთობაზე. იქნებ სიყვარული არც არის საჭირო, მხოლოდ მეგობრობა, იშვიათი, ძნელი, დატვირთული, ნერვიული. იცხოვრო ისე, თითქოს ხელახლა დაიბადე, ისევ განცალკევების, შფოთვის, სიცარიელის მდგომარეობაში (ფრანგი მწერალი ქალის — მარი ლენერიუს — დღიურიდან).

[2] ნიუდიგეიტის პრემია — დააარსა ანტიკვარმა როჯერ ნიუდიგეიტმა ოქსფორდის უნივერსიტეტში 1806 წელს. ყოველწლიურად ენიჭება საუკეთესო პოემას ინგლისურ ენაზე.

[3] მიამიტი ზანი — პროსცენიუმის მომსახურე პერსონალი იტალიურ ნიღბების კომედიაში.

თარგმნა გია ბერაძემ

ზაზა ბიბილაშვილი

სხვა დღეები

*

— აბა, დღეს როგორ ხართ? ჰე-ჰე-ხე-ხე!

— ზღაპრულად! თქვენ?

— ვარ, რა, ძველებურად... ცოტა ხელის განძრევა კი მომენატრა... ყველაფერმა მოწყენა იცის, თურმე... უსასრულო ბედნიერების ყურებამაც კი... თქვენც ხომ არ მოიწყინეთ?

— ჩვენ რა მოგვაწყენს — ყველა ერთად ვართ!

— რა ვიცი... მაგალითად, ყოველდღიურობის ერთფეროვნება...

— არ ვცხოვრობთ ერთფეროვნად — ხან პეპლებს დავდევთ, ვიჭერთ და მერე ისევ უვნებლად ვუშვებთ!..

— ხან ჩიტების ხმიანობას ვუსმენთ!..

— ხან წყაროებს, ხილს, ბოსტნეულს, კენკრეულსა და ბაღჩეულს ვაგემოვნებთ!..

— იმედია, იმ ხის ნაყოფს — არა!

— იმას — არა, რა თქმა უნდა!

— როგორ გეკადრებათ!

— ჰო... თორემ იმ ხის ნაყოფში უამრავი ინფორმაციაა კოდირებული! ის რომ გასინჯოთ, უთვალავ ახალ ამბავს გაიგებთ! მერე კიდევ მეტი და მეტი მოგინდებათ!.. და გინდათ ეგ?

— არა, რად გვინდა, შარია!

— ჰოდა, ეგრე...

*

— აქ დაბრძანდით, მოხერხებულად მოეწყვეთ... რა შემოგთავაზოთ?

— კარგი, შვილო, თქვენ რა უნდა შემომთავაზოთ... ხე-ხე-ხე!

— ჰე-ჰე, აპატიეთ, დაიბნა...

— რა ვიცი, იქნებ პირი გაგესველებინათ-მეთქი...

— ნუ შეწუხდები, გენაცვალე, გავისველე უკვე! იმ ხესთან გამოვიარე... ხო იცით, რომელ ხეზეც გეუბნებით... ჰოდა, ერთი-ორი ნაყოფი გეახელით... სხვათა შორის, ძალიან გემრიელი იყო... აი, ახლაც პირში მაქვს იმისი გემო! წკლაპ-წკლაპ!.. როგორ აგიხსნათ... არა, თვითონ თუ არ გასინჯავთ, ვერ გაიგებთ... თქვენ კი გასინჯვას არ აპირებთ, როგორც ვხედები...

— არა, რა თქმა უნდა!

— გამორიცხულია!

— თქვენ ხომ გვითხარით!

— ჩვენ ხომ პირობა მოგეცით!

— ვაჰ, რა დამჯერები გამოხვედით... კარგებო თქვენა...

*

— შენა, მარტო ხარ? ის მეორე სად არის? ოღონდ არ მითხრა ახლა — მე რა ვიცი — ჩემი ცოლის მცველი კი არა ვარო! ხე-ხე-ხე-ხე!..

— როგორ არ ვიცი... სადღაც იქით თამაშობს, იმ... ჭრელასთან...

— ჭრელასთან?

— კი, მოიცა... აგერ... ახლავე დავუძახებ!..

— არ გინდა, იყოს... ა, ეგ არის ჭრელა?..

— ჰო, ეგრე შეარქვა, რა ვიცი.

— რაკი სახელი დაარქვა, ძალიან გაშინაურებიაა.

— ალბათ.

— ალბათ კი არა, შვილო, ეს ისეთი ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ შეიძლება, მერე და მერე სახელოვნებო დარგებში

*

— აქა მშვიდობაა! ჰე-ჰე-ჰე!

— მშვიდობა მოგცეთ... მოგვცე... იყოს... უიჰ...

— მობრძანდით... აი, აქ დაბრძანდით!

— სულ ვზივარ ისედაც... აბა, რას შვრებით, როგორ შეეგუეთ?

— ამას რა შეგუება უნდოდა!..

— მშვენიერია!

— შესანიშნავია!

— სრული ფანტასტიკაა!

— ნამდვილი სამოთხეა!

— კაი ერთი! ჰე-ჰე-ჰე! ანუ მხიარულად ხართ? ერთობით?

— კიი... დავრბივართ, პეპლებს დავდევთ, ვიჭერთ და მერე ისევ ვუშვებთ, უვნებლად!..

— სხვადასხვა ფრინველის გალობას, ჭიკჭიკს, ჟღურტულს ვუსმენთ!..

— ვაგემოვნებთ წყაროებს, ათასგვარ ხილს, ბოსტნეულს, კენკრეულსა და ბაღჩეულს... ნუ, რა თქმა უნდა, თავისით რაც მოდის!..

— ანუ არაფერი გაკლიათ, არაფერი გინდათ, არაფერი გჭირდებათ!

— არა, რა თქმა უნდა!

— მეტი რაღა უნდა გვინდოდეს?!

— რა ვიცი, იმ ხეზე რო გითხარით, გულში ისე ხომ არ დაგრჩათ, სხვანაირად?

— რას ბრძანებთ! განა ეგეთი უმადურები ვართ!

— ნეტა, სხვა ნაყოფების დაგემოვნება მოვასწროთ!

— მოასწრებთ, მოასწრებთ... მეტი რა საქმე გაქვთ... თუ ვინმე გერეკებათ აქედან?

— ეგეც მართალია!

— კიდევ ერთხელ — დიდი მადლობა ამ მშვენიერი სიურპრიზისთვის!

— კარგი, შვილო, ყველაფერი თქვენთვის არ მინდა?.. იმ ხის ნაყოფის გარდა, რა თქმა უნდა...

— იმ ხეს ახლოსაც არ ვეკარებით!

— ჰოდა, ჭკვიანადაც იქცევიით! თუ ასე გააგრძელებთ, სხვა ყველაფერიც გაგრძელდებაა!.. წავედი ახლა მე და თქვენ იცით!

— კიდევ გვესტუმრეთ!

— არ დაგვივიწყოთ!

— დაგივიწყოთ?! სხვა ვინა მყავს თქვენს მეტი!.. ნუ, ამათ მეტიც, ჰა!

*

— აბა, ცუდ დროს ხომ არ მოვედი? ჰე-ჰე-ჰე!..

— როგორ გეკადრებათ!

— თქვენი სტუმრობა ყოველთვის გაგვახარებს!

— როგორ ბრძანდებით?

— ახლა რაღა მიჭირს, შვილო — მომესწარით, ფეხზე დაგაყენეთ, მამულები მოგეცით...

— ამას არასოდეს დაგივიწყებთ!

— იცი, რა? მაინც ნუ იტყვი ეგრე... მეხსიერება მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჯობს, ვინმე იწერდეს.

— რას შვრებოდეს?

— არაფერი, არაფერი... თქვენ როგორ ხართ, რა შეატყვეთ, რამე ხომ არ გაკლიათ?

— რას ამბობთ, პირიქით!

— აქაურობა სასწაულია!

— აქ თავს გადასარევად ვგრძნობთ!

— მგონი... მგონი, ბედნიერები ვართ!

— აბა, თუ იცით, რატომ?

— ეე... რატომ?

— იმიტომ, რომ დაიმსახურეთ! კარგად იქცევით!

— ვცდილობთ...

— სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცით, ცუდად როგორ უნდა მოვიქცეთ — რაც გვინდა, აქ ყველაფერი თავზესაყრელი და ნებადართულია!

— იმ ხის ნაყოფის გარდა!

— რა თქმა უნდა... ის არც გვინდა!

— არც გვინდა კი არა, არც გვახსოვს!

— ჰოდა, გაგახარებთ მე! წავედი!

— ასე რატომ ჩქარობთ?

— იყავით, დაისვენეთ!

— იჰ, სულ არ ვისვენებ... ეს ბოლო ხანები? კლიშედაც კი დამკვიდრდეს... ჰა? არაფერი, ნუ მომაქცევ ყურადღებას!

— ჰო, რა ვიცი, თავიდანვე დაუმეგობრდა. რაღაც მოეწონა, ფორმა თუ სიგლუვე... დავუძახებ!

— მოეშვი-მეთქი, ადამიანო! ითამაშოს... რამდენი ხანია, მარტო მე და შენ აღარ გვიჭორავია, კაცურად! ხე-ხე-ხე!.. რა ხდება, აბა, თქვენკენ, მომიყევი!

— ნუუ, პეპლებს...

— ეგ ვიცი!

— წყაროებს...

— ეგეც ვიცი!

— ხილსაც...

— ჰო, ეგ უკვე საინტერესოა... ხილს — ყველანაირს... ყველას... თუ როგორ?

— ...

— ?

— ერთი წუთით მომისმინეთ... სულ მინდოდა, მეთქვა...

— გისმენ ყურადღებით!

— თქვენ შეიძლება სადღაც, გულის კუნჭულში ფიქრობთ, რომ ჩვენ მაინც სუსტი არსებები ვართ... თანაც — ახალგაზრდები... ის — განსაკუთრებით... და ამიტომ შეიძლება, ერთხელაც, სიფხიზლე დავკარგოთ, გონება გაგვეფანტოს და ხელი წაგვიცდეს... მაგრამ...

— მაგრამ!

— მე კაცი ვარ და სიტუაციას ვაკონტროლებ!

— ჰჰ...

— სრულად!

— აჰა...

— აბსოლუტურად!

— გავიგე, კაცო!

— ახლა... ხომ დამშვიდდით?

— კი, კი, რა შედარებაა...

— ხომ გჯერათ ჩვენი?

— ძალიან... ძალიან...

— ...

— რა ჰქვიაო იმას? გრძელა?

*

— დაინახე?

— იქით უხვევს?

— ეეეიიი!

— შემოგვიარეეეთ!

— გვინახულეეეთ!

— უჰ, მაინც დამინახეთ... ნუ შეწუხდებით, რაღაც საქმეზე ვარ...

— ვინმეს ეძებთ?

— კი... ჰო... არა, ვსეირნობ... როგორ ხართ ისე?

— გადასარევად!

— შესანიშნავად!..

— ვიცი, ვიცი... პეპლებს იჭერთ, მერე უშვებთ, ჩიტებს უსმენთ, წყალს სვამთ, ნებადართულ ხილს ჭამთ და დაკუნტრუშებთ ასე თხასავით მხიარულები! იმ ხის ნაყოფი კიდევ ცვივა და ლპება! ცვივა და ლპება!.. ამხელა პოტენციალი და — სრულიად გამოუსადეგარი — გაგონილაა?!

— დიახ... არ ვიცი...

— ალბათ...

— ის ხე, დიდი ხანია, არც გვინახავს...

— როგორც თქვენ გვითხარით...

— გავიგე! მახსოვს! მე გითხარით! ამომადინეთ ახლა ყელში! ბჯოს!..

— უკვე მიდიხართ?

— ცოტა ხანს დარჩენილიყავით...

— დაგესვენათ....

— არ მინდა დასვენება! მომბეზრდა! ვაჰ!.. ამის ყურებაც მომბეზრდა!.. თან, გითხარით — საქმე მაქვს!.. ანუ ვსეირნობ!.. ა, აგე, გასრიალდა... წავედი!..

— შენც იმას ფიქრობ, რასაც მე?

— თითქოს რაღაც არ გვითხრა ბოლომდე, ხო?

— ნაწყენივით მომეჩვენა.

— რამე ხომ არ დავაშავეთ? შემთხვევით.

— რა უნდა დაგვეშავებინა — მთელი დღე პეპლებს დავდევთ, ვიჭერთ და ისევ უვნებლად ვუშვებთ...

— ჩიტების ჟღურტულს ვუსმენთ...

— ვაგემოვნებთ წყაროებს, ხილს, ბოსტნეულს, კენკრეულსა და ბაღჩეულს...

— რომელიც თავისით მოდის, რა თქმა უნდა...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004